

ვახტანგ ჭავჭავაძე

ნიგნი ეძღვნება იმ ადამიანებს
სსოვნას, რომლებმაც ნათელი კვალი
დამინდეს ჩემს ცხოვრებას.
ავტორი

...და

ვიანთებ

სიანთელს

(მდუმარე კოჭორტა)

თბილისი
2007

წიგნი გამოიცა აწვარდაცვლილთა ოჯახების წევრებისა და ავტორის ერთობლივი ძალისხმევით.

ავტორი მაღლობას უხდის მურაბ დაბრუნდამ- ვილს და ბეგლარ ნოზაძეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერ- ისა და დახმარებისათვის.

ავტორი მზადაა, ოჯახის წევრებისა და ახლო- ბელ-ნათესავების სურვილის შემთხვევაში, წიგნის მე- 2 და მე-3 ნაწილებში შეიგანოს მონაცემები თანდარ- თული (წიგნის ბოლოს) სიის შესაბამისად.
(7-81-81, 893 62-17-56)

რედაქტორი ა. ბიძინაშვილი
მსაგვარი ნ. ქოქუაშვილი

წინასიტყვაობა

მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელია სიტყვა „წუთისოფელი“. იგი მიგვანიშნებს, ერთის მხრივ მასზე, რომ ასეთუისე ხანმოკლეა ჩვენი ყოფა და მეორეს მხრივ კი იმაზე, რომ რაც ჩვენში და ჩვენს გარშემო ხდება – ყველაფერი წუთებით ათვლას ექვემდებარება. და რაკი ეს ასეა, აღვნიშნავ, რომ გორში გაგატარე ცხოვრების ყველაზე საინტერესო პერიოდი დღემდე, რაც 26 მილ- იონი წუთის გაელვებას უდრის.

1957 წლის ზაფხულის ერთ ცხელ დღეს პირველად დავადგი ფეხი გორის მიწას. მაშინ 24 წლის ვიყავი და დღესაც ვერ ამიხსნია, თუ როგორ მოხდა, რომ გორი ადრე არ მქონდა ნანახი. მიკვირდა, რატომ ვერცერთხელ ვერ მოვხვდი იმ ექსკურსანტთა ჯგუფებში, რომლებიც, როგორც სკოლიდან, ისე უნივერსიტეტიდან რამდენ- ჯერმე იყვნენ გორში.

ასეა თუ ისე, თბილისის რკინიგზის სადგურში ჩავჯექი მატარებელში, რომელიც (როგორც მითხრეს) ორსაა- თნახევარში იქნებოდა გორში (როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, სამუშაოდ გამანაწილეს ახლადგახსნილ კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში). არ ვიცი, შემთხვევი- თობაა, თუ ბედისწერა – მამაჩემსაც ეს გზა გაუვლია, როცა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როგორც მეტყვე-ინჟინერი, სამუშაოდ გაუნაწილებიათ გორის სა- ტყეო მეურნეობის სისტემაში, 1929 წელს.

მატარებელი დაიძრა და ჩავიძირე ფიქრებში: ნეტავ რო- გორი ქალაქია გორი? როგორი ხალხი ცხოვრობს? ვინ გამიწევს მეგობრობას? სამუშაო რა სიძნელის იქნება? რამდენი მექნება ხელფასი? სად ვიცხოვრებ? და ა. შ.

დახარბებული თვალებით ვკითხულობ და ვცდილობ დავიმახსოვრო შუალედური სადგურებისა და ბაქნების სახელწოდებები. ვაგონი გადატენილია კალათებით,

ყუთებით, ვედრებით, ჩანთებით... მატარებელი ხშირად ჩერდება და არის ერთი ჩასვლა-ამოსვლა და გნიასი, ფუტკრის სკაში მგონია თავი.

სადგურების, ჩემთვის უცნობი და იმავდროულად უცნაურადმულერადი სახელწოდებები რაღაც მოკრძალებას და შინაგან დაინტერესებას იწვევდა. საქართველოს ისტორიიდან ზოგი რამ ვიცოდი გორის შესახებ, მაგრამ მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, თუ რარიგ საინტერესო კუთხეში მიმზადებდა ცხოვრების დიდი ნაწილის გატარებას ბედისწერა. რა ვიცოდი, რომ წინ მელოდა: გორის ციხე და გორიჯვარი, ყინწვისი და დანახვისი, რუისი და ურბნისი, უფლისციხე და სტალინის სახლმუხეუმი, ატენის სიონი და ვინ მოთვლის კიდევ რა და რამდენი... მაგრამ ჯერ მატარებლიდან უნდა ჩავიდუ და გავყვე ხალხის ნაკადს ქალაქის ცენტრისკენ.

ესეც გორის სადგური. მატარებლიდან ჩამოვედი თუ არა, მაშინვე შევამჩნიე იოსებ სტალინის დიდი სურათი. თვალი გამექცა საათის ისრებისაკენ, იყო 12 საათი და 15 წუთი, 1957 წლის 25 ივნისი. შევხედე ციფერბლატს და დავაფიქსირე ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისი, ახალი ეტაპისა, ახალ გარემოში...

აღსანიშნავია ისიც, რომ იყო სამშაბათი დღე, ანუ ჩემი დაბადების დღე (და არა დაბადების თვე და რიცხვი. რატომღაც დამკვიდრდა რომ დაბადების დღეს ვეძახით დაბადების თვეს და რიცხვს?!). კარგ ნიშნად მეჩვენა ეს ფაქტი, თითქოს მეორედ უნდა დავბადებულყავი, ამჯერად უკვე გორში.

ახეჩილ-დაჩეჩილი ტანისამოსი შევისწორე და ღრმად ჩავისუნთქე; ჩემს ფილტვებში პირველად შეაღწია ქართლის სურნელებით გაჟღენთილმა ჰაერმა და ძალა შემმატა.

მაშინ არც ტროლეიბუსი მოძრაობდა და არც ე. წ. „მარშრუტკები“ დაჰქროდნენ თავაწყვეტით. არც ტაქსზე

ოცნება შემეძლო უმუშევარ ახალგაზრდა ინჟინერს. პოლა. გავყევი ხალხის ნაკადს „ძველი ხიდისკენ“ (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ე. წ. „ახალი ხიდი“).

მივეყვებოდი ხალხს და კვლავ მომეძალა ფიქრი; მრავალი კითხვა თხოულობს პასუხს: როგორები არიან გორელები? რა უყვართ და რა არა? რა ტრადიციებით და ზნეჩვეულებებით გამოირჩევიან? როგორი მეზობლობა და მეგობრობა იციან? როგორი პურმარილი და თამაძობა იციან? მღერიან თუ არა სუფრასთან? ხელგაშლილები არიან თუ მომჭირნენი? ვისით ამაყობენ და როგორ კაცს ვერ იტანენ? როგორი ბიჭები მოსწონთ გოგონებს? და ა. შ.

მოკლედ, მივეყები ხალხის ნაკადს ჩემთვის უცნობი ქალაქისაკენ და რაც უფრო ვუახლოვდები, მით უფრო ვნერვიულობ და ერთიანად დაძაბული ვარ – მიმიღებს გორი?!

ხილს გადავცდი და ერთ სწორ და გრძელ ქუჩას (ლეინის, ახლანდელ სამეფო ქუჩას) გავყევი. დრო იყო ვინმესთვის მეკითხა, თუ როგორ უნდა მივსულიყავი მომავალი სამსახურის შენობამდე. შემხვედრად მომავალი, ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცი შევნიშნე და შევაჩერე მობოდიშებით. ეს გახლდათ პირველი კაცი, რომელსაც გავესაუბრე გორის მიწაზე ფეხის დადგმის შემდეგ. მოვლენებს გავასწრებ და ვიტყვი, ძალიან გამიმართლა პირველნაცნობობამ. კარგი თვალი გამაყოლა მაშინ ჯერ კიდევ უცნობმა მიხეილ ლაცაბიძემ (ხვენ მომავალში ახლო და ძალიან კარგი ურთიერთობა გექონდა. დამეკვება დიდებული კაცის შეხვედრა მომავალი ცხოვრებისეული ბატალიების წინ). ყურადღებით შემთავალიერა, შემოტრიალდა და ხელით მიმანიშნა: „კრემლს რომ გასცდები იქვე არისო“. ერიჰა!.. გავიფიქრე ჩემთვის; ალბათ შემამჩნია კახელობა და გახუმრება მოისურვამეთქი. გავაგრძელე გზა და ახლა ერთი ყმაწვილი შევაჩერე. მანაც ასე მიპასუხა: ამ ქუჩის ბოლოში მარჯვნივ

შეუხვიე და კრემლთან რომ მიხვალ, იქვე დაინახავ სასურველ შენობასო.

ახლა კი ცუდად არის საქმე... რა კრემლი, რის კრემლი?! გამიგია მოსკოვის, პრადის, მაგრამ ნუთუ გორშიც არის კრემლი?! ხასიათი წამიხდა; მომეჩვენა, თითქოს გორელებმა პირი შეკრეს და ჩემი გამასხარავება მოინდომეს (გვიან გავიგე, რომ ახლანდელი კავშირგაბმულობის შენობის გვერდით მდებარე საცხოვრებელ ბინას, სადაც ცხოვრობდნენ მაღალი რანგის პარტიული და სამეურნეო მოღვაწეები, გორელები მართლაც კრემლად მოიხსენიებდნენ). ფხიზლად უნდა ვიყო, ვფიქრობ და ვაგრძელებ გზას. მალე მივაღეჭი კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის ბრწყინვალე შენობას (ახლანდელი გამგეობა და სამხარეო ადმინისტრაცია).

სამსახურში მიმიღეს; საცხოვრებლად სასტუმრო „ქართლის“ მეორე სართულზე განმაწესეს და დაიწყო ის, რაც დაიწყო და გრძელდება დღემდე – ფრიად შინაარსიანი და მრავალფეროვანი ორმოცდაათი წელი. მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, რომ გორში შეექმნიდი ოჯახს (ბევრჯერ მოვინდომე თელავში გადასვლა, მაგრამ რატომღაც ვერ მოხერხდა. არადა ობლადდარჩენილი პატარა დაძმა ჩემს მზრუნველობას და პატრონობას ელოდა), აქვე შემეძინებოდა ორი ვაჟი, დავიცავდი დისერტაციას, შევხვდებოდი და ვიზეიმებდი „ვერცხლის ქორწილს“ („ოქროსიც“ მალე მიწევს), შემეძინებოდა ორი შვილიშვილი და შვილთაშვილი, გამოვცემდი წიგნებს და ა. შ.

სამი წელიწადის განმავლობაში (სანამ ოჯახს შეექმნიდი) გიტარა მეჭირა ხელში და ჩემს გორელ მეგობრებთან ერთად დაკვრითა და სიმღერ-სიმღერით მაქვს შემოვლილი მთელი გორის რაიონი. გიტარას მასპინძლის ოჯახში ვტოვებდი, რათა განმეორებითი სტუმრობის შემთხვევაში არ ვყოფილიყავით უგიტაროდ (გორის ცენ-

ტრალურ უნივერსიტეტში გიტარა 5 მანეთი ღირდა).

მაღლე შემიყვარეს გორელებმა და მეც დიდი პატივისცემით ვიყავი მათდამი გამსჭვალული, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც „ჩამოსულს“ მეძახდნენ და ისე, რომ ამ სიტყვაში რაღაცნაირი ქილიკი, ნიშნისმოგება, თუ შეუთავსებადობა იგრძნობოდა. მწყინდა, მაგრამ ვითმენდი. ვითმენდი, რადგან მიმაჩნდა, რომ მკრეხელობის ტოლფასია, როცა საქართველოში მაცხოვრებელ ქართველ კაცს „ჩამოსულს“ უწოდებ და ისიც რაღაც ღვარძლით თუ ზიზლით. 15-20 წლის შემდეგაც მსმენია ეს სიტყვა, ჩემი მისამართით, მაგრამ უკვე რაღაცნაირად შერბილებულად და შედარებით იშვიათად, თანაც ნაკლები სიბოროტით და შეიძლება ითქვას, ნაკლები შეუთავსებადობით. ეს უკვე მცირე, მაგრამ მაინც წარმატება იყო. აი, დიდი ხნის შემდეგ კი, თუ ვინმე ჩემს მიმართ სიტყვა „ჩამოსულს“ იხმარდა, უკვე ვგრძნობდი, როგორი სითბოთი და სიყვარულით ამბობდნენ ამას – გამოსტვიოდა კეთილგანწყობა, მოფერება და პატივისცემა. ეს უკვე გამარჯვება იყო, რისთვისაც მაღლობას მოვახსენებ ჩემ ყველა გორელ ახლობელს და ნაცნობს. დავრწმუნდი, რომ გორელებმა მიმიღეს, დამაფასეს და შემიყვარეს. ყოველივე ამას კი თითქმის ნახევარი საუკუნე დასჭირდა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირველ წლებში განსაკუთრებით გამიჭირდა შეჩვევა ორ რამესთან: გორულ კილოკავთან, („ვიყიდეი“, „ბესოი“ და ა. შ.) და გორულ ღვინოსთან. კახურ ღვინოზე გაზრდილს, ქართლის ღვინო მიმაჩნდა რაღაც უფრო მსუბუქ და თხელ კონსისტენციად, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და მეც შევეჩვიე. ისე გავუშინაურდი „ატენურს“, „თავკვერს“ და „გორულ მწვანეს“, რომ ახლა უკვე კახურ ღვინოს ვეღარ ვსვამ, რაღაცნაირად სქელი და ენისმწკლარტავი მეჩვენება.

ბედმა გამიღიმაო, რომ იტყვის კაცი, სწორედ ჩემზე ითქმის. ორმოცდაათი წლის განმავლობაში სამსახურებრივი თუ პირადი საქმიანობისას ათასობით ადამიანთან მქონდა ურთიერთობა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოირჩეოდა განსწავლულობით, ერთგულებით, სტუმართმოყვარეობით, რაინდობით, პატიოსნებით და მეცნიერების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სიყვარულით. აკი ჩემი პირველი შემხვედრი გორელი (მიხეილ ლაცაბიძე) თავად გახლდათ ყველა ამ კეთილშობილ ნიშან-თვისებათა მატარებელი და მქადაგებელი.

მას შემდეგ „ბევრმა წყალმა ჩაიარა“. იზრდებოდა და იცვლებოდა გორი. ვიზრდებოდი და ვიცვლებოდი მეც. მახსოვს, გორში დამკვიდრებიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ, ერთმა მშვენიერმა გოგონამ ქუჩაში „ძია“ მიწოდა. მეწყინა, მაგრამ როდესაც სახლში მისულმა სარკეში ჩავიხედე – დავმშვიდდი, დროს თავისი მიაქვს. უფრო მეტიც, ამ შემთხვევიდან 10-12 წლის შემდეგ, ისევ ქუჩაში და ისევ გოგონებმა, მოკრძალებით და ოდნავშესამჩნევი მოფერებით „პაპა“ მიწოდეს და აღარაფერი მწყენია – ფაქტი ჯიუტი რამ არის! ახლა უკვე დიდი პაპაც ვარ და როგორღაც დასანანია, რომ ასეთი მიმართვა, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში არ არის დანერგილი.

ჩემი ცხოვრების „გორულმა“, 50 წლიანმა პერიოდმა განუწყვეტლივ სწავლასა და შრომაში გაიარა. ბევრჯერ მივალწიე წარმატებას და დასანანი წარუმატებლობაც არაერთხელ მქონია, მაგრამ არასდროს დამიყრია ფარხმალი და მუდამ იმის მცდელობაში ვიყავი, რაც შეიძლება მეტი სასარგებლო საქმე მეკეთებინა.

მამხნევებდა ის, რომ უამრავი გამრჯე და კეთილი ადამიანი მედგა მხარში, ბევრსაც მე ვედექი ძმასავით: მასწავლიდნენ და ვასწავლიდი, მეხმარებოდნენ და ვეხმარებოდი, მეფერებოდნენ და ვეფერებოდი, მითმენდნენ

და ვუთმენდი...

დიდი გზაა გავლილი... შეუჩერებელ ჭაპანწყვეტაში ადამიანები მაკლდებოდნენ და მემატებოდნენ, მამწუხრებდნენ და მახარებდნენ, მირჩევდნენ და მაკვლიანებდნენ.... შეუფერხებლად ტრიალებდა ცხოვრების ბორბალი; ჭაღარას ჭაღარა ემატებოდა და ნაოჭს-ნაოჭი....

დღეს ძნელია დეტალურად გავიხსენო, თუ ვინ როდის, როგორ და რა ვითარებაში: მომცა კეთილი სალაში, ამომიდგა მხარში ჭირსა და ღხინში, არ დაიშურა რჩევა-დარიგება, შემისწორა სიმღერა, ამიმაღლა კლასი ჭადრაკის თამაშში, შემიქო თუ დამიწუნა თამადაობა, გაიზიარა სპორტული მიღწევების სიხარული თუ წარუმატებლობით მოგვრილი სევდა, მომილოცა დაბადების დღე, გვერდში მედგა შეილების ქორწილებში, გზა დამილოცა და გამიკვალა მეცნიერებაში, შემაყვარა პოეზია, მისაყვედურა აჩქარებული და მოუფიქრებელი ქმედებისათვის, მომცა სანიმუშო მაგალითი სიცოცხლის, სიყვარულის, რაინდობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის და ა. შ. ყველაფერს როგორ ჩამოთვლის კაცი?!

ათასობით თანმდევი ატრიბუტი ახლავს ცხოვრებას, მაგრამ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ადამიანებს შორის ურთიერთობის ხარისხია ყოფაცხოვრების წესის, ზნეობრივი სიმართლისა თუ რაინდული სულისკვეთების ფორმირების საქმეში.

ყველანაირი რანგის მქონე ადამიანი ტრიალებდა ჩემს გარშემო და ყველანაირი ზნეობრივი სტატუსის წრეში მომიხდა ყოფნა და მოღვაწეობა, მაგრამ ჩემს ცხოვრებას ყოველთვის თან სდევდა კეთლგანწყობილ ადამიანთა თანავარსკვლავედი – ბრწყინვალეობით რომ მოსავდა სამომავლო გზებს.

ადამიანები, რომლებსაც ამ პატარა წიგნში წარმოვიდგენთ, არ ყოფილან პედაგოგები დაკვეთით. მე ცხოვრე-

ბამ წილად მარგუნა სხვადასხვა ეტაპზე მათთან ერთად ყოფნა. ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ვთანამშრომლობდით: საძებნს ვეძებდით, მისაღწევს ვაღწევდით, გასაკეთებელს ვაკეთებდით, გასაყოფს ძმურად ვიყოფდით, ასატანს ვიტანდით, ერთმანეთს ვუგებდით და ერთმანეთს ვავსებდით...

ბევრი ახლობელი და ნაცნობი მყავს დღეს გორში. ჯერ კიდევ მაქვს შესაძლებლობა და სურვილი, რომ მათ დიდი მადლობა მოვახსენო ორმოცდაათწლიანი მასპინძლობისათვის და სიცოცხლეშივე მივაგო პატივი მათ, მუდმივი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

რაც შეეხება წინამდებარე წიგნში წარმოდგენილ ადამიანებს – მათ უკვე პირადად ვეღარ გადავუხდი მადლობას, ვეღარ ჩავეხუტები და ვეღარ გავამხნევებ ადრინდებულად... შორს წასულან, თუმცა, მაინც ახლოს არიან, სათითაოდ და ცალცალკე წასულებს ერთად ვხედავ და მადლიერებით ვიდრეკ მუხლს მათ წინაშე ყველაფერი იმისათვის, რაც ჩემთვის გააკეთეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში.

ისინი დღეს ჩემთვის მღუმარე კოჰორტაა, რომელიც კვლავ იბრძვის, მიწაზე დატოვილი სიკეთის კვალით, ადამიანთა კეთილდღეობის, სრულყოფის და ამქვეყნიურ ცოდვათა მონანიებისათვის.

დაე, ეს მოკრძალებული წიგნი იყოს ჩემი დიდი მადლიერების გამოხატვის მცდელობა მათ მიმართ, ვინც ბინა დაიდო სამუდამო სასუფეველში. დაე, ეს წიგნი იყოს ჩემი მცირედი წვლილი მათი ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

თვალწინ მიდგანან ისინი და ასე მგონია და მეჩვენება, რომ მადლააწეული ჩირადღნებით კვლავ მინათებენ ჩაბნელებულ და ჩახლართულ ცხოვრებისეულ ლაბირინთებს.

ავტორი

რედაქტორისაგან

მქონდა პატივი რედაქტორობა გამეწია ვახტანგ ჭანკოტაძის რამდენიმე წიგნისათვის („მზიარული რითმები“, „ბედისწერა“, „ლეგენდები“, „ტელეპათიური თავგადასავლები“ და სხვა).

ვახტანგ ჭანკოტაძის ნაწარმოებების რედაქტირება არ არის რთული საქმე, პირიქით, სასიამოვნოც კია, რადგან იგი წერს უბრალო ენით, მარტივად და გასაგებად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე.

ვიცნობ რა ვახტანგ ჭანკოტაძის შემოქმედებას, შემიძლია აღვნიშნო, რომ იგი საკმაოდ ორიგინალურია ნაწარმოების თემისა და ჟანრის შერჩევის დროს, ცდილობს იყოს განსხვავებული სხვებისგან და ამას აღწევს კიდევ.

ავიღოთ თუნდაც „მზიარული რითმები“. ამ წიგნში თავმოყრილია ათასზე მეტი ორტაეპიანი სრტოფი, რომელსაც, როგორც მე ვიცი, წერდა და აგროვებდა მთელი ცხოვრების მანძილზე (შესაშური მონდომებაა). ანდა „ტელეპათიური თავგადასავლები“. რჩება შთაბეჭდილება, რომ ასეთ წიგნს ნებისმიერი დაწერს, რადგანაც ყველას გადაუტანია თავის თავზე ის, რაც მასში წერია, მაგრამ აბა სცადე და მთელი სიცოცხლის მანძილზე დააფიქსირე, რაც განგიცდია! ვახტანგ ჭანკოტაძემ ეს შეძლო.

წინამდებარე წიგნიც, ჩემი აზრით, განეკუთვნება ორიგინალურთა კატეგორიას; მასში არ არის არც ლექსები (გამონაკლისის გარდა), არც მოთხრობები, არც რომანები და არც პოემები. წიგნში თავმოყრილია იმ ადამიანების შემოკლებული ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებმაც, პირდაპირ თუ ირიბად, იქონიეს გავლენა ავტორის ცხოვრებაზე და რომლებიც დღეს აღარ არიან ჩვენს გვერდით.

24 წლის ყოფილა ავტორი, როცა პირველად დაუდგამს ფეხი გორის მიწაზე და ეს მომხდარა 1957 წლის 25 ივნისს (დროც კი აქვს დაფიქსირებული – 12 საათი და 15 წუთი). სამშაბათ დღეს (დააკვირდით, რა პუნქტუალობაა). უფრო მეტიც, სამშაბათი ყოფილა ავტორის დაბადების დღე, დიახ, დღე (აქაც თავისებურია ბატონი ვახტანგი. იგი თვლის, რომ ადამიანმა თავის დაბადების დღედ უნდა მიიჩნიოს, არამცთუ თვის ესათუის რიცხვი, არამედ სწორედ კვირის ის დღე, რომელ დღესაც დაიბადა). წორედ რომ დაბადების დღეს დაწყებულა ავტორის მეორე ცხოვრება გორში.

პირველი შემხვედრი კაციც კარგად ახსოვს ბატონ ვახტანგს.

ეს ყოფილა აწვანსვენებული, უგანათლებულესი და უპატიოსნესი პიროვნება, მიხეილ ლაცაბიძე, რომელსაც, ე.წ. ძველ ხილთან, მიესალმა და კვლევით ინსტიტუტის ადგილმდებარეობა ჰკითხა (მომავალში მათ შორის კეთილნაცნობური და ნაყოფიერი შრომითი ურთიერთობები დამყარებულა).

50 წელია გორში ცხოვრობს წიგნის ავტორი და ამ ხნის განმავლობაში (ნებისმიერი ადამიანისათვის სიცოცხლის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდი) ათასობით ადამიანთან ჰქონდა ურთიერთობა, როგორც პირადული, ისე სამსახურებრივი.

ავტორი თვლის და ეს მართლაც ასეა, რომ თითოეულმა ადამიანმა „თავისი წილი“ გავლენა იქონია მის ცხოვრებაზე, მის აღზრდა-განვითარებაზე და ჩამოყალიბებაზე, მისი მსოფლმხედველობისა და გემოვნების დახვეწაზე და ა. შ.

სხვადასხვა პროფესიისა თუ ასაკის ადამიანის ცხოვრების გზა ჩაეწნა ავტორის ცხოვრების გორულ მონაკვეთს.

გზადაგზა ემატებოდნენ და აკლდებოდნენ კეთილისმსურველები, რომელთა შორისაც თავს ლაღად გრძნობდა ბატონი ვახტანგი. რამდენიმე ასეული მათგანი დღეს აღარ არის ცოცხალთა რიგებში. წიგნის ავტორი ცდილობს, ერთად შეკრიბოს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ასაკში და ვითარებაში იმქვეყნად წასულები, გონების თვალით გადახედოს მათთან გატარებულ წლებს და მადლობა უთხრას ყველა იმ სიკეთისა და თანადგომისათვის, რასაც იგი გრძნობდა მთელი 50 წლის განმავლობაში.

წიგნი „...და ვანთებ სანთელს“ წარმოადგენს მადლიერების გამოხატვის ბრწყინვალე ნიმუშს (ეჭვი არ მეპარება, რომ არც სიცოცხლის წლებში მოაკლებდა ავტორი მათ მადლობას და პატივისცემას) და იმავდროულად მოკრძალებულ სამანსოვრო საჩუქარს გარდაცვლილთა ოჯახების წევრებისათვის. მომავალ თაობებს ექნებათ საშუალება ბევრი რამ გაიგონ და იამაყონ თავიანთი უახლოესი წინაპრებით.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს, ბატონმა ვახტანგ ჭანკოტაძემ მითხრა „არც ერთი წიგნი არ გაიყიდება, ის გარდაცვლილთა ოჯახებს და ბიბლიოთეკებს გადაეცემა“-ო.

იმედია ავტორი არ შეჩერდება წიგნის პირველი ნაწილის გამოცემაზე და სხვა დამწერებულ ოჯახებსაც მოჰგვრის მცირედ, მაგრამ მნიშვნელოვან ადამიანურ შეგებას.

აკაკი ბიძინაშვილი

აბულაძე ალექსი (ალეოზა)



ალექსი აბულაძე იყო ის კაცი, რომლისგანაც შეგვეძლო გვესწავლა განათლებისაკენ ლტოლვა, თავდადებული შრომა და საქმისადმი ერთგულება. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავაგვლებთ მის ბიოგრაფიულ მონაცემებს.

აბულაძე ალექსი გიორგის ძე დაიბადა 1920 წლის 14 ნოემბერს, გორის რაიონის სოფელ ფხვენისში. 1937 წელს დაამთავრა ქ. ცხინვალის I ქართული საშუალო სკოლა. იმავე წელს სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ქ. სარატოვში და სწავლა განაგრძო საკრედიტო-ეკონომიკურ ინსტიტუტში.

1939 წლის ნოემბერში, II კურსიდან გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. მონაწილეობა მიიღო ფინეთის ომში, ხოლო 1941 წლის ივლისიდან იბრძოდა მე-2 მსოფლიო ომის დასავლეთის ფრონტზე, 145-ე მსროლელი დივიზიის 403-ე პოლკის შემადგენლობაში, ოცმეთაურის თანაშემწის თანამდებობაზე.

სმოლენსკთან ბრძოლის დროს მიღებული მძიმე ჭრილობის გამო, 1942 წელს დემობილიზებულ იქნა წითელი არმიის რიგებიდან, როგორც დიდი სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი. რამდენიმე თვე იმუშავა ქ. სარატოვის 42-ე საშუალო სკოლაში სამხედრო სწავლების ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში

მეუღლესთან, ვალენტინა პრივალოვასთან ერთად.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ქ. ცხინვალის აღმასკომში ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ (ამავე განხრით არჩეული იყო კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივნად, 1944 წელს კი შევიდა სკკპ-ს რიგებში).

1945 წელს დაამთავრა თბილისის იურიდიული სასწავლებელი და იმუშავა ყოფილი ლენინგორის რაიონის პროკურორის თანაშემწედ და ცხინვალისა და ზნაურის რაიონების სახალხო მოსამართლედ.

1948 წელს ოჯახი საცხოვრებლად გადადის ქ. გორში, სადაც ალექსი აბულაძემ მუშაობა დაიწყო ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მშენებლობაზე იურისტკონსულტანტად და კადრების განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ დამხმარე სამრეწველო საწარმოთა უფროსად.

სამშენებლო სამმართველოს ტრესტად გადაკეთების შემდეგ დანიშნეს ტრესტის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსად, ხოლო 1959 წლიდან №9 სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილედ. პარალელურად სწავლობდა ქ. მოსკოვის ვ. კუიბიშევის სახელობის სამშენებლო ინსტიტუტში, დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1966 წელს.

წყალდიდობით მიყენებული დიდი ნგრევისა და ზარალის ლიკვიდაციისთვის, ქ. ბორჯომში შეიქმნა მშენებლობის სამინისტროს №12 სამშენებლო ტრესტი, ხოლო მის მმართველად დანიშნეს ალექსი აბულაძე. სამცხელიანი მუშაობის შედეგად, მინიმუმამდე იქნა დაყვანილი წყალდიდობებისაგან დანგრეული ბორჯომის სანაპიროების აღდგენითი სამუშაოები, მიმდინარეობდა ბორჯომის წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა. აღდგა დანგრეული ხიდები, აშენდა ორი ახალი კაპიტალური ხიდი მდინარე მტკვარზე. ამასთან ერთად გეგმიურად მიმდინარეობდა სააღმშენებლო სამუშაოები ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონებში.

1969 წელს ალექსი აბულაძე გადაჰყავთ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს №3 სამშენებლო ტრესტის მმართველად. ეს ტრესტი მშენებლობებს აწარმოებდა კასპის, ლენინგორის, ცხინვალის, ჯავის, ზნაურის, გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონების სოფლებსა და ქალაქებში. 1969-83 წლებში ამ ტრესტმა ააშენა მრავალი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი.

1975 წლიდან 10 წლის განმავლობაში ვოლოგდის ოლქში საშეფო მუშაობას ახორციელებდა №3 ტრესტის მუდმივმოქმედი სამშენებლო მატარებელი.

ალექსი აბულაძის დამსახურებით №3 სამშენებლო ტრესტი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სისტემაში ითვლებოდა ერთერთ მძლავრ და მოწინავე ტრესტად, მრავალჯერ იყო გამარჯვებული და დაჯილდოებული საკავშირო გარდამავალი წითელი დროშებით და იყო აღნიშნული სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის საპატიო დაფაზე.

1954-83 წლებში ალექსი აბულაძე არჩეული იყო საქ.კ.პ. გორის ქალაქის და რაიონის საბჭოების დეპუტატად.

ბატონი ალექსი დაჯილდოებული იყო „ოქტომბრის რევოლუციის“, „სამამულო ომის I ხარისხის“ ორდენებით და 13 საბრძოლო და შრომითი მიღწევების მედლით.

1983 წელს ალექსი აბულაძე პენსიაზე გავიდა, მაგრამ შრომა არ შეუწყვეტია, რამდენიმე წელი მუშაობდა სააგტომობილო ტრანსპორტის შიდა ქართლის რეგიონალურ სამმართველოში ერთ-ერთი სამსახურის უფროსად.

ალექსი აბულაძეს ჰყავს სამი ვაჟიშვილი, მათგან ორი მამის კვალს გაჰყვა და მშენებელი ინჟინრები არიან.

გამრავლდა ალექსი აბულაძის ოჯახი. მას ჰყავს 8 შვილიშვილი და 11 შვილთაშვილი.

ალექსი აბულაძე გარდაიცვალა 2005 წლის 21 იანვარს, 84 წლის ასაკში.

ალექსი აბულაძე იმ თაობის ერთ-ერთი სამაგალითო

წარმომადგენელი იყო, რომელმაც თავის ზურგით ზიდა მე-2 მსოფლიო ომის წლებისა და შემდგომი აღმშენებლობის ურთულესი და უმძიმესი ტვირთი.

1937 წელს, 17 თანასოფლელთან ერთად, აღექსი აბულაძის მამას – გიორგი აბულაძესაც შეეხო რეპრესიები და გადასახლებულ იქნა უზბეკეთში. სასამართლომ ცნო მისი უდანაშაულობა, მაგრამ გიორგი აბულაძე მძიმე ავადმყოფობის გამო, გადასახლებაში გარდაიცვალა. დედა, ვარვარა პატარაშვილი, სანამ შრომისუნარიანი იყო, მუშაობდა ფხვენისის კოლმეურნეობაში.

აღექსი აბულაძეს ჰყავდა ორი ძმა – შალვა და ყაფლანი.

აკოფაშვილი ვახტანგი



ვახტანგი გიორგის ძე აკოფაშვილი გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იმ მეცნიერულ ელიტის წარმომადგენელი გახლდათ, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში მეღვინეობის განვითარებასა და ტექნიკური სრულყოფის სფეროში.

ვახტანგი აკოფაშვილმა 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომა მიუძღვნა მეღვინეობის საკითხებს, მათ შორის ოცამდე გამოგონება, რომელთა დიდი ნაწილი დაინერგა საქართველოს ღვინის ქარხნებში (გურჯაანი, ახმეტა, მცხეთა და სხვა.) და დიდი ეკონომიკური ეფექტი მისცა სახალხო მეურნეობას.

ვახტანგი აკოფაშვილის სამეცნიერო შრომების ანოტაციური

ხასიათის მიმოხილვები არაერთხელ გამოქვეყნდა ქ. პარიზში გამომავალ მსოფლიო მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ორგანიზაციის ბიულტენებში.

ყურძნის მასიური გადამუშავების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა შაქრიანობის შემცველი ყურძნის წვენი ფრაქციებად დაყოფას, შემდგომში მათი ცალკეული, შესაბამისი ტექნოლოგიური რეჟიმისა და სხვადასხვა მარკის ღვინისათვის აუცილებელი გადამუშავების ციკლის შერჩევის მიზნით.

ვ. აკოფაშვილმა შეიმუშავა და რამდენიმე ქარხანაში წარმატებით დანერგა ნაკადში, ყურძნის წვენი შაქრიანობის მიხედვით ფრაქციებად დაყოფის ავტომატიზირებული სისტემა, რითაც შეამსუბუქა და შეამცირა პირველადი გადამუშავების ქარხნებში შრომატევადი სამუშაოები და, რაც მთავარია, საგრძნობლად სრულყოფილი გახდა ხარისხიანი ღვინომასალების მომზადების პროცესი.

სწორედ ეს საკითხი გახლდათ ვახტანგი აკოფაშვილის სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი თემა. 1982 წელს ვახტანგი აკოფაშვილს მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ოცდაათ წელზე მეტი იმუშავა ვ. აკოფაშვილმა გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი პრობლემის დამუშავებაში მიიღო აქტიური მონაწილეობა. გამოირჩეოდა დიდი შრომისუნარიანობით. განუწყვეტლივ თავის სამუშაო მაგიდასთან იჯდა და წყნარად, უპრეტენზიოდ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ახასიათებდა დაბალი ხმით და იმავდროულად ფრიად დამაჯერებელი საუბარი. ის, აღელვებული ან ხმამაღლა მოლაპარაკე არავის უნახავს. ვერასდროს ნახავდით ინსტიტუტის დერეფნებში უსაქმურად მდგომს ან უაზროდ მოლაპარაკეს. მოკლედ ამბობდა სათქმელს, მუდამ თბილი და გულწრფელი დიმილით შეხავებულს.

გ. აკოფაშვილი დაიბადა 1927 წლის 3 თებერვალს ქარელის რაიონის სოფელ ბებნისში. დაამთავრა ქარელის საშუალო სკოლა და შემდეგ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი მეღვინეობის პროფილით. მუშაობდა სამტრედიის გორის ქარხანაში, ჯერ რიგით ტექნოლოგად, შემდეგ კი ლაბორატორიის გამგედ (1948-1961 წ.წ.).

ვახტანგს მხარს უმშვენებდნენ დები და ძმები: ევგენია (აგრონომი, ამჟამად პენსიონერი), მერი (მედიცინის და, პენსიონერი), იასონი (მეტყვევ-ინჟინერი, პენსიონერი) და აკაკი (ექიმი ქარელის პოლიკლინიკაში).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, თურმე ვახტანგი გარკვეულ ცხოვრებისეულ მოვლენებთან დაკავშირებულ ხანაწერებსაც აწარმოებდა, რის შესახებაც ნაკლებად იცოდნენ მისმა ახლობლებმა. მის მრავალ გონებამახვილურ და მართლაც ცხოვრებისეული გამოცდილებით გაჯერებულ, აფორიზმთან მიახლოებულ ხანაწერებს მიაგნეს მისი მრავალფეროვანი და მრავალფეროვანი არქივის გადასინჯვის დროს.

აი, რამდენიმე მათგანი:

– „... მეცნიერება ბუნების გასაღებია...“

– „...მესამე კლასში ვიყავი, როცა ოჯახს ამოვუდექი მხარში: შეშას ვჭრიდი, ღუმელს ვახურებდი, საქონელს ჩალას ვუყრიდი, წყაროდან წყალს ვეზიდებოდი და ა. შ. უკვე მაშინ თავს კაცად ვთვლიდი, თუმცა კაცობამდე ჯერ კიდევ შორს იყო...“

„...კაცი როგორ უნდა იყოს ისეთი უვარგისი, რომ არც არავინ უყვარდეს და არც არავინ შეიყვაროს...“

ვახტანგ აკოფაშვილს კი ყველა უყვარდა, და ისიც ყველას უყვარდა, ვისაც კი მის პიროვნებასთან თუნდაც მცირე შეხება ჰქონდა.

გ. აკოფაშვილი გარდაიცვალა 1992 წელს, 65 წლის ასაკში. სათაყვანებელ ქვეყანას დაუტოვა ორი შვილი: მარინე ბალიაშვილი (ქიმიკოსი, სკოლის დირექტორი) და გიორგი (ინჟინერ-გეოლოგი).


ამბროლაძე ვახტანგი

თვითეულ მოძრაობაში (სწრაფი სიარული იცოდა), საუბრის სტილსა თუ ყოველდღიურ ოჯახურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში აშკარად ჩანდა, რომ ვახტანგ ამბროლაძეს სამხედრო წრეობა ჰქონდა გამოვლილი.

1941 წლიდან იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და ბრძოლებში დამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება სამხედრო ფიცისადმი. ომის მრისხანე დღეებში გამოჩნდა მისი სამხედრო ნიჭი, ბრძოლის წარმართვის უნარი და ხელმძღვანელობამ მას ოფიცრის წოდება მიანიჭა.

ვახტანგ ამბროლაძე იყო ყველასათვის მისაღები და სასიამოვნო ადამიანი, რომელმაც ძალიან თბილი, საინტერესო ეპიზოდებით გამდიდრებული ამბების მოყოლა იცოდა (თუმცა ბევრს არ ლაპარაკობდა), რაც განსაკუთრებით აინტერესებდათ ახალგაზრდებს.

ვახტანგ ვიქტორის ძე ამბროლაძე დაიბადა თბილისში 1919 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში. გატაცებული იყო ტანვარჯიშით და მალე მოხვდა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. სიამაყის გრძნობით იხსენებდა ხოლმე იმ დღეს, როდესაც (1940 წ.) მოსკოვში, წითელ მოედანზე, საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ჩაიარა მავზოლეუმის წინ, სადაც სტალინთან ერთად იდგნენ საკავშირო მთავრობის ხელმძღვანელები.



მეორე მსოფლიო ომის ბატალიებგამოვლილი ვაჟკაცი ჩაება შრომით რიტმში. მალე შექმნა ოჯახი და ასევე მოკლე დროში დაიმსახურა გორელების ყურადღება და პატივისცემა, როგორც უადრესად შრომისმოყვარე, დისციპლინირებულმა, პრინციპულმა და იმავდროულად კეთილმა ადამიანმა.

სხვადასხვა დროს იმუშავა ბათუმის, ქუთაისის, გორის სამხედრო ნაწილებში და კომისარიატში. იგი სიამოვნებით და შესაშური ენერგიულობით უზიარებდა ახალგაზრდა თაობას, მათ შორის წვევანდებებს, თავის მდიდარ გამოცდილებას სპორტისა და სამხედრო ხელოვნების სფეროში.

1964 წლიდან მუშაობას იწყებს ქ. გორის №6 საშუალო სკოლაში ჯერ ფიზკულტურის, ხოლო შემდეგ დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებლად. აქ იგი აქტიურად ეწევა მოსწავლეებთან მუშაობას. მისი აღზრდილები მონაწილეობას ღებულობენ როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო შეჯიბრებებში (მოსკოვში, ფსკოვში), სადაც I და II ადგილებს იღებენ. 1971 წელს მან მიიღო სიგელი საკავშირო ჩვენებაზე სამხედრო-პატრიოტული პროგრამის შესრულებისთვის.

1986 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ტინისხიდის საშ. სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებლად. აქაც იგი დიდ პატრიოტულ-აღმზრდელობით მუშაობას ატარებს მოსწავლეებთან. 1987-88 წწ-ში მის მიერ მომზადებული ნაკრები რაიონულ პირველობაზე ღებულობს I ადგილს, ხოლო რესპუბლიკურზე თბილისში და ბათუმში II ადგილს.

ტინისხიდის სკოლაში მისი ხელმძღვანელობით არის აღჭურვილი სამხედრო მომზადების კაბინეტი, მისი სახსრებით არის გაკეთებული 25 მეტრიანი ტირი, მისი ხელითაა გაკეთებული სტენდები და სხვა. ბევრი მადლობის წერილი მიუღია მას თავის აღზრდილებისაგან, რომლებიც იმ დროს სავალდებულო სამხედრო სამსახ-

ურს იხდიდნენ. ბატონი ვახტანგი მრავალი ორდენითა და მედლით არის დაჯილდოებული.

ვახტანგ ამბროლაძე ოთხმოც წელს იყო მიღწეული, მაგრამ მაინც ლაღი და სწრაფი ნაბიჯებით დადიოდა ღვაწლმოსილი კაცი. კაცი სპორტსმენი, კაცი სამხედრო ოფიცერი და ახალგაზრდა თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის შესანიშნავი ოსტატი.

ვახტანგ ამბროლაძე გარდაიცვალა 1999 წელს. 80 წელი ბედნიერი ოჯახით ხარობდა ბატონი ვახტანგი. მუდღე, ეკატერინე ხიზანიშვილი (ბუღალტერ-ფინანსისტი), შვილები – რევაზი (მეტყველ-ინჟინერი) და ზურაბი (ინჟინერ-მშენებელი); შვილიშვილები – ეკა, რეზო, თამუნა და ნინო.

ბაზანდარაშვილი ავთანდილი



ქ. გორში და გორის რაიონში მრავალი შენობა-ნაგებობა, გზა თუ გვირაბი, არხი თუ საცხოვრებელი კორპუსი დაკავშირებულია მშენებელ-ინჟინერ ავთანდილ ბაზანდარაშვილის სახელთან.

პირველი სამუშაო ნათლობა ავთანდილ ბაზანდარაშვილმა მიიღო ბელორუსიაში ერთ-ერთი ხიდის მშენებლობაზე, სადაც იგი,

როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი გააგზავნეს თბილისის სარკინიგზო ინსტიტუტის (ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტი) დამთავრების (1948 წ.) შემდეგ. მუშაობდა მოსკოვში, უკრაინაში და სხვ. 1950 წელს კი ავთანდილი დაბრუნდა თავის მშობლიურ ქ. გორში და სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა ქალაქის აღმშენებლობის საქმეს.

ავთანდილ ბაგრატის ძე ბაზანდარაშვილი დაიბადა 1925 წლის 6 ოქტომბერს გლეხის ოჯახში. დაამთავრა კარაღე-

თის მე-3 საშუალო სკოლა.

როგორც ახლობლები იხსენებენ, ავთანდილი ბავშვობიდანვე იყო დაინტერესებული მშენებელის პროფესიით და აკი ჩამოყალიბდა კიდევ მაღალი დონის პროფესიონალად.

ბევრ სიძნელესთან ერთად, მშენებელი ინჟინრისათვის, ღმერთს, მოღვაწეობის წარმოსაჩენად, მათი ნაღვაწის თვალსაჩინოება დაუმაღლებია. და დგას ახლაც ქ. გორში ბევრი, მართლაც, თვალსაჩინო ნაგებობა (კ/თ „გამარჯვება“, ახალი ხიდი მდ. მტკვარზე, კულტურის სასახლე, ხიდი ქ. მოსკოვში მდ. იაუზაზე და მრავალი სხვ.), რომლებიც ათეული წლების განმავლობაში შეასხენებენ მაღლიერ თანამემამულეებს მათი ერთერთი ავტორის, ავთანდილ ბაზანდარაშვილის შრომითი მოღვაწეობის შესახებ.

სხვადასხვა დროს ავთანდილი მუშაობდა: ტექნიკური განყოფილების ინჟინრად (მოსკოვი, „მოსტოპოეზი“), მთავარ ინჟინრად (გორის ადგ. მრეწველობის კომბინატი), ტექნიკურადამხედველად, №3 სამშენებლო ტრესტის (ქგორი) კომბინატის დირექტორად, №9 ტრესტის მმართველად და ა.შ.

ა. ბაზანდარაშვილმა 1959 წელს გაიარა „უმაღლესი საინჟინრო კურსები“ (ქ. მოსკოვი) და დაეუფლა მშენებლობაზე გამოსაყენებელ უახლეს ტექნიკას და ახალი სამშენებლო მასალებით სარგებლობის მოწინავე ტექნოლოგიებს და მეთოდებს. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზედ დაკისრებული საქმიანობის წარმართვას. გამოირჩეოდა ცოდნით, ენერჯიულობით, ერთგულებით. ამავე დროს ავთანდილ ბაზანდარაშვილი იყო თავმდაბალი და საინტერესოდ მოსაუბრე კაცი. მისი ახლობლები იხსენებენ იმის შესახებაც, რომ ავთოს არასდროს აუმაღლებია ხმისთვის, არასდროს გამოუყენებია უხეში სიტყვები. ავთოს მეგობრებს კარგად ახსოვთ მრავალი შემთხვევა, როცა მას პირადი (საოჯახო) ინტერესები არაფრად ჩაუგდია და დღე-ღამეები სამშენებლო ობიექტებზე გაუტარებია საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.

პროფესიონალურ საქმიანობას კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც. 1955-1956 წლებში მუშაობდა ქ. გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯგუფის უფროსად, პარტიის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად და ა. შ. 1972 წელს არჩეულ იქნა საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ავთანდილ ბაზანდარაშვილს განსაკუთრებით უყვარდა თავისი ლამაზი ოჯახი. იგი ყველანაირად ცდილობდა თავისი ცოდნა და გამოცდილება გაეზიარებინა ორი ვაჟაციისათვის და ამას აკეთებდა დიდი სითბოთი და სიყვარულით. ავთოს უყვარდა, ცოლ-შვილთან ერთად მანქანით მოგზაურობა საქართველოს კუთხეებში. როგორც ჭეშმარიტ კაცს, გატაცებით უყვარდა თავისი სამშობლო და ამასვე უნერგავდა შვილებსაც.

ავთანდილის მეუღლე იხსენებს დაუვიწყარ მოგზაურობას კრასნოდარის მხარეში, სადაც აღმოაჩინეს მეორე მსოფლიო ომის დროს ავთოს დაღუპული ბიძაშვილის სამარხი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავთანდილ ბაზანდარაშვილს სიცოცხლის ბოლომდე სისტემატური მიწერ-მოწერა ჰქონდა თავის კიეველ, მინსკელ და მოსკოველ მეგობარ-კოლეგებთან, სტუმრობდა მათთან და თავადაც მასპინძლობდა.

ავთანდილ ბაზანდარაშვილს ძალიან უყვარდა ფეხბურთი. გულთან ახლოს მიჰქონდა საყვარელი გუნდის ყველა წარმატება თუ მარცხი და ყოველივე ამას გამოხატავდა ემოციურად.

მატჩის ტელევიზიით ყურების დროს, ვერ იტანდა უადგილო რეპლიკებს და ხმაურს, ამიტომ იყო, რომ იგი ხშირად მარტო რჩებოდა ეკრანთან.

კიდევ ერთი დამახასიათებელი შტრიხი ავთანდილ ბაზანდარაშვილის პიროვნებასთან დაკავშირებით: თავის გასაჭირის, თუ სამსახურში რაიმე სიძნელეების გამო, არ უყვარდა ჩივილი და წუწუნი. არავის აწუხებდა თავისი პრობლემებით და დამოუკიდებლად ცდილობდა მდგო-

მარეობის გამოსწორებას. საუბარი ჰქონდა დამაჯერებელი და ღიმილნარევი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ბატონ ავთანდილს მიღებული აქვს რამდენიმე მედალი, საპატიო სიგელი, ფულადი პრემიები, მადლობები და ა.შ.

ყველაზე ღირსშესანიშნავი მომენტი კი ავთანდილ ბაზანდარაშვილისათვის იყო დღე, როდესაც ბორჯომის მეორე ჩამოსასხმელი ქარხნის დამთავრებისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე, მშენებლების კარგ მუშაობას ხაზი გაუსვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა ვასილ მუჟანაძემ (1970 წ.).

ავთანდილის მამა, ბაგრატ ბაზანდარაშვილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. დაჯილდოებული იყო საბრძოლო ორდენებით და მედლებით. დედა, ქალბატონი სოფო – მოწინავე კოლმეურნე, საკავშირო ყრილობების არაერთგზის დელეგატი. ჰქონდა მიღებული მთავრობის ჯილდოები. რემდენიმე წლის განმავლობაში იყო პარტიულ სამუშაოზეც.

ავთანდილ ბაზანდარაშვილი გარდაიცვალა 1994 წლის 23 ივნისს. დატოვა მეუღლე და ორი შვილი, გელა და ზაზა.

ბარამიძე ბადრი

1964 წლის ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის მთავარი ინჟინერის კაბინეტის კარი, დაკაკუნების შემდეგ, მოკრძალებით შეაღო საშუალო სიმაღლის, სპორტული აღნაგობის ახალგაზრდამ, რომელსაც ხელში ეჭირა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი. სპეციალობა – ავტომატიკა და ტელემექანიკა, კვალიფიკაცია – ინჟინერ ელექტრომექანიკოსი. ეს ახალგაზრდა გახლდათ ბადრი ბარამიძე, რომელიც, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტი, გულთბილად მიიღო თავის რიგებში მეცნიერ-მკვლევართა ხალხმრავალმა კოლექტივმა. ამ დღიდან იწყება ბადრი ბარამიძის შრომითი გზა.

ზემოდ ვახსენეთ სპორტული აღნაგობა და ეს როდი იყო შემთხვევითი – ბადრი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე გახლდათ და 22 წლის ასაკში უკვე მოასწრო გარკვეული წარმატებების მიღწევა სპორტულ ასპარეზზე. არაერთხელ დაუცავს საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები გუნდების ღირსება სხვადასხვა დონის შეჯიბრებებზე. მინიჭებული ჰქონდა სპორტის ოსტატის წოდება.

ბადრი ბარამიძე დაიბადა 1942 წლის 16 ივლისს დაბა ქარელში. მისი მშობლები იყვნენ: მამა – სილიბისტრო ბარამიძე (რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი), დედა – მარიამ ნიკურაძე (აგრონომი). ჰყავს და, ლამარა ბარამიძე – გორის ვ. მურადელის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი.

ბადრი იყო ყოველივე ქართულის ქომაგი და დამცველი. ვერ წარმოედგინა ქართველი კაცისაგან სიცრუე, ღალატი, უწესრიგობა ან უზრდელობა. თავად ყოველმხრივ მოწესრიგებული, ერთგული და პატიოსანი მისაბაძი იყო სხვებისათვის. საოცარი ღიმილი ჰქონდა და ვაჟკაცური ყოფა-ქცევა. აშკარად იგრძნობოდა, რომ მის გაკაჟებულ სხეულში რაინდული სული ბობოქრობდა. ბადრის გაუთავებლად შეეძლო ეკამათა სამსახურის, სპორტის, თუ ზოგადად ქვეყნისთვის საჭირობოროტო საკითხებზე და სერიოზულად განიცდიდა, თუ კი მის დასაბუთებულ ფაქტებს ვერ იგებდა მოსაუბრე. ხშირად კამათი ხმამაღალ რეპლიკებშიც გადაზრდილა, მაგრამ ამას იქით კი არასდროს წასულა. ბადრის გონიერი კომპრომისიც ეხერხებოდა და დროზე წყვეტდა კამათს, თან მომაჯადოებელ ღიმილსაც დაურთავდა.



1978 წელს გორში საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ოჯახს. ბადრიმ თანამგზავრად შეარჩია თინათინ შიუკაშვილი. სულ მოკლე ხანში მოძლიერდა და გამრავლდა ოჯახი – სამი შვილი: არჩილი, ცოტნე (ამჟამად სტუდენტები) და მარიამი (მე-10 კლასის მოსწავლე).

ბადრი ბარამიძის ბობოქარ ხასიათს და პრაქტიკულ მოღვაწეობისაკენ დაუოკებელ ლტოლვას ვერ ესადაგებოდა მღუმარე და მეტწილად თეორიული მოღვაწეობა და მიიღო გადაწყვეტილება თავისი პროფესია გამოეყენებინა რომელიმე საწარმოში. ასე მოხვდა იგი ჯერ №3 სამშენებლო ტრესტში სამუშაოთა მწარმოებლად, ხოლო შემდეგ №2 სამშენებლო სამმართველოში ელექტრომექანიკოსად.

ბადრიმ თეორიული ცოდნა განამტკიცა პრაქტიკული გამოცდილებით და სულ მალე გადაყავთ №9 სამშენებლო ტრესტის მთავარ ელექტრომექანიკოსად, შემდეგ მცირე მექანიზაციის უბნის უფროსად, ხოლო 1991 წელს იგი უკვე ფირმა „საქსპეცმონტაჟავტომატიკის“ მთავარი ინჟინერია.

ვინ იცის, სამსახურებრივი კარიერის რომელ უმაღლეს საფეხურზე ავიდოდა ენერჯით სავსე პროფესიონალი ინჟინერი, რომ არა ტრაგიკული შემთხვევა, რომელიც იქ მოხდა და იმ დროს – როცა არავინ ელოდა.

პირიქით, წარმატებას და სიხარულს ელოდა ყველა, დაბა ყაზბეგში ოფიციალურ ტურნირზე წასული, შვილებს დამგზავრებული მამისაგან. შვილების წარმატების გარანტიას იძლეოდა ახალგაზრდა ბიჭების კარგი მომზადება, რასაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა მამა, ბადრი ბარამიძე.

ბადრის გულმა ვერ აიტანა მსაჯების მიკერძოება და უსამართლობა, ვეღარ გაუძლო მამის გულმა უსინდისობის ფაქტებს და გაჩერდა, გაჩერდა სამუდამოდ, მებრძოლი შვილების თვალწინ, არაობიექტური მსაჯების თანდასწრებით. ეს მოხდა 1999 წლის 19 ივნისს.

ღმერთმა განსაჯოს უნებლიე დამნაშავენი. ბადრი ბარამიძის ხსოვნა არ წაიშლება ახლობელ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობართა გულებში.

ბასიშვილი გიორგი



ძნელი ბავშვობა ჰქონდა გიორგი ბასიშვილს. საყმაწვილო წლების დიდი ნაწილი დაემთხვა მე-2 მსოფლიო ომისა და მის შემდგომ მძიმე წლებს, როდესაც გარშემო უჭირდა ყველას, შიმშილი, სიცივე და სიბნელე დათარეშობდა ნახევრადგაპარტახებულ და შავებით შემოსილ ქვეყანაში.

გიორგი, ჯერ სულ 14 წლისა იყო, როდესაც გორის რაიონის სოფელ ორთაშენში დაიწყო ფიზიკური შრომა კოლმეურნეობაში. დედის ძმა, დავით დიდბეელი ასწავლიდა მას მიწასთან მუშაობას – ბარვას, თოხნას, მორწყვას, გასხვლას, მყნობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის ანაბანას.

ბავშვის მხარ-მკლავით ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჭაპანს გიორგი ბასიშვილი და თავისი წელიწადი შეჰქონდა ოჯახის ყოველდღიური გამოკვების საქმეში.

გ. ბასიშვილი დაიბადა ხელოსნის ოჯახში, ქ. გორში 1930 წლის 11 ივლისს.

დედა, მარიამ დიდბეელი – დიასახლისი, მამა, მიხეილ ბასიშვილი – მსოფლიო ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. გიორგის ჰყავდა ძმა ალიოშა და უმცროსი და თამარი, რომლებიც, სამწუხაროდ, აღარ არიან ცოცხალთა რიგებში. გიორგიმ დაამთავრა ქ. გორის რკინიგზის საშუალო სკოლა. ხელოვნებაზე შეყვარებულმა მიაკითხა

ცეკვის შემსწავლელთა წრეს და ასევე მოზრდილთა სიმღერების ანსამბლს (ხელმძღვანელი ვახტანგ წერეთელი), ცოტა მოგვიანებით კი მისი ნიჭი და მოწოდება შეუმჩნევია კულტურის სახლის დირექტორს ვანო ვარძელაშვილს და გიორგი მიუღია სამუშაოზე. იმ ხანად გორში საგასტროლოდ ჩამოსულა ილუზიონისტი, ვინმე დემელბეგი, მოსწონებია გიორგი და აუყვანია მოწაფედ.

გიორგის ნიჭიერებამ თავისი თქვა და ორი წლის შემდეგ უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა სცენაზე.

აი, აქედან (1948 წ.) იწყება გიორგის, როგორც ხელოვანის, შემოქმედებითი გზა; გზა, რომელმაც იგი მიიყვანა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდებამდე და იმ სიყვარულამდე, რასაც ათეულობით წლების განმავლობაში მისდამი გამოხატავდა ათეულათასობით მაყურებელი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და არა მარტო საქართველოში.

ერთხელ, თურმე, გიორგის თავს დაესხა ხულიგან-მაყურებელთა ჯგუფი და მოინდომეს წაერთვათ ჯოხი, რომლითაც იგი მართავდა ილუზიონისტურ ნომრებს (ჰკონებიათ, რომ იმ ჯოხს შეეძლო სასწაულების მოხდენა). გიორგის გასცინებია და უჩუქებია ის „ჯადოსნური“ ჯოხი მოძალადეებისათვის.

გიორგი თითქმის ორი წელი მუშაობდა თბილისის ცირკში და ფილარმონიაში, მერე კი ისევ დაუბრუნდა მშობლიურ გორს და მუშაობა განაგრძო დრამატულ წრეში ერვანდ არაქელოვის ხელმძღვანელობით.

გიორგი ბასიშვილი სცენისათვის იყო დაბადებული და აკი სცენაზე გაატარა თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე მუშაობას სჭირდებოდა დიდი დრო და ფიზიკური ენერჯია, გიორგი მაინც ახერხებდა ყოფილიყო საუკეთესო სპორტულ ფორმაში (თამაშობდა ფეხბურთს, ძალებს სცდიდა კრივში, მეგობრობდა გორის „დილას“ ფეხბურთელებთან, გულშემატკივრობდა მათ სხვადასხვა ქალაქებში, ხშირად

მონაწილეობდა თეატრალურ კოლექტივებს შორის ამხანაგურ შეხვედრებში), გამოენახა დრო ნადირობისათვის (იყო მონადირეთა კავშირის წევრი, ბრაკონიერების სასტიკი მოძულე; თავად არასდროს აიღებდა ხელში თოფს, თუ არ იყო შესაბამისი სეზონი) და მიეხედა ბალისათვის, რომელიც საკუთარი ხელებით გააშენა სოფელ უფლისციხესთან, მაშინდელ (1980 წელს) ე.წ. „ამხანაგურ მებაღეობაში“.

პროფრესიული საქმიანობიდან მორჩენილ, თითქმის მთელ თავისუფალ დროს ატარებდა (მეგობრებთან ერთად) ბაღში, ეფერებოდა და ელოლიავებოდა სადაჩე სახლს, ეზო-კარს, ნარგავებს, ყურძნის ხეივანს...

მისი პირველი თეატრალური აღიარება 1950 წელს მოხდა, როდესაც ცნობილმა რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა მიიწვია გლურჯიძის როლზე პიესაში „სიტაბუკე ბელადისა“. ერთ-ერთი მაშინდელი თეატრალური კრიტიკოსი წერდა „...ვისილეთ გიორგი ბასიშვილის სადებიუტო ნაშრომი; იმედი მაქვს ამ ახალგაზრდისა; ეჭვი არა მაქვს იგი ქართულ სცენას კარგად მოერგება; მე მის თამაშში ახლავე ვხედავ მართალ მსახიობს...“

დიახ, მოერგო გიორგი ბასიშვილი არა მარტო ქართულ თეატრალურ სცენას და კინოს ეკრანს, არამედ ქართველ მაყურებელთა ცხელ და ტემპერამენტულ გულსაც. 1950 წლიდან ვიდრე 70 წლის იუბილემდე გიორგი ბასიშვილმა ორასზე მეტი როლი განასახიერა, როგორც თეატრის სცენაზე, ისე კინოფილმებში.

განსაკუთრებული მაღალმხატვრულობით და გარდასახვის თვითმყოფადობით გამოირჩევიან მისი გმირები: სტალინი („შუქი მიწიდან“), გაბრო („გლახის ნაამბობი“), კრეონი („ანტიგონე“), კრიუგი („თეთრი სენი“), ნილი („მდაბიონი“), ერეკლე და ანანია („ლალატი“), ვალი („არშინ-მაღალან“), ტიგრან გულოიანი („თეთრი ბაირალები“), გიორგი (კ/ფ „სტუმარი“) და მრავალი სხვა.

ახლა გადავხედოთ გიორგი ბასიშვილის მიერ სასცენო მოღვაწეობის განმავლობაში მიღებული ჯილდოების

ჩამონათვალს:

- საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.
- სსრკ კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების სიგელი.
- საქ. სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.
- შრომის ვეტერანის სამკერდე ნიშანი.
- სოცშეჯიბრში გამარჯვებულის სამკერდე ნიშანი.
- ღირსების ორდენი (№04180) და ფართო საზოგადოების მიერ მიძღვნილი გულწრფელი სიყვარული, ოვაციები და თაიგულების ზღვა.

გიორგი ბასიშვილის სამსახიობო ოსტატობას სისტემატურად ეხმაურებოდა ქართული პრესა: „საქართველოს რესპუბლიკა“, „გორელი ფეიქარი“, „ჩვენი თეატრი“, „გორის მოამბე“, „შემოქმედება“, „თეატრის დღე“ (სპეც. ნომერი 2001 წ.), „მე-20 საუკუნის 117 გორელი“ და მრავალი სხვა.

რამდენიმე ამონარიდი მანანა მგალობლიშვილის მიერ მოძიებული მასალებიდან („გიორგი ბასიშვილი“): „...თავისი განუყრელი, ჩატეხილი შლაპით, დადის ქალაქში კაცი, მსუბუქად დაატარებს წლებს და მხოლოდ თეატრის „სტაჟიანმა“ მაყურებელმა იცის, რომ მისი ერთი მართალი, გულიდან ნათქვამი სიტყვა, მიმიკა, უესტი გადასწონის მთელ იმ მაკულატურას, ყალბ ბრწყინვალებას, რომლითაც გულუხვად კვებავს მასობრივი კინო ჩვენს ახალგაზრდობას“ (ვანო ჩხიკვაძე).

„...არასდროს დამავიწყდება გოგი ბასიშვილის მიერ გორის თეატრის სცენაზე შექმნილი სცენური სახეები“ (ვანო ოსაძე).

„ეცადნენ და ვერ გაგხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გაგხადეს ფლიდი,
ამ ცხოვრებას კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე ესეც გმირობაა დიდი“.
(რ. მაღლაკელიძის სიტყვიდან)

„...მაღლობელი ვარ ყველა იმ ორასი როლისათვის, ყველა იმ გულისფეთქვისათვის, ყველა იმ ქართული ძარღვი-

ანი სიტყვისათვის, ყველა იმ გასაოცარი სიმართლისათვის, რომელსაც თქვენ აფრქვევით სცენიდან...“ (ნ. არველაძე).

„...დღეს, რომ მქონოდა უფლება, საქართველოს სახალხო არტისტს მივესალმებოდი... თქვენ სახალხო არტისტი ხართ, ბატონო გოგი...“ (ჯემალ მონიავა).

„...დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი,
ვცოცხლობთ, აღარ ვართ ლანდები,
თუ ხალხს უყვარხარ, იცოდე,
არასდროს დაიკარგები...“ (ლევან ოზგებაშვილი)

მძიმე სენმა გამოსტაცა გიორგი ბასიშვილის სიცოცხლე ქართულ თეატრს და კინოს. 2002 წლის 30 მარტს სცენიდან უკანასკნელად გადმოხედა თავის ქალაქს, ქვეყანას, მაყურებელს... ეს იყო მისი გედის სიმღერა... ამავე წლის 1 მაისს გარდაიცვალა მაღალი დონის პროფესიონალი ხელოვანი, თავმდაბალი, უპატიოსნესი კაცი, რომლის ხსოვნაც სამუდამოდ დარჩება მისი ერთგული და თანამოაზრე მეუღლის ქალბატონ გ. ჯანგიშერაშვილის, მისი შვილებისა და ახლობლების გულებში. გველოცოს მისი ხსოვნის უკვდავყოფისათვის. ამინ!

ბექაური ბენო



გაზეთ „გორის მოამბის“ 2005 წლის №54-ში ვკითხულობთ: „...კვერნაქის ფერდობზე ჰპოვა სამუდამო საგანე და განსასვენებელი კვების მრეწველობის წარჩინებულმა

მუშაკმა, საპატიო ნიშნისა და შრომის წითელი დროშის ორდენებისა და რამდენიმე მედლის კავალერმა, მრავალი საპატიო სიგელისა და მადლობების მფლობელმა, მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის აქტიურმა მონაწილემ, დამსახურებულმა რაციონალიზატორმა, ცნობილმა ინჟინერმა გენო ბექაურმა“.

ხალხმა იცის ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება. გენოს სიცოცხლეშივე მიაგეს სიყვარული და პატივისცემა მისი ნიჭის, კაცობის, შრომისა და რაინდული სულის თაყვანისმცემლებმა. იგი უყვარდა დიდსაც და პატარასაც, ნაცნობსა და უცნობსაც. ამიტომ იყო, რომ 4-5 დღის განმავლობაში არ გაწყვეტილა მის ჩასასვენებელთან ცრემლმომძალეული გორელების (და არამარტო გორელების) ნაკადი. დიდი გულისტკივილით გააცილეს ბატონი გენო უკანასკნელ გზაზე. გლოვობდა ქალაქი, ტიროდნენ ოჯახის წევრები, მეზობლები, კოლეგები და ნაცნობ-მეგობრები. საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ დაკარგა უთვალსაზიროესი ადამიანი და სპეციალისტი.

გენო გიორგის ძე ბექაური დაიბადა 1931 წლის 25 დეკემბერს დაბა ფასანაურში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა, გიორგი იყო პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგი. იგი გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს მიმდინარე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. გენოს დედა კი ღვაწლმოსილი პედაგოგი გახლდათ.

გენო ბექაურმა ოქროს მედლით დაამთავრა ფასანაურის საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის, მანქანებისა და მოწყობილობების ფაკულტეტი, რის შემდეგაც მიენიჭა ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია. ეს იყო 1955 წელს. ამ მომენტიდან იწყება მისი შრომითი მოღვაწეობის რთული, მაგრამ საინტერესო გზა. გენო ბექაურმა თითქმის ნახევარი საუკუნე იმუშავა კვების, კერძოდ საკონსერვო მრეწველობის დარგში და გაიარა ყველა სამსახურებრივი საფეხური რიგითი მექანიკოსი-

დან დირექტორობამდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა წარმოების უფროსისა და მთავარი ინჟინრის რანგში. სწორედ ამ უბნებზე გამობრწყინდა ბატონი გენოს ნიჭი, ცოდნა, სიახლეებისა და ახალი ტექნოლოგიების თუ ტექნიკის დანერგვისაკენ სწრაფვა. თავგამოდებულმა ყოველდღიურმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო – იმდროინდელი საბჭოთა კავშირის საკონსერვო საწარმოთა შორის გორის საკონსერვო გაერთიანება ჩადგა მოწინავეთა რიგებში, რისი დასტურიც გახდა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე მიღებული სიგელები, ჯილდოები, დიპლომები და ა. შ.

გორის საკონსერვო ქარხნის (შემდეგში გაერთიანების) წარმოებულმა პროდუქციამ დაიმსახურა საერთო აღიარება.

გორული პროდუქცია იგზავნებოდა ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: ინგლისი (კაკლის მურაბა), ავსტრია (ატმის ჯემი), აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნა (საბავშვო პროდუქცია) და სხვა.

გენო ბექაური იყო დახვეწილი ტექნიკური აზროვნების პიროვნება, რომელმაც ათეულობით გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება შეიმუშავა და დანერგა, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მისცა წარმოებას.

„კვიცი გვარზე ხტისო“ – გვაქვს ქართველებს ასეთი გამოთქმა. გენო ბექაურის უახლოესი წინაპრები იყვნენ ვლადიმერ ბექაური (სახელგანთქმული ინჟინერ-გამომგონებელი რადიოტექნიკის, კავშირგაბმულობის და ელექტრობის სფეროებში) და ნიკო ბექაური, გენოს ბიძა (ქიმიური ტექნოლოგიების პროფესორი) და სხვა.

მიუხედავად გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა (განსაკუთრებით კი ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავების პიკურ პერიოდში), ბატონი გენო ყოველთვის იყო იქ, სადაც ვინმეს რაიმე უჭირდა და თავისი კეთილი ბუნებიდან გამომდინარე უანგაროდ აკეთებდა, რაც კი რაიმე შეეძლო. საზგასასმელია ის გარემოებაც, რომ გენო ბექაური

სამართლიანად ითვლებოდა გორის ერთ-ერთ მასპინძლად; ჩამოსული თუ მოწვეული სტუმრები ვერ ასცდებოდნენ გენო ბექაურის გულუხვობას, სიტბოსა და მხარდაჭერას, უკვირდათ თუ როგორ ასწრებდა ყველაფრის კეთებას, ყველგან ყოფნას, ყველას დახმარებას; როგორ პოულობდა ყველასთვის შესაფერის სიტყვებს... არც მეგობრების წრეში მოღვინაზე ამბობდა უარს და ხშირად თავად გამოდიოდა ამათუიმ სადღესასწაულო ღვინის ინიციატორის როლში.

გენო ბექაური საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ასწრებდა (რამდენჯერმე იყო ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი), ქარხანაში წარგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებასაც უძღვოდა და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზეც განუწყვეტლივ ზრუნავდა.

მართლაც რომ უნივერსალური შესაძლებლობების მქონე პიროვნება გახლდათ გენო ბექაური. მეტნაკლები იუმორი თითქმის ყველა ქართველს ახასიათებს, მაგრამ ბატონი გენოს იუმორი მაინც თავისებური იყო. მოგვიანებით თუ მიხვდებით მის ხატოვნად ნათქვამის არსს. ამაშიც თვითმყოფადი გახლდათ საკმაოდ სიტყვადახვეწილი კაცი.

მეგობრების მოგონებებიდან: „...მუდამ იჩენდა გულისხმიერებას, იყო თავმდაბალი, მოყვასთა შემწე, უავსიტყვო და უავსაქმო.“ დიახ, ასეთი გახლდათ ბატონი გენო ბექაური, რომელმაც თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა სხვებზე ზრუნვას. თავის თავზე კი ნაკლებად ფიქრობდა, არც წუწუნებდა და არც აწუხებდა არავის თავისი პირადი სიძნელეებისა და პრობლემების გამო.

სიძნელეები კი ბევრი შეახვედრა წუთისოფელმა. მტკივნეული ცხოვრებისეული ჭრილობებით იყო დასერილი მისი კაცური გული (გარდაეცვალა უსაყვარლესი მეუღლე, დები, შვილი), მაგრამ ერთხელაც არ დაუკვნესია, არ ჩაჩოქილა და სულიერი სიმხნევე შეინარჩუნა უკანასკნელ წუთებამდე.


ბატონმა გენომ, თავისი შინაარსიანი სიცოცხლით, დაგვიტოვა ახლობლების, მეგობრების, სიყვარულის, საქმის ერთგულებისა და უანგარო სიკეთის კეთების თვალსაჩინო მაგალითი.

დიდხანს ემახსოვრებათ გორელებს ბატონი გენო. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის მკერდზე დაყრილი კვერნაქის მიწა.

კიდევ კარგი, რომ არსთაგამრიგემ არ მოასწრო უსაყვარლესი და კეთილშობილი შვილის ლევანის ჩამუხვლას და შეხიზვნას კვერნაქის საუფლოში.

ბიძინაშვილი ალექსანდრე

დაუღალავ შრომაში, ადამიანებისადმი უანგარო მსახურსა და ოჯახზე ზრუნვაში გალია ცხოვრების არცთუ მცირე წლები რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა, თანამოქალაქეების საყვარელმა ადამიანმა, ბატონმა ალექსანდრე ბიძინაშვილმა. სიცოცხლე წლების რაოდენობით არ ფასდება მხოლოდ, მას გაწეული სიკეთითა და ღირსეული საქმეებითაც ზომავენ.



მეტად რთული პრობლემებით და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო ბატონმა ალექსანდრემ, მაგრამ მისი მტკიცე ნებისყოფა ვერ გატეხა ვერც სამამულო ომის მრისხანე წლებმა, რომელთა სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდა მისი დაწყების პირველივე დღეებიდანვე.

ბატონი ალექსანდრე 1914 წელს დაიბადა გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში. დაწყებითი განათლება იქვე მიიღო, შემდეგ კი სწავლა თბილისში გააგრძელა, თუმცა მშობლიური სოფლის სიყვარული მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთი წუთითაც არ განელებია.

იგი შევიდა ჯერ თბილისის პოლიგრაფიული მრეწველობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, 1934 წლიდან კი სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. მისი სულიერი სამყაროს ფორმირებაში წარუშლელი კვალი დატოვეს ისეთმა ცნობილმა მედიკოსებმა, როგორებიც იყვნენ: წინამძღვრიშვილი, ნათიშვილი, ერისთავი, ყიფშიძე და სხვები, რომელთა სახელებს ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებდა ბატონი ალესანდრე, ხოლო მისი თანაკურსელები, შემდეგში კი მისი მეგობრები იყვნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები და მკურნალები, როგორებიცაა: ი. ფაღავა, ლ. შეწირული, ს. კობალაძე, რ. გვეტაძე, გ. ბოკერია და სხვა.

ინსტიტუტის დამთავრების პირველსავე წელს, ბატონი ალექსანდრე დაინიშნა გორის რაიონის სოფელ ტირძინისის საექიმო უბნის გამგე-ექიმად, რამდენიმე თვეში კი გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ქ. ბაქოში, სადაც ექიმად მსახურობდა. მისი ახალგაზრდობა მჭიდროდაა დაკავშირებული დიდი სამამულო ომის მძიმე წლებთან. 1941 წლიდან, მეორე მსოფლიო ომის მთელ პერიოდში, იგი მოქმედ არმიაში იმყოფებოდა, ჩრდილო კავკასიის ფრონტზე და უკრაინის ფრონტებზე, შემდგომ კი იბრძოდა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის და ბუდაპეშტის ფრონტებზე. ვაჟკაცურად უძლებდა ესოდენ მძიმე სამუშაოს. ვინ მოსთვლის, რამდენი უძილო დამე გაუტარებია, რამდენი ადამიანისთვის აღმოუჩენია დახმარება, დაუბრუნებია სიცოცხლე, უწილადებია თავისი გულისხმიერება და რამდენი გულწრფელი მადლობა და ლოცვა მიუღია ყოველივე ამისათვის. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ დიდმა მადლმა იხსნა თავად, როცა იგი 1945 წლის იანვარში მძიმედ დაიჭრა ბუდაპეშტისათვის ბრძოლაში და მისი მდგომარეობა სავსებით უიმედო იყო. ომის წარმატებით დამთავრება მას, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფს, პოსპიტალში მიულოცეს. ამ სიხარულმა

გადამწყვეტი როლი იქონია მისი გამოჯანმრთელების საქმეში. 1945 წლის აგვისტოში განთავისუფლებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან, როგორც სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი, სამედიცინო სამსახურის მაიორის წოდებით. სწორედ დიდ სამამულო ომში გამოჩენილი მამაცობისათვის იქნა იგი დაჯილდოებული წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით და მრავალი საბრძოლო მედლით. მიღებული ჰქონდა, ასევე, მთავარსარდლის რამდენიმე მადლობა, საპატიო სიგელები და სამკერდე ნიშნები.

1945 წლის სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო ქ. გურჯაანში, რაიონის საავადმყოფოს მთავარ ექიმად, ხოლო 1947 წლიდან გადმოყვანილ იქნა გორში, სადაც ოჯახი შექმნა უსათნოეს ქალბატონ ვენერა ცუცქირიძესთან ერთად და აქვე დაინიშნა გორის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგედ, სადაც იგი ოცდაშვიდი წლის განმავლობაში მუშაობდა.

მომთხოვნი, მაგრამ სამართლიანი ხელმძღვანელი შესანიშნავად ახერხებდა ჩაენერგა ადამიანებისათვის წარმატების რწმენა, თვითონაც თავდადებით და სიყვარულით ემსახურებოდა თავის საქმეს, მუდამ გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და პასუხისმგებლობის გრძნობით. სწორედ მისი ყოველდღიური ზრუნვით და მცდელობით გაფართოვდა და კეთილმოეწყო გორისა და გორის რაიონში ჯანმრთელობის დაცვის ქსელი, აშენდა გორის რაიონული საავადმყოფო, ბავშვთა რაიონული საავადმყოფო, შინდისის საავადმყოფო და საექიმო ამბულატორიები გორის რაიონის სხვადასხვა სოფლებში; გაფართოვდა სააფთიაქო სამსახური. არაერთ პრობლემას შეჭიდებია დიდი ცოდნითა და სიყვარულით, შეჭიდებია და ლელოც გაუტანია. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ზიდა ჯანმრთელობის დაცვის უადრესად საპატიო და ქვეყნისათვის უკიდურესად საჭირო ტვირთი. სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი, რიგით თუ ხელმძღ-

ვანელ თანამდებობაზე, ყოველთვის რჩებოდა, პირველ რიგში, ადამიანად. იგი ყოველთვის იყო მომავალი კოლეგების გზამკვლევი, არაერთმა ახალბედამ აიღვა ფეხი მისი უშუალო მხარდაჭერითა და დამოძღვრით. მისი ინტელიგენტურობა შესაბამისი დახვეწილობით მუდგანდებოდა როგორც მის საქმიანობაში, ასევე მის პირად, მეგობრულ თუ ოჯახურ ურთიერთობაში. ოჯახი კი მართლაც სანიმუშო ჰქონდა. მეუღლე, ქალბატონი ვენერა, ბიოლოგი იყო. სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა და მალე მოსწავლეთათვის საყვარელ მასწავლებლად იქცა. მის თბილ ღიმილს, გულისხმიერებას და განსაკუთრებულ მომხიბვლელობას დღესაც ხშირად იხსენებენ კოლეგები თუ აწ უკვე თმაშევერცხლილი მისი ყოფილი მოსწავლეები.

ბატონი ალექსანდრე მედიცინის დარგში მიღწეული წარმატებისათვის არაერთხელ იქნა დაჯილდოებული: 1964 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტმა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისა და დამსახურებისათვის მას მიანიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება, ასევე ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორის პირველი კატეგორიის წოდება. მისი პიროვნული თვისება ყოველთვის იყო უხმაუროდ, უანგაროდ ეკეთებინა თავისი საქმე; გამოირჩეოდა უბრალოებით და თავმდაბლობით და თავისი წოდებები და ტიტულები არასდროს გამოუმზეურებია. საკმაოდ სიტყვაძუნწს, განსაკუთრებით საკუთარ თავზე არ უყვარდა ლაპარაკი, რადგან იცოდა, რომ ღირსეულთ უამისოდაც ყოველთვის სიყვარული და პატივი ახლავთ წილად. განვლილ წელთა სიმრავლეს არ გაუფერმკრთალებია მის მიერ დათესილი სიკეთის კვალი. გორელებს კარგად ახსოვთ მისი კეთილი საქმეები. მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო სწორედ სათაყვანებელ თანამოქალაქეთა კეთილი შეხვედრა და მათი გულწრფელი სამადლობელი სიტყვები იყო. ბატონ ალექსანდრეს გამორჩეულ პიროვნულ თვისებებზე საუბრობს მისი

ფრონტელი მეგობარი, შუამთის საშუალო სკოლის დირექტორი ამბროსი შენგელია: „ბედნიერმა შემთხვევამ ოცდაათი წლის შემდეგ შემახვედრა საყვარელ ადამიანს, გულისხმიერ მკურნალს ა. ბიძინაშვილს, რომელმაც ბუდაპეშტის მისადგომებთან მძიმედ დაჭრილი, ზურგით გამომიყვანა ბრძოლის ველიდან, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო, მე კი სიკედილს გადამარჩინა... მტრის ხელყუმბართ დაჭრილი საველე ჰოსპიტალში ვიწექი და თავს დამტრიალებდა პოლკის მთავარი ექიმი, ბატონი ალექსანდრე, რომელიც ჭრილობებს მიხვევდა. სწორედ მისმა თავდადებამ და დიდმა მეცადინეობამ გამომამჯობინა, ჰოსპიტალიდან გამომოსტუმრა და გზა დამილოცა“...

ერთი შეხედვით თითქოს არაფერია უჩვეულო, როცა ჭეშმარიტი ექიმი ყველაფერს აკეთებს ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, ღიახ, ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან მხოლოდ მოვალეობის შესრულება არ კმარა იყო ადამიანების საყვარელი ექიმი. ალექსანდრე კი სწორედ იმ გამორჩეულ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც პროფესიონალიზმთან ერთად ადამიანური სიკეთე იმდენად მოჭარბებულად გააჩნიათ, რომ უხვად უნაწილებენ მას ახლობლებს, კოლეგებს, ახალგაზრდებსა თუ პაციენტებს.

ცხოვრება ხშირად გვაყენებს ისეთ სიტუაციაში, როცა ზნეობრივი არჩევანი უნდა გაკეთდეს, ვთქვათ, კეთილსახელსა და ნივთიერ, თუ მატერიალურ კეთილდღეობას შორის. ალექსანდრეს არასოდეს უღალატია ზნეობრივი პრინციპისათვის, დიდბუნოვნება და უანგარობა ყოველთვის იყო მისი მთავარი თვისება.


ბევრჯერ უსამართლოდაც სტკენია გული, მაგრამ კაცურ კაცს არასოდეს უცდია სამაგიეროს მიზღვა – მუხას ჭია-ღუები აბა რას დააკლებდნენ. სასიხარულოა ის, რომ მის საქმეს უფროსი ვაჟი გამოუჩნდა გამგრძელებლად, ქალიშვილი კი დედის კვალს გაჰყვა, პედაგოგობა არჩია და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გახ-

და. ბატონ ალექსანდრეს სიამაყე კი ორი შვილიშვილი, ალექსანდრე და გიორგი არიან, რომლებსაც ყოველდღიური სიხარული მოჰქონდათ საყვარელი პაპისათვის.

ბოლო წლები ავადმყოფობაში გაატარა ბატონმა ალექსანდრემ. მას გვერდიდან არ მოსცილებია ქალბატონი ვენერა და თავადაც უკვე მძიმე ავადმყოფი, უკანასკნელ ძალას იკრეფდა, ყველასათვის გასაოცარ ძალისხმევას იჩენდა და მზრუნველობას არ აკლებდა მეუღლეს.

წუხდა ბატონი ალექსანდრე საქართველოში ბოლო წლებში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, გულთან ახლოს მიჰქონდა სამშობლოს სატკივარი და იმედოვნებდა, რომ მის შვილიშვილებს უკეთეს საქართველოში მოუწევდათ ცხოვრება. სწორედ ამაზე ზრუნვას შეაღია მან თავისი შეგნებული სიცოცხლე.

ბურჯანაძე თენგიზი



ვინ არ ინატრებდა, პატივცემულო მკითხველო, რომ მისი სახელი ეწოდებინათ მშობლიური ქალაქის (დაბის, სოფლის) რომელიმე მნიშვნელოვანი (თუნდაც ნაკლებმნიშვნელოვანი) ობიექტისათვის. ასეთი რამ ხომ არცთუ ისე ხშირდ ხდება.

თენგიზ ბურჯანაძის სახელი დაერქვა ქ. გორის ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონს და ეს გახ-

ლათ ხალხისა და ქვეყნის მიერ იმ დიდი მადლიერების გამოხატვა და აღიარება, რასაც სამართლიანად იმსახურებდა ბატონი თენგიზი. დიახ, თენგიზმა დაიმსახურა ასეთი აღიარება, რაც, რაღათქმაუნდა, არ ყოფილა მისი თვითმიზანი. იგი ბუნებით იყო მოწოდებული დიდი ფეხბურთისათვის, მას ყველაფერი გააჩნდა საამისოდ – მხურვალე გული, გამჭრიახი გონება, ფიზიკური კონდიციები, ფილიგრანული ტექნიკა და ჟინი, დაუოკებელი ჟინი.

გორელებს არასოდეს დაავიწყდებათ გულშემატკივრების ოვაციებით აზანზარებული ტრიბუნები, ხმაჩახლეჩილი ფანების სიხარულით ანთებული თვალები და დაღამებამდე ცარიელ ტრიბუნებს შემორჩენილი ცალკეული ჯგუფების ემოციური სჯა-ბაასი განვლილი მატჩის პერიპეტებზე. როცა (1964 წ.) თბილისის დინამო პირველად გახდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში, მეორე დღეს გაზეთები წერდნენ, რომ ფაბრიკებსა და ქარხნებში შრომის ნაყოფიერებამ ოცი პროცენტით მოიმატაო. აი, ასეთი ძალა აქვს ფეხბურთს.

თენგიზ ბურჯანაძის საფეხბურთო ბატალიები პროცენტებით არავის შეუფასებია, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მან, თავისი ლამაზი და ეფექტური თამაშით, ბევრს მოჰგვარა თვალზე სიხარულის ცრემლი, ბევრმა იმედგაცრუებულმა ირწმუნა თავისი ძალების; მრავალმა პატარა ბიჭმა ოცნების მზერა მიაპყრო თავის საფეხბურთო მომავალს; ბევრ ქალიშვილს გაექცა თვალი აქამდე ათვალისწინებულ ფეხბურთელისაკენ, ბევრმა დედამ საფეხბურთო სკოლაში წაიყვანა შვილი...

წინამდებარე წიგნი იწერება თენგიზ ბურჯანაძის დაბადებიდან მე-60 წლის თავზე. დაე, ეს სტრიქონები იყოს ფეხბურთის გულშემატკივრის და იუბილარის ლამაზი თამაშით მოხიბლული კაცის მცირედი სამახსოვრო საჩუქარი. ბატონი თენგიზის დაბადებიდან 50 წლის იუბილე კი (1997 წ. 10 ივლისი) საზეიმოდ აღინიშნა ქ. გორში. მოსალოცი წერილები და ტელეგრამები მრავალი მოვიდა იმ დღეს იუბილარის სახელზე სხვადასხვა

კუთხიდან. ათასობით გულშემატკივარმა მოულოცა ბატონ თენგიზს 50 წლისთავი და უსურვა ჯანმრთელობა და ღიძხანს სიცოცხლე. ქ. გორის ცენტრალურ სტადიონზე შესდგა საბენეფისო მატჩი გორის „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ ვეტერან ფეხბურთელთა შორის.

იუბილარს დაბადების დღე მიულოცეს წარსულში ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებმა: ვ. ელოშვილმა, გ. პეტრიაშვილმა, დ. ყიფიანმა, რ. შენგელიამ, თ. სულაქველიძემ, ძმებმა მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეებმა და სხვებმა.

თენგიზ ბურჯანაძის პიროვნული პორტრეტის ზოგიერთი შტრიხის წარმოსაჩენად მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს ქალბატონ მ. კაჭაშვილის წიგნიდან „თენგიზ ბურჯანაძე“:

– „...ნიჭიერებასთან ერთად მას დიდი შრომისუნარიანობა, მტკიცე ნებისყოფა, მიზანსწრაფულობა ახასიათებდა...“

– „...მისი მაღალტექნიკური და ელევანტური თამაში გაოგნებულს ტოვებდა მაყურებელს...“

– „...ის უნიკალური ფეხბურთელი იყო: დახვეწილი, დროული პასით, დიდი სამოქმედო დიაპაზონით, უბრწყინვალესი დარტყმით... თამაშში სილაღე და იმპროვიზაცია უყვარდა; მახვილი თვალი ჰქონდა, მშვენივრად ხედავდა მთელ მოედანს...“

თენგიზ პავლეს ძე ბურჯანაძე დაიბადა 1947 წლის 10 ივლისს. დაამთავრა გორის №11 საშუალო სკოლა, შემდეგ კი ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტები. ბავშობიდანვე იყო გატაცებული ფეხბურთით და ადრეულ ასაკშივე მიიქცია სპეციალისტთა ყურადღება. თამაშობდა გორის „დილაში“, ქუთაისის „ტორპედოში“ და თბილისის „დინამოში“. სწორედ „დინამოში“ თამაშის დროს გაიტანა საიუბილეო მე-1400 გოლი ტაშკენტის „პახტაკორის“ კარში.

თენგიზ ბურჯანაძე გორელობის განსახიერება იყო. გამოირჩეოდა ხაზგასმული პატრიოტიზმით. მას, რო-

გორც სპორტსმენს და როგორც მოქალაქეს ძალიან უყვარდა მშობლიური ქალაქი – თბილისის „დინამოც“ კი მიატოვა. გორის გარეშე უჭირდა ცხოვრება.

აქტიური ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, ცხოვრების ორომტრიალში ჩაერთო და ახლა სამეურნეო სფეროში მოსინჯა თავისი ძალები. აქაც მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდა ბატონი თენგიზი. სადაც კი იმუშავა, ყველგან დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა.

სამეურნეო საქმიანობის წლებშიც არ მოუკლია ყურადღება ფეხბურთისათვის – იყო გორის „დილას“ კლუბის პირველი პრეზიდენტი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი და ა. შ. „დილას“ კლუბი და ფეხბურთელები ყოველთვის გრძნობდნენ ბატონი თენგიზის მხარდაჭერას.

ღვაწლმოსილი და ლამაზი ოჯახის შვილი (მამა, პავლე მოსეს ძე ბურჯანაძე, დედა ქალბატონი მარიამ ნოკოლოზის ასული სამხარაძე, და ლიანა) თენგიზ ბურჯანაძე თავადაც იყო ბრწყინვალე ოჯახის პატრონი – უერთგულესი და მომხიბვლელი მეუღლე ქალბატონი ნუნუ, სამი ვაჟკაცი შვილი და სამი შვილიშვილი – აი, მისი დანატოვარი.

2003 წლის 1 მარტს გორის საზოგადოებრიობამ, ფეხბურთის ათასობით მოყვარულმა და ნაცნობ-მეგობრებმა საყვარელი სტადიონის მწვანე მინდვრიდან ცრემლებით, ყვავილებით და დიდი გულისტკივილით გააცილეს ბატონი თენგიზი სამუდამო სასუფევლისაკენ მიმავალ გზაზე.

გორს გამოაკლდა გულითადი ადამიანი, რაინდული შემართებისა და მდიდარი სულის პატრონი კაცი, კარგი მეოჯახე, მამა და ბაბუა, ფეხბურთის დიდოსტატი, მეგობრების კერპი, პატრიოტი პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ნამუსიანი კაცის სახელით იცოცხლა.

შენ უამრავი ტაში გიბოძეს,
მოხიბლულებმა პასის ყაილით,
ცხოვრებაშიც და მწვანე მინდორზეც,
მკერდაღმართული ქროდი რაინდი.

გაგნიძე ბექანი



გორელებმა დიდი წუხილითა და გულისტკივილით გააცილეს უკანასკნელ გზაზე ბექან გაგნიძე. ეს იყო 2001 წლის გაზაფხულზე. უამრავი ადამიანი ესწრებოდა სამგლოვიარო პროცესიას, თვალცრემლიანი ემშვიდობებოდნენ ქალაქის ერთ-ერთ პოპულარულ და ღირსეულ კაცს.

„... მან კი გულები დაგვწყვიტა ბოლოს,

კაცმა, რომელიც დააკლდა ქალაქს“...

(მ. ქვლივიძე. გიორგი შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსიდან)

ადვილი როდია იმის მიღწევა, რომ ქალაქმა მოინაკლისოს კაცი. ასეთ საყოველთაო აღიარებას სჭირდება ათეული წლების დაუღალავი შრომა, სიკეთის თესვა,

ქველმოქმედება, სიმართლისა და სამართლის გაფეტიშება, პატიოსნება, ერთგულება, სამშობლოს სიყვარული, სანიმუშო მეგობრობა და მეოჯახეობა, სტუმართმოყვარეობა, ზომიერი თავმდაბლობა, პრინციპულობა და ა.შ.

სწორედ ამ თვისებებით იყო შემკობილი, მუდამ გულისხმიერი და მჭერმეტყველებით გამორჩეული ბექან



გაგნიძე, რომელმაც, სულ რაღაც 40-45 წელი გორში ცხოვრების პერიოდში, დაიმსახურა უდიდესი პატივისცემა და აღიარება.

ბექან გაგნიძე დაიბადა საქართველოს უღამაზესი კუთხის, რაჭის სოფელ ირიში. რვაწლიანი და საშუალო სკოლების შემდეგ დაამთავრა პროფტექნიკური სასწავლებელი და 1961 წელს სამუშაოდ მოეწყო გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში

დაიწყო შრომითი ცხოვრების (სამწუხაროდ ხანმოკლე) ურთულესი, თუმცა საინტერესო, გზა. ამ გზაზე მტკიცე ნაბიჯებით მიმავალ ბექან გაგნიძეს ვერ წარმოედგინა, თუ დაახლოებით ორმოცი წლის შემდეგ რა ტკივილს მიაყენებდა, იმქვეყნად უდროოდ წასვლით, თავის მრავალრიცხოვან ოჯახს, საზოგადოებას, შრომით კოლექტივს და სამოსს.

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში ბექან გაგნიძემ იმუშავა მშენებლად, ოსტატად, უფროს ოსტატად, საამქროს უფროსად, მმართველის მოადგილედ, პარტიული კომიტეტის მდივნის პირველ მოადგილედ.

სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა ქალაქის ენერგოკომპანიაში, სასტუმროების გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილედ და „გორვაჭრობის“ ათასხუთასკაციანი კოლექტივის ხელმძღვანელად.

ბექან გაგნიძის გარდაცვალებას გამოეხმაურა გორისა და გორის რაიონის თითქმის ყველა გაზეთი. აი, რას წერდა გაზეთი „გორის მოამბე“: „...სადაც კი უმოღვაწია, სადაც კი ფეხი დაუდგამს, ყველგან დაუტოვებია უღევი სიკეთე, გულის ნაწილი და სიხარული...“

ბატონ ბექანს ძალიან უყვარდა მშობლიური სოფელი ირი, რომელიც ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია. გულისტკივილით უთქვამს ბექანს:

„...იქით ისე არ წავიდე, სახლი არ დავტოვო ირში...“

სამწუხაროდ, არ დასცაღდა ახალი სახლის აშენება. ბექანის მეუღლე, ქალბატონი ციური იგონებს, რომ, თურმე მის მეუღლეს ლექსების წერაც უყვარდა, მაგრამ

არ ცდილობდა მათ გამომზეურებასო. ლექსის წერა კიდევ ერთი ნიშანია ბეჟანის სულის სიწმინდისა და ნიჭიერებისა, ხოლო მათი არგახმაურება კი ხაზს უსვამს მის თავმდაბლობას და მორიდებულობას.

რომ არა ნაადრევი სიკვდილი, შეიძლება, გვეხილა ბეჟან გაგნიძის ლექსების კრებულიც, მაგრამ...

საყვარელმა მეუღლემ, ქალბატონმა ციურიმ, ჩვენი თხოვნით, მაინც გაგვიმუღავნა ამონარიდი ბეჟანის ერთი ლექსიდან:

„...სამშობლო უნდა გიყვარდეს,
იმის გულ-ღვიძელში ტრიალი –
ჭირის დროს ცრემლის მოდენა,
ომის დროს თოფის გრიალი...“

ბეჟან გაგნიძეს რომ სამშობლო უყვარდა, არაერთხელ დაუმტკიცებია თავისი საქმიანობით და ცხოვრების წესით. მარტო ის რად ღირს, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდას შვიდი შვილიშვილი უმშვენებდა მხარსა და გვარს.

ღღერძელნი იყვნენ ბეჟან გაგნიძის შთამომავალნი!

ბეჟან გაგნიძის მეგობრები ხშირად აღნიშნავენ, რომ მას (ბეჟანს) განსაკუთრებით უყვარდა და პატივს სცემდა უბრალო და გაჭირვებულ ხალხსო. აფერუმ, შენს ვაჟკაცობას, ბეჟან!

ოჯახის ახლობლები იხსენებენ – ბოლო წლებში ბაღში ფუსფუსი შეუყვარდაო. უვლიდა და თავს ევლებოდა ნარგავებსო. განსაკუთრებული სინაზით და მზრუნველობით პატრონობდაო ვაზს. ესეც ნიშანდობლივია – ქართველი კაცის სიძლიერე ხომ ვაზის ფესვებიდან იღებს სათავეს და თუ ეს ასეა, ვუსურვოთ ბეჟან გაგნიძის შთამომავლებს: არ გაეხმოთ ღირსეული წინაპრის ვაზი, ღირსეულად გაევილოთ სავალი გზები და თესონ სიკეთე გაგნიძეთა გვარის უკვდავსაყოფად.

დაე, არ მოჰკლებოდეს ცოცხალი ყვავილები კაცური კაცის მუდმივ სასუფეველს.

ბამბუკელი ზაზა (ზურა)



ზაზა (შუაში) ბრძოლის წინა ხაზზე

ელვასავით გადაიქროლა ზაზას სიცოცხლემ გამგებულთა საგვარეულო ისტორიის ცაზე. სულ ოცდაექვსი გაზაფხულის სურნელებით მოასწრო დატკობა და გახარება. ოცდაექვსჯერ იზეიმეს ახლობლებმა მისი ამქვეყნაზე მოვლინების დღე... ოცდამეშვიდე ზეიმი აღარ შედგა...

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება დაჭაობებულ მდინარესავით მდორედ მიედინება და ალაგალაგ შმორის სუნი ასდის. ასეთ ადამიანებს სამი-ოთხი სიცოცხლეც რომ მისცენ, მაინც ღირსეულს და დამამახსოვრებელს ვერაფერს შექმნიან. მდორედ მოდიან და ასევე მდორედ მიდიან.

ზაზა გამგებელის ოცდაექვსწლიანი სიცოცხლე კი გაზაფხულის არავს ჰგავდა – აბობოქრებულს, ხმამჭექარეს და რბოლით გაუმადლარს. რამდენი რამ მოასწრო სიცოცხლით საესე და სიცოცხლის მოყვარულმა ვაჟკაცმა: სკოლა (ჯერ მე-9 და შემდეგ მე-2 საშუალო, რომელიც წარჩინებით და სანიმუშო ყოფაქცევით დაამთავრა 1984 წ.), სავალდებულო სამხედრო სამსახური ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში (ქ. კოსტრომა), მუშა (ს. ვარიანის მეურნეობაში და შემდეგ ხილბოსტნეულის საცავში), ინსპექტორი (თბილისის ტელევიზორების ქარხანა), შინაგან საქმეთა სამინისტროს საბაზო გან-

ყოფილება (ქ. ცხინვალი), მილიციის უმაღლესი სასწავლებლის ერთ-წლიანი კურსები (ქ. სტავროპოლი), მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი (დაამთავრა დაუსწრებლად), გორის შ/ს საქალაქო დაცვის განყოფილება, გორისა და გორის რაიონის სამოქალაქო დაცვის შტაბის უფროსი, ლეიტენანტის წოდება, სამხედრო სადაზვერვო სამსახურის უფროსის მოადგილე, მეუღლე და ორი ულამაზესი ქალიშვილი, გორელების (და არამარტო გორელების) სიყვარული და ბოლოს გმირული სიკვდილი საქართველოს მთლიანობისათვის, მშობლიური ქალაქის და ოჯახის ღირსებისათვის და შვილების უკეთესი მომავლისათვის.



ღიას, ზაზამ ყველაზე ძვირფასის, სიცოცხლის შეწირვაც მოასწრო თავისი კაცობის ოცდამეშვიდე წელზე და კიდევ ერთი უკვდავი ფურცელი ჩაწერა ბედკრული მამულის გაუთავებელი ომების ისტორიაში.

იფურცლებოდა 1993 წლის ივლისის კალენდარი. იდგა 9 რიცხვი. ზაზა ამჯერად გორის სასწავლო ცენტრის ბატალიონთან ერთად კვლავ წავიდა აფხაზეთისკენ (იგი ადრეც რამდენჯერმე იყო იქ, ისევე როგორც სამაჩაბლოში და კარგად იცოდა არსებული საბრძოლო ვითარება) და რა იცოდა, რომ ეს მისი ბოლო გაბრძოლება იქნებოდა და ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებოდა, არადა 28 ივლისს დაგეგმილი ჰქონდა დიპლომას დაცვა მოსკოვში.

„... ომში იცნობა რაინდი,
ვინ შეგიცვლიდა არჩევანს?
გორიდან მართვე აფრინდი,
მამულის გადასარჩენად!“ (ბ. ნოზაძე)

ადგილზე ჩასვლისთანავე ჩაება აქტიურ საბრძოლო ოპერაციებში. სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პოზიციებს იცავდნენ ჩეჩენი და სხვა ჯურის მომხვ-

დურებისა და აფხაზი სეპარატისტების შემოსევებისაგან შრომა-ახალშენის მიდამოებში.

ძნელი და წარმოუდგენელიც არის, რომ ადამიანმა წინასწარ დაგეგმოს გმირობის დონის ქმედება. საუბარია თავგანწირვაზე პირდაპირი და სრული გაგებით. ასეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაბიჯს ადამიანი დგამს სიტუაციიდან გამომდინარე, დაუყოვნებლად და გაბედულად, მაგრამ ეს ყველას როდი შეუძლია?! საჭიროა შინაგანად იყო საამისოდ მზად და, რაც მთავარია, აღზრდილი იყო შესაბამისი სულისკვეთებით და ზაზა გამგებელი იყო სწორედ ასეთი შემართებისა და სულიერი სიდიადის პატრონი, რაშიც დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშეს ზაზას მშობლებმა – ქალბატონმა ლიამ და ბატონმა გივიმ, რომელთაც გვერდში ედგნენ გორის მე-2 და მე-9 სკოლების პედაგოგ-აღმზრდელები...

რამდენიმე დღის პოზიციური ბრძოლის შემდეგ, საბრძოლო შენაერთს, რომელშიც იბრძოდა ზაზა, შეექმნა კრიტიკული და სახიფათო სიტუაცია. მოსალოდნელი იყო მათი ალყაში მოქცევა. საჭირო იყო სასწრაფო და სწორი სამხედრო მოქმედება და ზაზამაც არ დააყოვნა. ამოვიდა თავისი საფარიდან და გაბედულად შემოირბინა სანგრებში გამაგრებულ მებრძოლთა ცალკეული ჯგუფები, აუსხნა შექმნილი ვითარება და მისცა დავალებები. მოკლე გადარბენებით შემოიარა ყველა სანგარი და სწრაფადვე დაბრუნდა უკან, მაგრამ თავისი სანგრის პირზე წამოეწია ჩასაფრებული სნაიპერის ტყვია...



თვითმხილველების გადმოცემით (წულაია), ზაზას ბოლო სიტყვები იყო „...არ დაიდარდო, დედაო“ – ეტყობა გულში დარდი ჩარჩა, რომ წამოსვლისას დედას წესიერად ვერ გამოემშვიდობა.

იდგა საბედისწერო 1993 წლის 21 ივლისი, დაახლოებით 16 საათი. გლოვის შავი ღრუბელი დააწვა ღია და გივი გამგებლების ოჯახს. აღარ ჰყავდათ მომავლის იმედი. ცრემლმა და სევდამ დაისადგურა ლიკასა და მანანას ნორჩ გულებში. გლოვობდა სანათესაო, სამაკაცო, სამეზობლო, გლოვობდა გორი და სრულიად საქართველო.

„...ვის რა პასუხი გაეცა,

ცრემლიც გამშრალა ვერანი,

ბიჭი გმირულად დაეცა –

ქართველის ბედისწერანი...“ (ბ. ნოზაძე)

გორის რაიონის გამგეობისა და გორის მერიის გადაწყვეტილებებით, ზაზა გამგებლის სახელი ეწოდა გორში, პუშკინის ქუჩის ჩიხს და მშობლიურ მე-2 საშუალო სკოლას.

სამწუხაროდ, აღნიშნულ სკოლას დღეს აღარ ამშვენებს შესაბამისი აბრივიატურა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამართლიანობა აღდგება და შესაბამისი დაფა კვლავ დაიკავენს თავის კუთვნილ ადგილს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზაზას მამა, გივი გამგებელი გამოირჩევა თავისი ქველმოქმედებით. შვილის სიკვდილამდეც და მის შემდეგაც მრავალჯერ ამოუდგა მხარში სხვადასხვა სამხედრო ნაწილის მებრძოლ ბიჭებს და ზაზას სკოლას. არც აფხაზეთში მებრძოლთა ფონდისთვის დაიშურა ფინანსური დახმარება და ჩარიცხა საკმაოდ სოლიდური თანხა.

აი, რას წერდა გაზეთი „ქართლი“ (2002 წ. 23 ნოემბერი): „გივი გვერდით ედგა ბიჭს სამაჩაბლოში და შვილთან ერთად იბრძოდა აფხაზეთში... რამდენიმე წელს მის სახლში იცხოვრა სამაჩაბლოდან დევნილმა გუგუელი ოქროაშვილის ხუთსულიანმა ოჯახმა; აფხაზეთიდან დევნილი თენგიზ აჭარბის ცხრასულიანი ოჯახი წამოიყვანა შინ და სოფელ თედოწმინდაში ორსართულიანი სახლი დაუთმო!

ამ კაცის გაზრდილი იყო ზაზა.

მამის სიკეთეს ავსებდა და აღამაზებდა დედის მოკრძა-

ლება და სითბო“.

„...გადმომცემები სისხლის:

პაპის პაპა, თუ მამა...

არასდროს სწვენედნენ სირცხვილს,

სირცხვილი არც ვინ ჭამა...“ (ვ. შიუკაშვილი)

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 15 იანვრის №25 განკარგულებით, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის ლეიტენანტი ზაზა (ზურა) გამგებელი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ჯანმრთელობა და მზეგრძელობა ქალბატონ ღიას და ბატონ გივის ასეთი ვაჟკაცის აღზრდისათვის.

გოგოლაძე ბიჭო



დაიბადა ქ. ბორჯომში 1935 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს.

დედა, ელენე ილიას ასული გელაშვილი იყო დიასახლისი და მთელი თავისი სიცოცხლე ერთადერთი შვილის აღზრდასა და დავაჟკაცებას შეაღია.

მამა (მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი) ალექსანდრე მუშაობდა ბორჯომის სატყეო მეურნეობაში

სხვადასხვა თანამდებობაზე და უმაღლესი პროფესიონალიზმით და გამორჩეული ერთგულებით ემსახურებოდა ულამაზესი და უნიკალური ტყეების დაცვის საშვილიშვილო საქმეს.

მძიმე წლებში მოუწია გივი გოგოლაძეს ბავშობის ასაკმა – გაუმართლებელ მასიურ რაპრესიებს მოეცვა ქვეყანა, ქაოსი და მატერიალური სიდუხჭირე იგრძნობოდა ირგვლივ, დასავლეთიდან მსოფლიო ომის ხმები მოისმოდა, ხალხი რაღაც დიდი უბედურების მოლო-

დინში იყო...

გივი გოგოლაძემ ბავშობა და სიყმაწვილე დაბა წაღვერში გაატარა, აქვე დაამთავრა სკოლა, ხოლო შემდეგ ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი (აღბათ მამის ვაჟკაცური პროფესიისადმი პატივისცემით, ან შეიძლება ბორჯომის ხეობის, მისი მთებისა და ტყეების განუმეორებელი სილამაზის დაცვის სურვილით). შემდეგ კი იყო სწავლა და ფიზიკური წრთობა სავალდებულო სამხედრო სამსახურის არენაზე (მომავალში გივი არაერთხელ იტყვის – ყველა თავმოყვარე ვაჟმა აუცილებლად უნდა გაიაროს სამხედრო მომზადების კურსები).

დადგა უმაღლესი განათლების მიღების დროც და გივი გოგოლაძემ, შეიძლება ითქვას, ყველასათვის მოულოდნელად, გადაწყვიტა გამხდარიყო პედაგოგი. მის გადაწყვეტილებას წინ რაღა დაუდგებოდა?! – 1963 წელს დაამთავრა გორის ნიკილოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის სპეციალობით. იმუშავა კასპის რაიონში (სოფ. რეხა) სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად, შემდეგ ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ და ისტორიის მასწავლებლად; ეს იყო 1964-66 წლებში.

დაუდგრომელი სულითა და მუდმივი ძიების სურვილით შეპყრობილმა ახალგაზრდა პედაგოგმა კვლავ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ახალი სპეციალობის მიღების მიზნით სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ახლა უკვე სამდიპლომანი გივი გოგოლაძე მტკიცე ნაბიჯებით გაუყვა ცხოვრების ურთულეს, მაგრამ მაინც ლამაზ გზას. ამასობაში მოასწრო მშვენიერი ოჯახის შექმნა. ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად შეარჩია ქალბატონი ლამარა, რომელიც ამჟამად მუშაობს გეოგრაფიის მასწავლებლად გორის მე-10 საჯარო სკოლაში.

გივი გოგოლაძის ხსოვნას გულით დაატარებენ მისი ქალიშვილები – ნანა (მუშაობს გორის სახელმწიფო

უნივერსიტეტში), ნინო (კოლეჯის პედაგოგი), შვილიშვილები – ანა და ნანა (მოსწავლეები), ასევე სძიები – გია ბუნხიკაშვილი და რევაზ მეტრეველი.

ვინც გივი გოგოლაძეს იცნობდა, დაგვერწმუნება, რომ სწორედ სამართლიანობისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში იყო გივის ადგილი. თითქმის 30 წელს მოღვაწეობდა ძალოვან სტრუქტურებში და არაერთხელ დაამტკიცა თავისი კაცობა, გამბედაობა, პროფესიის სიყვარული და რაც მთავარია, ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი, ობიექტურობისა და ადამიანებთან კეთილი ურთიერთდამოკიდებულებისაკენ ლტოლვის შეურყეველი უნარი. მისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი ერთგული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დასადასტურებლად გამოდგება მთავრობისა და ხელისუფლების არაერთი ჯილდო და პროფესიული იერარქიის კიბეზე სწრაფი აღმასვლა. (პოდპოლკოვნიკის წოდება; სამი მედალი, ორი საპატიო სამკრდე ნიშანი და მრავალი მადლობა და საპატიო დიპლომ-სიგელი).

გივი გოგოლაძემ ყაზახეთის ყამირი მიწების ათვისებაშიც მიიღო მონაწილეობა. იგი აქტიურად მონაწილეობდა, იმ დროს ისტორიულ კამპანიად აღიარებულ ღონისძიებაში და ორჯერ იყო ყამირელთა ყრილობის დელეგატი.

რა სძულდა გივი გოგოლაძეს: ორპირი, მშიშარა კაცი, სიცრუე, სიზარმაცე, გაუტანლობა, ძალადობა, ქურდობა და უმუშევრობა. რა უყვარდა გივი გოგოლაძეს: სამშობლო და მისი ისტორია, ოჯახი, მეგობრები, მეზობლები, შრომა, წმინდა ადგილები, ნადირობა, თხილამურები და ახლობლებთან ერთად ტყის პირას გაშლილი სუფრა.

გივი გოგოლაძის მეუღლე ქალბატონი ლამარა იხსენებს: „... ისე გახდა 66 წლის, რომ არ იცოდა რა იყო ექიმი, ან რა იყო წამალი...“

ჯანმრთელ სხეულში რომ ჯანმრთველი სულია – ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა გივი გოგოლაძემ თავისი კაცობით და ცხოვრების წესით.

გვერდწითელი თეიმურაზი



თეიმურაზ არჩილის ძე გვერდწითელი დაიბადა ქ. გორში, 1932 წლის 26 ივლისს, სწავლული აგრონომების, სოფიო ტიტვინიძისა და არჩილ გვერდწითელის, ოჯახში. თეიმურაზი პირველი და კარგახანს ერთადერთი შვილიშვილი იყო დიდი ოჯახისა, რომლის სათავეში იდგა ქართლში (და არამარტო ქართლში) ცნობილი მკურნალი ექიმი გაბრიელ გვერდწითელი მეუღლესთან, მარიამ ალავექესთან ერთად. თეიმურაზი ოჯახის პაპა-დეიდებისა და ოჯახის სხვა წევრების ნებიერა იყო, თუმცა ამ ვითარებას მისი ხასიათის ჩამოყალიბებაზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია. ბედნიერი ცხოვრება კი მალე შეწყდა. 1937 წლის ცნობილი მოვლენების გამო 5 წლის თეიმურაზი მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩა. მამის კვალი დაპატიმრების დღიდანვე დაიკარგა, ხოლო დედა 7 წლის შემდეგ დაუბრუნდა ოჯახს.

თეიმურაზის მომავალზე ზრუნვა დედ-მამის მშობლებმა იკისრეს და არაფერი დაუშურებიათ შვილიშვილის სასახელოდ აღზრდისათვის.

იმ დროიდან, როცა დედას გადასახლებიდან წერილის გაგზავნის ნება დართეს, პატარა თეიმურაზი, ჯერ უფროსების დახმარებით, შემდეგ კი დამოუკიდებლად ატყობინებდა დედას ოჯახისა და სკოლის ამბებს. სკოლის ამბები კი დედისათვის ყოველთვის სასიამოვნო იყო: „გადავედი მეორე, მესამე... კლასში, ქების სიგელით“...

1944 წელს თეიმურაზის დედა ყაზახეთიდან დაბრუნდა. კარგა ხანს უჭირდა შვილს, გადაჩვეული სიტყვის „დედას“ წარმოთქმა. დედას სახელითა და მამის სახელით მიმართავდა, შემდგომშიც იგი დედას სიკვდილამდე „დეკოს“ ეძახდა.

1951 წელს თეიმურაზმა წარმატებით დაამთავრა გორის ვაჟთა II საშუალო სკოლა და გადაწყვიტა სწავლა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე, ატომური ფიზიკის განხრით გაეგრძელებინა, თუმცა ამ სურვილს ასრულება არ ეწერა. „ხალხის მოღალატის“ შვილს მოსკოვში უარი უთხრეს განცხადების შეტანაზე. თეიმურაზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. იგი სანიმუშო სტუდენტი იყო, ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა პედაგოგებსა და სტუდენტებს შორის. როგორც მისი თანაკურსელები აღნიშნავდნენ (კურსი კი საკმაოდ ძლიერი იყო, შემდგომში რამდენიმე აკადემიკოსი, პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატი მოღვაწეობდა ამ კურსიდან როგორც საქართველოში, ასევე მის გარეთ) თეიმურაზი კურსზე საუკეთესო ექსპერიმენტატორი იყო და ეს თვისება მას ბოლომდე გაჰყვა.

უნივერსიტეტი თეიმურაზ გვერდწითელმა 1956 წელს დაამთავრა. იმ ხანად გორში მას დედა და დიდედა ელოდნენ. თეიმურაზმა უარი თქვა შეთავაზებულ წინადადებაზე დარჩენილიყო თბილისში და გადაწყვიტა მშობლიურ ქალაქში დაბრუნება. სწორედ იმ ხანებში, გორში ფუნქციონირება დაიწყო სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა, სადაც დაიწყო მან მუშაობა ტექნიკოსად, ერთი წლის თავზე კი ინჟინრის თანამდებობაზე. 1958 წლიდან თეიმურაზი უკვე ლაბორატორიის გამგეა, ხოლო 1961 წლიდან – განყოფილების გამგე. პენსიაზე გასვლამდე (1992 წელი) იგი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა ინსტიტუტში განყოფილების გამგის, მთავარ ინჟინრის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მეცნიერ-მუშაკის თანამდებობებზე. იგი მონაწილეობდა ინსტიტუტში

განხორციელებულ სამუშაოთა პრაქტიკაში დანერგვაზე და თანამშრომლობდა მონათესავე ინსტიტუტებთან საკავშირო მასშტაბით.

ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდში თეიმურაზმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ათეულობით პრობლემატური საკითხის გადაწყვეტაში. გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო შრომა და მიიღო რამდენიმე საავტორო მოწმობა გამოგონებაზე.

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად თეიმურაზ გვერდწითელი ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც იყო ჩაბმული, როგორც ადგილობრივი საბჭოს დეპუტატი, აღმასკომის წევრი და სხვა. თეიმურაზი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა პედაგოგიურ საქმიანობას, რომელსაც იგი ეწეოდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და შემდეგ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის იგივე ფაკულტეტზე (დევნილობის პერიოდში).

გასული საუკუნის ბოლოს განვითარებულმა მოვლენებმა ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი უფუნქციოდ დატოვა. განადგურდა გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც. მიუხედავად ამისა თეიმურაზი მაინც განაგრძობდა მუშაობას რამდენიმე პროექტზე, რომლებიც დაკავშირებული იყო გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებასთან სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში, თუმცა განუკითხაობამ და უსამართლობამ, რომელიც მაშინ სუფევდა საქართველოში, შინაგანად დიდი გავლენა იქონია მასზე და სრულიად მოულოდნელად, ჯერ კიდევ სამომავლო გეგმებზე მეოცნებე კაცი განეშორა ამ წუთისოფელს. იგი გარდაიცვალა 2001 წლის 24 აგვისტოს 69 წლის ასაკში.

თეიმურაზს უსაზღვროდ უყვარდა თავისი ქალაქი, ქვეყანა. ოჯახთან ერთად ხშირად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და არა მარტო საქართველოში. ფეხით ჰქონდა მოვლილი საქართველოს მთიანე-

თი და თითქმის მთელი ჩრდილოეთ კავკასია.


თეიმურაზ გვერდწითელის თვალსაწიერი მხოლოდ ტექნიკური მეცნიერებების დეტალური ცოდნით არ შემოიფარგლებოდა. იგი მშვენივრად ერკვეოდა სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში. განსაკუთრებით იზიდავდა კლასიკური მუსიკა, საოპერო ხელოვნება. ბავშვობიდან აგრძელებდა ოპერის ცნობილი მომღერლების, მაშინ ჯერ კიდევ იშვიათ ჩანაწერებს და მეგობართან, მომხიბლავი ხმისა და ტემბრის მქონე ურან სამაგლიშვილთან ერთად ტკებოდა მათი სმენით.

თეიმურაზი უფროსებთან უაღრესად მორიდებული და მოკრძალებული ურთიერთობით გამოირჩეოდა. იყო თავმდაბალი ბავშვებთანაც, ასეთი იყო ოჯახის წევრებთანაც. თავისი მაგალითით იგი შვილებს უნერგავდა პატიოსნების, სიკეთის, სამართლიანობისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობას.

თეიმურაზს განსაკუთრებულად თბილი ურთიერთობა ჰქონდა შვილიშვილებთან. ცდილობდა ყოველი თავისუფალი წუთი მათთან გაეტარებინა. ხშირად დაჰყავდა მაშინ ჯერ კიდევ გაპარტახებულ „ახალ ბაღში“, გორის ციხეზე, მტკვრის სანაპიროზე, რკინიგზაზე – თავად ძალიან უყვარდა მატარებლით მგზავრობა და შვილიშვილებსაც არ აკლებდა ამ სიამოვნებას.

ბატონი თეიმურაზი არ ითვლებოდა ღვინის მსმელ კაცად, მაგრამ უყვარდა მეგობრების ვიწრო წრეში „თათარიახნი“ პურმარილზე მოლხენა და განვლილი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების გახსენება.

თეიმურაზს ჰქონდა კიდევ ერთი რამ უცნაური ჰობი; სადაც კი იპოვნიდა ლითონის რაიმე პატარა ნატეხს ან რაღაც ნაწილს, აკურატულად გაახვევდა გახეთში და მი-



ჰქონდა საშინაო „საწყოში“ – რაღაცაში გამომადგებო. შვილებმა იცოდნენ ეს „სუსტი წერტილი“ და ჟანგიან, დაჭყლეტილ ლურსმანსაც კი მასთან მიარბენინებდნენ!

დიდებული ოჯახი შექმნა ბატონმა თეიმურაზმა თავის ერთგულ მეუღლე სესილი ხუციშვილთან ერთად. სამი შვილი მოუვლინეს სამშობლოს: არჩილი (ვიცე პოლკოვნიკი, ორი ქალიშვილის მამა), თინათინი და გაბრიელი. ყველა მათგანი ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. გორში.

ბუღაძე ღაზითი



ვერძის თანავარსკვლავედის ნიშნით დაბადებულს „მშვილდოსანმა“ მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა და „თხისრქის“ თანავარსკვლავედში აღესრულა – 2006 წლის 22 დეკემბერს. დამთავრდა სილამაზითა და კაიკაცობით აღსავსე სამოცდაათწლიანი სიცოცხლე. მაგრამ სიცოცხლე გრძელდება – მან ხომ სამი, ერთმანეთზე უკეთესი, ვაჟკაცი (კოტე, ზაალი, პაატა) დაუტოვა ქვეყანას.

საქართველოში მიმდინარე საშინელი რეპრესიების წელს (1937) დაიბადა დათო გუდაძე და ალბათ ამიტომაც მთელი თავისი არსებით და შემართებით, მუხლჩაუხრელად ებრძოდა უსამართლობას, უსინდისობას და ძალადობას.

დათო გუდაძემ, ქ. გორის მე-20 საშუალო სკოლის დამ-

თავრების შემდეგ, უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მშენებლის სპეციალობით.

1965 წელს, როგორც იტყვიან ხოლმე, „გულმა გული იპოვაო“ – მარინე კაპეტივაძემ და დათო გუდაძემ საფუძველი ჩაუყარეს ნამდვილ ქართულ ოჯახს, რომელიც სულ მოკლე ხანში თითოთ საჩვენებელი და მისაბაძი გახდა მთელ გორში.

ძნელია რაიმეთი ანუგეშო ქალბატონი მარინე ასეთი მძიმე და აუნახლაურებადი დანაკარგის შემდეგ, თუმცა არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ნუგეში და სანუგეშო თავად სულმნათმა დათომ დატოვა სამი ბოკვერისა და მრავალი კეთილისმსურველისა, თუ მეგობრების სახით.

ვაჟა ჩიხრაძე: „...როცა ავადმყოფობამ მიაკითხა და გაუჭირდა, აქაც არ დაუკარგავს სიმდაბლე და მოთმინების უნარი. იწვა, წვალობდა, სტკიოდა. მაინც გვიღიმოდა, თავის გაჭირვებაზე არ წუწუნებდა, აქეთ გვეფერებოდა...“

... დათო სიტყვისა და საქმის კაცი იყო... სწორედ დათოზეა ნათქვამი – სიყვარულისთვის ერთხელ ცოცხლობენ, უკვდავებისთვის ერთხელ კვდებიან...“

ვანო ჩხიკვაძე: „...წავიდა კაცი, რომლის გულის სიკეთის გახარჯვას რამდენიმე სიცოცხლედ არ ეყოფოდა...“

...ავადმყოფობა ფიზიკურად მოერია, მაგრამ ძლიერ სულს ვერაფერი დააკლო, ვერ გააბოროტა...“

...წავიდა კაცი, რომელიც უცნობი ხალხური მოქმელივით დღენიადაგ ჩურჩულებდა:

ღმერთო და ხატო ცხოველო,
შენ სალოცავად მოველო,
მოსულს მომეცი წყალობა,
წასულს თან გამაყოლეო.

...უფალი აუცილებლად „გააყოლებს“ დათოს თავის წყალობას ...“

ნუგზარ ონიაშვილი: „...დათო გუდაძე ის კაცი იყო, რომელსაც ახასიათებდა მაღალადამიანური თვისებები – ზნეობრივი სიფაქიზე, დიდსულოვნება, უანგარობა, კაცთ-

მოყვარეობა, პატიოსნება...

...პატარა ქალაქის პატრონები ვართ, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და არ მეგულება ვინმე ისე წასულიყოს ამ ქვეყნიდან, რომ ვისმესთვის პატარა წყენა მაინც არ მიეყენებინოს; ერთი კაცი ვიცი ასეთი მხოლოდ – დავით გუდაძე...“

ზელო ხუბულური: „...მე ბედნიერი კაცი ვარ დათო ჩემთან რომ მეგობრობდი. ...მდიდარია ქალაქი გორი შესანიშნავი ინტელიგენციით და პოპულარობის მოპოვება აქ ძნელი იყო. გარდა სამსახურებრივი იერარქიის კიბისა, სხვა კიბეზეც უნდა ასულიყავი მუხლძლიერი და გულმართალი. ეს მეორე კიბე იყო კიბე ქართველობისა, მამულიშვილობისა, ქვეყნის სიყვარულისა. შენ, ჩემო დათო, არც ერთ კიბეზე არ გაგჭირვებია ასვლა...“

რესან კონცელიძე: „...მასსოვს მრავალი შეხვედრა, საუბარი, გულუხეობა, თანადგომა და დიდსულოვნება; მერედა როგორი ოჯახი შექმნა – ქალბატონი მარიკა, სამი ვაჟკაცი... ოჯახი კი არა, თაფლის სკაა...“

ვაჟა კვალიაშვილი: „...სიკეთის კეთებით, ადამიანზე ზრუნვით იცხოვრა ამ წუთისოფელში. წავიდა და მარადუამს მოსაგონებლად დაგვიტოვა თავისი სახელი – „დავით კეთილი“. ამ სახელით მოიგონებენ მას სხვა ცნობილ გორელებთან ერთად, ამინ!...“

გოდერძი თათეშვილი: „ორმოცი დღე შენი ნათელი სული ჩვენთან იქნება. მერე კი წარსდგები ღვთის სამსჯავროზე და სამუდამოდ დამკვიდრდები მარადიულ სავანეში, ხვთისნიერი კაცის უკვდავი სახელით. დიახ, უკვდავების ბინადარია დათო...“

ძნელია ეჭვი შეგეპაროს დათოს მეგობრების გულწრფელ და ამავდროულად ცრემლნარევ, ჭეშმარიტ სიტყვებში.

ქ. გორის ინტელიგენციას მოაკლდა კიდევ ერთი გულმხურვალე მამულიშვილი და მუხლმოდულელი ამავდარი კაცი. მისი ხსოვნა არ დაიბინდება არასოდეს მისი ოჯახის წევრების, ნათესავების, მეზობლებისა და ნაცნობ-მეგობრების მადლიერ გულებში.

სამარადისო ხსოვნა „დავით კეთილის“ კაცურ კაცობას.

დაბრუნდაშვილი გურამი

საზოგადოებრივი ყოფიერების ნებისმიერ ფორმაციაში და ნებისმიერ დროს გადამწყვეტი ისტორიული (ეპოქალური) მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება ინტელიგენციის ხარისხს, მის ეროვნულ და საერთაშორისო დონეს. ქართული ინტელიგენცია საუკუნეთა განმავლობაში მუდმივად იდგა მოწინავეთა რიგებში, ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული მაღალი დონის კულტურით, განსწავლულობით, პროგრესული აზროვნებით და იდეოლოგიით. სწორედ, ასეთი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ გურამ დაბრუნდაშვილი, რომელმაც მთელი თავისი შინაარსიანი და ამავედროულად სიძნელეებით გადატვირთული ცხოვრება სწავლაში და შრომაში გაატარა. იცხოვრა შემოქმედებით და აკი კიდევ დატოვა კვალი, როგორც მეცნიერმა, პედაგოგმა, საზოგადო მოღვაწემ და სანიმუშო მეოჯახემ.

გ. დაბრუნდაშვილის ერთერთი ყოფილი სტუდენტი, შ. ნათენაძე იხსენებს: „თანამედროვე სტუდენტებს მცირედი, ე.წ. საპატიო, მიზეზი გვეყოფნიდა, რომ ესათუის ლექცია გაგვეცდინა. მაღალი სიცხიანობის პირობებშიც კი ვერ ვაძლევდი თავს იმის უფლებას, რომ ბატონ გ. დაბრუნდაშვილის ლექცია გამეცდინა. მეტად საინტერესო და მიმზიდველი საუბრით იმდენად ვიყავი მოხიბლული, რომ ჩანაწერების გაკეთებასაც ვერ ვახერხებდი



უფროს
მასთან
ერთად



და ხშირად, ოცნებაში გახვეული გამოუფხიზლებივარ ლექციის დამთავრების მაუწყებელ ზარს.“

გურამ დაბრუნდაშვილი დაიბადა 1931 წელს, ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა, ბატონი სოფრომი, გორის რკინიგზის სატვირთო სადგურის უფროსი გახლდათ და იმ ძნელბედით წლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქვეყნის აღმშენებლობისა და თავდაცვის უზრუნველყოფის საქმეში ბატონმა გურამიმ. დაამთავრა ქ. გორის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლა, შემდეგ კი მოიპოვა წარჩინების დიპლომი ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიურ ინსტიტუტის დამთავრების ნიშნად. ეს იყო 1955 წელს.

უაღრესად ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდა სპეციალისტი სამუშაოდ დატოვეს იქვე, ისტორიის კათედრაზე.

სტუდენტობის წლებშივე გამოჩნდა ბატონ გურამის მიდრეკილება საზოგადოებრივი მოღვაწეობისაკენ და სულ მალე იგი გადაიყვანეს სამუშაოდ პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში ჯერ ინსტრუქტორად, შემდეგ კი გამკედ. პარტიულ სამუშაოზე ყოფნის პერიოდში იგი, ხშირად იყო პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი და საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

ბუნებით მეცნიერს და მკვლევარს გული მაინც მშობლიური ინსტიტუტისკენ ეწეოდა და 1974 წლიდან გურამ დაბრუნდაშვილი დაბრუნდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის გასაგრძელებლად ჯერ სადამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების მეთოდისტად, შემდეგ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1975 წლიდან კი იგი ასრულებდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივნის საპატიო მოვალეობას.

ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო გ. დაბრუნდაშვილისთვის 1975-1981 წლები. მან ბრწყინვალედ დაიცვა

დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რის შემდეგაც იგი იკავებს კათედრის დოცენტის თანამდებობას.

1992 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე განაგრძობდა აქტიურ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ამჯერად უკვე გორის უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობისა და ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

გ. დაბრუნდაშვილის ლექციები, თუ ცალკეული თემატური მოხსენებები, გამოირჩეოდა, ერთი შეხედვით სიმარტივით და უბრალოებით, მეორეს მხრივ კი ღრმა ანალიტიკური შეფერილობითა და მაღალი პროფესიონალიზმით, რასაც ემატებოდა მისი დინჯი და დამაჯერებელი მეტყველება.

წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ბატონ გურამ დაბრუნდაშვილს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და საპატიო სიგელი. მის მიერ აღზრდილი სტუდენტები ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ სამეცნიერო ოლიმპიადებში, თუ სხვა კონკურსებში.

2006 წლის 17 ივნისს, გორის ინტელიგენციამ დაკარგა კიდევ ერთი გულმხურვალე, განსწავლული და პატრიოტი კაცი, რომელიც სამუდამოდ დარჩება მისი ახლობელ-ნათესაების, მეგობრებისა და აღზრდილების ხსოვნაში.

მეუღლე, ქალბატონი ლედი სუხიტაშვილი – ექიმი-თერაპევტი. ვაჟიშვილი, ზურაბი – პროფესიონალი ეკონომისტ-ფინანსისტი. ვაჟიშვილი ზვიადი – პროფესიონალი ეკონომისტ-ფინანსისტი, ქალიშვილი თამარი – ექიმი-ინფექციონისტი.

იმრავლეთ და იხარეთ დაბრუნდაშვილებო, ბატონ გურამის შთამომავალნო!

მშვიდობა და სიკეთე ყოფილიყოს თქვენი მუდმივი თანამგზავრი.

დადიანი დავითი



გასული საუკუნის 70-80-იან წლებში დავით დადიანი საკმაოდ პოპულარული პიროვნება გახლდათ ქ. გორსა და გორის რაიონში. მისი პოპულარობა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: ჯერ ერთი, მეტად საინტერესო და მიმზიდველი გარეგნობის (თხელთხელი, მაღალი, დახვეწილი მანერებით და სიცოცხლით სავსე; აშკარად იგრძნობოდა თავადური წარმოშობის კვალი) და კიდევ იმით, რომ როგორც მაღალი კვალიფიკაციის მეღვინე-ტექნოლოგი (დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის საბუნებისმე-

ტყველო ფაკულტეტი) ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სოფ. ტყვიავის, მეჯვრისხევის, ხიდისთავისა და ატენის ღვინის ქარხნებს და როგორც ამბობენ ხოლმე, „საჭირო კაცი“ იყო ყველასათვის.

დავითი (დათიკო) ვარლამის ძე დადიანი დაიბადა 1924 წელს ქ. ქუთაისში. ძირითადად იზრდებოდა სოფელ ძიძასთან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, დადიანების ოჯახი – ულამაზესი ქალბატონი მარუსია მიქელაძის (დავითის დედა), ბატონ ვარლამის (დავითის მამა) და ოთხი შვილის (დავითი, ლილი, მერი და ალექსანდრე) შემადგენლობით საცხოვრებლად გადადის ქ. თბილისში.

დედაქალაქის ხანდაზმულებს დღესაც ახსოვთ ვარლამ დადიანი, თბილისის კოლორიტი, რომელიც მუდამ ჩოხა-ახალუხით დადიოდა. ამაყი და თავაწეული სიარული იცოდაო, იტყოდა ხოლმე დიდი მსახიობი დოდო აბაშიძე.

ცნობილი მომღერალი და მსახიობი ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე იგონებს: „ბატონი ვარლამი და მისი მშვენიერი მეუღლე, ქალბატონი მ. მიქელაძე თბილისის მშვენიერები იყვნენო.“



დავითი, ლილი, მერი და ალექსანდრე

დავით (დათიკო) დადიანს თავისი ცხოვრების თანამგზავრად შეურჩევია გორელი გოგონა (თანაკურსელი) ანტიგონა იალამიდი და მალე ახალგაზრდა ოჯახს მიეცა სათავე. ქალბატონი ანტიგონა გამოირჩეოდა გარეგნული მომხიბვლევლობით, გონებამახვილობით და საოცრად მხიარული და თბილი ხასიათით.

ბატონი დავითი თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო. როგორც ტექნოლოგი და როგორც ხელმძღვანელი მუდამ სიახლის ძებნაში იყო. არაერთი წარმატებისთვის მიუღწევია შრომით გზაზე, რაზედაც მკაფიოდ მეტყველებს მის მიერ ნაწარმოები ღვინოების მიერ სხვადასხვა დროს მიღებული მედლები, დიპლომები თუ პრიზები.

ბატონ დავითს უყვარდა ვიწრო მეგობრულ წრეში დროსტარება; იყო მომლხენი და მჭერმეტყველი.

დავითის ოჯახს მალე შეეძინა ორი ვაჟიშვილი ვალიკო (გაყვა მამის პროფესიას და ჩამოყალიბდა კვლი-ფიციურ მეღვინედ და ორგანიზატორად) და ნუგზარი (პროფესიით ექიმი, ამჟამად ოჯახით ცხოვრობს თბილისში).

ბატონმა დავითმა თითქმის 40 წელი იმუშავა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია გორის რაიონის მეღვინეობას.

დავით (დათიკო) დადიანი გარდაიცვალა 1988 წელს.

დადიანი ვალიკო



საქართველოს ფრენბურთელთა ნაკრების წევრი, მაშინდელი საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი, მეღვინეობის ინჟინერ-ტექნოლოგი ვარლამ (ვალიკო, ვალა) დადიანი დაიბადა 1944 წლის 16 დეკემბერს გორში, მოსამსახურის ოჯახში. მისი მშობლები ასევე მეღვინეობის სპეციალისტები იყვნენ და, როგორც იტყვიან, შვილმა გააგრძელა ოჯახის ტრადიციები.

ბავშვობაში ვალა დადიანი ხასიათდებოდა, როგორც გონებაგამჭრიახი, ნიჭიერი და იმავდროულად ცელქი.

გორის მე-6 რუსული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მებაღე-მევენახეობის ფაკულტეტზე, რის დამთავრების შემდეგაც მიენიჭა მეღვინეობის ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

ვალა, პატარაობიდანვე გამოირჩეოდა სათავედასავლო ფათერაკებით და დახვეწილი იუმორით. ბუნებით იყო მეტად ენერგიული, მოძრავი, ინიციატივიანი და სწრაფმოქმედი. თავის გარშემო სასიამოვნო და სასურველ გარემოს ქმნიდა. მუდამ ხალისიანი და ხუმრობისმოყვარული გახლდათ ბატონი ვალა დადიანი. მასთან ურთიერთობა ყველასათვის სასურველი და სასიამოვნო იყო. თვით სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც კი არ დაუკარგავს

მისთვის ჩვეული ლაღი საუბრისა და იუმორის უნარი. ყველას უხაროდა მისი დანახვა, ყველა ცდილობდა მასთან დამეგობრებას. იყო შესაშურად გულახდილი, პირდაპირი, უღალატო კაცი.

ვალა დადიანი სხვადასხვა წლებში მუშაობდა ღვინისა და ხილ-კენკროვანი წვენების ქარხნებში, სულ ბოლოს კი ატენის ღვინის ქარხანაში ტექნოლოგად.

ლამაზი ოჯახი შექმნა ვალა დადიანმა; მეუღლე, ქალბატონი დადიანი ურიადმყოფელი (ბიოლოგი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი), შვილები – დავითი (მეღვინე ტექნოლოგი, იურისტი) და მამუკა (ეკონომისტი), რძალი ნინო ხაჩირაშვილი (ეკონომისტი, ინგლისური ენის სპეციალისტი); შვილიშვილები – ვაკო, ლუკა და სანდრო.

ბატონ ვალიკო დადიანს განსაკუთრებით უყვარდა ბაბუა ვარლამი, თავისი ქვეყანა, მეგობრები, ოჯახი, სიცოცხლე და ყველაზე უფრო მეტად კი შვილიშვილები.


სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულ კაცს, საწუთრომ უდროოდ შეუმოკლა სიცოცხლის ვადა და მარადიულ სასუფეველში წაიყვანა ალაღი, კეთილი და კაცთმოყვარე პიროვნება, რომელიც მართლაც რომ მოაკლდა გორის საზოგადოებას.

ბატონი ვალა დადიანი გარდაიცვალა თავის დაბადების დღეს 2003 წ. 16 დეკემბერს.

როგორ გვაკლიხარ და გიგონებენ
ლუკა, სანდრო და ვაკუნა ისევ,
როგორ აკლიხარ და ენატრები,
შენ ნაფოფინებ საყვარელ შვილებს.
ყველა გახსენებს რა სიყვარულით,
მათი გულები შენ სითბოს იტყვს
და გიგონებენ ვალა დადიანს
კაცურკაცობით, ვით ცოცხალს, ისე.

(მეუღლე)

ზაზუნაშვილი ვანო



ვანო სოლომონის ძე ზაზუნაშვილი ერთ-ერთი იმ გორელთაგანი იყო, რომელმაც ძალიან ახალგაზრდა ასაკში მოახერხა საზოგადოების ყურადღების არეალში მოხვედრა. ეს, რაღათქმა უნდა, განპირობებული იყო მისი პიროვნული თვისებებით: სასიამოვნო გარეგნობა, გონებაამახვილობა, საუბრის დახვეწილი სტილი. მოჭარბებული იუმორი, დიდი შინაგანი კულტურა და ა.შ. ყოველივე ამას ემატებოდა ისიც, რომ სკოლაშივე მოიპოვა ნიჭიერი ყმაწვილის სახელი.

ვანო ზაზუნაშვილი დაიბადა 1936 წლის 2 იანვარს და საახალწლოდ დიდი სიხარული მოჰგვარა ოჯახსა და ზაზუნაშვილთა თუ ნაცვლიშვილთა (დედა, ეკატერინე ნაცვლიშვილი) საგვარეულოს.

როგორც ვანოს „აკვნის მეგობარი“, გორის სასიქადულო მოქალაქე, კახი ფაჩოშვილი იგონებს, ისინი ერთ აკვანში არიან დარწმუნლები და ეს აკვანი ახლაც შენახულია მომავალი პატარა ვანოს მოლოდინში.

ვანო და კახი აკვნიდან თვით ვანოს სიცოცხლის ბოლო დღემდე განუყრელად ერთად ყოფილან ბაღში, სკოლაში, ქუჩაში, სახლში და საერთოდ ყველგან...

საზოგადოება თურმე ისე შეეჩვია მათ მუდმივად ერთად ყოფნას, რომ უკვე მათ სახელებს აღარ არჩევდა და ხშირად ურევდა კიდევ ერთმანეთში.

კახის ქუჩაში შეხვედრია ნაცნობი და სინანულით უთქვამს, აფსუსს, რა ადრე გარდაიცვალა კახიო...

რა თქმა უნდა, კახი მიხვდა რაშიც იყო საქმე, მაგრამ ყველაფერი ისე დატოვა როგორც იყო.

მრავალჯერადი სასკოლო რეფორმის გამო ვანო ზაზუნაშვილი სწავლობდა გორის მე-2, მე-3 და მე-5 სკოლებში და როგორც წესი, კახი ფაჩოშვილთან ერთად. კახი იგონებს, რომ ისინი მუდამ ერთ მერსხე ისხდნენ.

სკოლის დამთავრების შემდეგ ვანო ზაზუნაშვილმა მიაკითხა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის უმაღლეს ტექნიკურ ინსტიტუტს, რომელიც დაამთავრა 1960 წელს. ვანო ზაზუნაშვილის სამსახურებრივი გზა მოკლედ ასე გამოიყურება: თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა (ინჟინერი), ბაქოს რკინიგზის სამმართველოს საწარმო (მთავარი ინჟინრის მოადგილე), ქ. გორი, მექანიზაციის სამმართველო (უფ. ინჟინერი), ქ. გორის ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანა (დირექტორი) და ა. შ.

დავესესხებით ისევ კახი ფაჩოშვილის მოგონებას: „... ვანო ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა იყო, განსაკუთრებით ეხერხებოდა მათემატიკური ამოცანების ამოხსნა. ყველაზე ადრე ხსნიდა. ჯერ ჩემსას ამოხსნიდა, მერე კი თავისას...“ ასეთი ნიშან-თვისება ყოველთვის როდია „დათვური სამსახური“(!).

ვანო ზაზუნაშვილს ძალიან თბილი და სიცოცხლით სავსე თვალები ჰქონდა. შეხედავდი და ირწმუნებდი, რომ სიკეთე ნამდვილად არსებობს ამ ქვეყანაზე, მთავარია მისი შემჩნევა და აღიარება, უფრო მნიშვნელოვანი კი – სიკეთის კეთება, რაც ვანოს კარგად გამოსდიოდა.

დადიოდა გორში კაცი ღიმილით გაცისკროვნებული, მჭერმეტყველი და ძმობის მოყვარული. დადიოდა და ფიქრობდა, განუწყვეტლივ ფიქრობდა, რა სასიკეთო გაეკეთებინა თავისი ქალაქისათვის და მრავალი მეგობრისათვის, მხოლოდშობილს საძმო სითბო სრულად მეგობრებისთვის ემეტებოდა უანგაროდ.

„გოჭი ბიჭებს“ გვეძახოდნენ, – იგონებს ვანოს მე-

გობარი კახი, ხოლო დედამისი, ქალბატონი ეკატერინე, თავის ერთადერთ ბიჭს მოფერებით „ბაკიჭას“ ეძახოდაო.

დააკლდა ოჯახს, ქ. გორის ინტელიგენციას, მრავალრიცხოვან ნაცნობ-მეგობართა წრეს, სულ რაღაც 47 წლის ასაკში და დაგვიტოვა ორი საამაყო შვილი – ნინო და გიორგი. ოჯახი გაიზარდა, გიორგიმ შექმნა თავისი თბილი კერა თამუნა დადიანიძესთან ერთად და შვილიშვილებმაც (კატო, მაკინე) გაამზიანეს ვანოს უდროო წახვლით ჩამოწოლილი ბინდი.

ერთერთმა უახლოესმა მეგობარმა, პოეტმა ჯემალ ინჯიამ, ვანო ზაზუნაშვილის ხსოვნას მიუძღვნა ლექსი, რომლის ამონარიდსაც აქ წარმოვადგენთ:

„...ისე წახვედი
გადიოდი თითქოს კინოდან,
გამოცდებზეც ხომ
სუყველაზე წინ გადიოდი...
იბინე მშვიდად –
შენს კაცობას წმინდა ნინო და
შენი ვაჟკაცი
გააგრძელებს – წმინდა გიორგი.“

ზარნაძე ჰამლეტი

ჰამლეტ კონსტანტინეს-ძე ზარნაძე დაიბადა 1936 წლის 9 იანვარს, ქ. გორში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მამა, ბატონი კონსტანტინე იბრძოდა მე-2 მსოფლიო ომის ფრონტებზე. სამწუხაროდ, იგი ვეღარ დაუბრუნდა საყვარელ ოჯახს.

1943 წლის საქტემბერში ჰამლეტი შევიდა ქ. გორის ვაჟთა №1 საშუალო სკოლაში. შემდეგ გადავიდა გორის №4 საშუალო სკოლაში. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა როგორც მუყაითი, დისციპლინირებული მოსწავლე, კლასიდან კლასში გადადიოდა ქების სიგელებით. ბავშვობიდანვე ოცნებობდა გამხდარიყო სამხედრო ოფიცერი და სკოლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები



ჩააბარა სამხედრო სასწავლებელში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, მის ოცნებას, თურმე, არ ეწერა აღსრულება.

1954 წელს შევიდა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკამათემატიკის ფაკულტეტზე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტურ ცხოვრებაში. იყო ინსტიტუტის ორკესტრის წევრი, ფაკულტეტის პროფკომიტეტის თავმჯდომარე. მისდევდა სპორტს, იყო ტანმოვარჯიშე, მონაწილეობდა სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში.

1959 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის სრული კურსი და კომკავშირული საგზურით დაიწყო მუშაობა გორის ხელსაწყოთმშენებელ ქარხანა „გორიხელსაწყო“ ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში კონტროლიორად. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა შრომისა და ხელფასის განყოფილების ნორმადარად, ინჟინერ-ნორმადარად, უფროს ინჟინერ-ნორმადარად, განყოფილების უფროს ინჟინერ-ეკონომისტად შრომის დარგში, უფროს ინჟინერად შრომის დარგში, განყოფილების უფროსად, ეკონომიკის განყოფილების უფროსად, საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ, ბოლოს განყოფილების უფროსად.

ქარხანაში მუშაობის პერიოდში გამოირჩეოდა საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, იყო დისციპლინირებული, დინჯი, მოწესრიგებული, პუნქტუალური. იყო საქარხნო პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

1962 წლიდან იყო კომუნისტური პარტიის წევრი. მიღებული აქვს მრავალი სიგელი სხვადასხვა დამსახურებისათვის.



იყო შრომის ვეტერანის საპატიო წოდების მფლობელი.

1987 წელს არჩეულ იქნა გორის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის ფილიალის დაუსწრებელი განყოფილება სპეციალობით „მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია“.

დაამთავრა საქართველოს კ.პ. გორის საქალაქო კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის სრული კურსი.

მიღებული აქვს მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის საპატიო სიგელი და მედალი სოცშეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ბატონი ჰამლეტი იყო ზედმიწევნით კულტურული და ზრდილობიანი ადამიანი, გამოირჩეოდა რბილი და თბილი ხასიათით. მან საზოგადოების, ამხანაგ-მეგობართა და კოლეგების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თავისი უაღრესად პატიოსანი და უანგარო შრომა-გარჯით.

გორის საზოგადოება არ დაივიწყებს დახვეწილ ინტელიგენტს, მაღალი რანგის პროფესიონალს და მშობლიურ ქალაქზე შეყვარებულ პატივსაცემ პიროვნებას, ბატონ ჰამლეტ ზარნაძეს.

თურაზაშვილი კობა

უნივერსალური ადამიანი და სპორტსმენი გახლდათ კობა თურაზაშვილი. თმახუჭუჭა და ფიზიკურად ძლიერმა ყმაწვილმა, ჯერ კიდევ სკოლაში და შემდეგ სტუდენტობისას, მიაღწია პირველ წარმატებებს ჭადრაკში, კალათბურთში და ფეხბურთში.

ამავე დროს კობა იყო ნაკითხი და განათლებული პიროვნება. კარგად ერკვეოდა ისტორიაში, გეოგრაფიაში და ქართულ პოეზიაში. შეყვარებული იყო ქართველი (და არამართო ქართველ) კლასიკოსი პოეტების ლექსებზე და ხშირად ზეპირადაც შეეძლო მათი წაკითხვა.

კობა ალექსანდრეს ძე თურაზაშვილი დაიბადა გორში



1937 წლის 2 იანვარს, მოსამსახურის ოჯახში.

მამა, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე თურაზაშვილი დააპატიმრეს და დახვრიტეს. დედა, ანა ივანეს ასული თათარაშვილი იყო საბავშვო ბაღის პედაგოგ-აღმზრდელი. მამიდა, ქალბატონი მარიამი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალში ქირურგად, შემდეგ კი თბილისის ბავშვთა სავადმყოფოში ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობას. ბიძები (დედის მხრიდან): გაბო (გორის პედ. ინსტიტუტის ერთერთი დამაარსებელი, დახვრიტეს 1937 წელს; დამთავრებული ჰქონდა ლიბკნეხტის სახელობის ინსტიტუტის ფილოსოფიის ფაკულტეტი, ალექსი (ისტორიკოსი) დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში; ქრისტაფორე



– სამთო ინჟინერი. კობას დედა, ქალბატონი სოფიო იყო პროფესიით დიზაინერი. კობა თურაზაშვილს ჰყავდა ძმა, ნოდარი (ისტორიკოსი), რომელიც სიცოცხლის ბოლომდე (1988წ.) მუშაობდა ვანის საშუალო სკოლაში პედაგოგად, იყო შესანიშნავი მომღერალი და მოცეკვავე.

კობა თურაზაშვილმა დაამთავრა ქ. გორის პირველი საშუალო სკოლა. სასკოლო ასაკში უკვე მოიპოვა მეორე სპორტული თანრიგი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორისა და მესამე კატეგორიის მსაჯის წოდებები კალათბურთში. მაშინ კობა სულ 18 წლის იყო.

1955 წელს კობა ხდება გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი და აქაც ეწევა აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, რაზედაც მეტყველებს მის მიერ მიღებული მრავალი დიპლომი თუ სიგელი. სტუდენტობის დროს დაიმსახურა ასევე მედალი

„ყამირი და ნასვენ მიწების ათვისებისათვის“.

სტრუქტურის პერიოდში იგი მიიწვიეს ქ. კოლდივის (ლატვია) ფეხბურთელთა გუნდში სათამაშოდ, შემდეგ კი რიგის გუნდში. პარალელურად მუშაობდა ქ. რიგის მანქანათმშენებელ ქარხანაში.

რამდენიმე წელში კობა თურაზაშვილი დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქ გორს და 1960-63 წლებში წარმატებით თამაშობდა ფეხბურთელთა გუნდ „დილაში“. კობას არც სწავლა დაეწვიებია და 1966 წელს დაამთავრა პედ. ინსტიტუტი.

1964 წელს, მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა გორელ მოჭადრაკეებთან (21 დაფაზე) და წააგო ორი პარტია. როგორც მაშინდელი გაზეთები აღნიშნავენ, მსოფლიო ჩემპიონს ძალიან გაუჭირდა თამაში კობა თურაზაშვილთან და მ. ხადურთან.

აქტიური თამაშის დამთავრების შემდეგ კობამ მიაშურა სამწვრთნელო ასპარეზს და ამ სფეროშიც მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს. აღსანიშნავია მისი სამწვრთნელო მოღვაწეობა გორში და განსაკუთრებით თბილისში, როცა ის ხელმძღვანელობდა ფეხბურთელთა გუნდ „ავაზას“ (მიხეილ მესხის სკოლა).

ძალიან ნაყოფიერი იყო კობა თურაზაშვილის სამწვრთნელო კარიერა. მისი აღზრდილები თამაშობდნენ; თბილისის დინამოში (თ. ბურჯანაძე, ვ. ძევისაშვილი, ვ. კოზინი, რ. მამესწარაშვილი, ვ. ხანიშვილი), ქ. როსტოვის „სკა“-ში (ვ. ჩერედინიჩენკო), საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში, (ვ. კოზინი, ე. ბერიკაშვილი, ვ. ვლაშჩენკო და სხვა) და საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში, რომელმაც ხუთჯერ ზედიზედ მოიპოვა „სიჭაბუკის თასი“ (რ. გიორგობიანი, ვ. ჩოჩიშვილი, შ. წიწუაშვილი, ო. მუშეუდიანი, ტ. ტლაშაძე და სხვა).

1981 წელს ევროპის თასის მფლობელის, თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში იყო კობას აღზრდილი ფეხბურთელიც, კერძოდ ვ. შვანია.

აი, ასეთი წარმატებული გახლდათ კობა თურაზაშვილი, როგორც მწვრთნელი.

კობას პიროვნებისათვის დამახასიათებელ რამდენიმე შტრიხზე ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, ახლა კი მინდა ერთ ეპიზოდზე მოგიყვებო.


1966 წლის 10 სექტემბერს ძლიერი და ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ძალიან აღიღდა მდინარე ლიახვი. აბობოქრებულ ტალღებს თან მოჰქონდა ლოდები, ტალღები ანგრევდნენ ნაპირებს. მდინარის შუაში პატარა კუნძულზე გაუფრთხილებლობით შემორჩენილიყო ორი ბავშვი. უბედურება გარდუვალი ჩანდა. ვერაინ ბედავდა გაგიჟებულ მდინარეში შესვლას. სტადიონზე მყოფ კობას სმენამდე მიუღწევია ქალების სასოწარკვეთილ კივილს. რამდენიმე წუთში კობა მოსალოდნელი უბედურების ადგილზე გაჩნდა და დაუყოვნებლივ შევარდა წყალში. მან ერთი ბავშვი გამოიყვანა ნაპირზე და უკანვე შეცურა. მეორე ბავშვი უკვე წყალს მიჰქონდა, მაგრამ კობა ჩაჰყვა ტალღებს და ისიც გამოსტაცა სტიქიას. ნაპირზე შეკრებილი ასობით ადამიანი ტაშითა და აღტაცებული შეძახილებით უქებდნენ ბატონ კობას ვაჟკაცურ შემართებას. ის ბიჭები ახლა უკვე კაცები არიან.

კობა თურაზაშვილის შრომითი და სპორტული მოღვაწეობა მრავალი ჯილდოთია დამწვევებული: საპატიო სიგელი (საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრების მომზადებისთვის 1970 წ.), 7 სხვადასხვა ხარისხის დიპლომი, 10 სიგელი და უამრავი მადლობა თუ პრიზი.

1982 წელს კობა თურაზაშვილი წარდგენილ იქნა დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდების მიღებაზე, მაგრამ აღარ დასცადა. მძიმე ავადმყოფობამ შეაჩერა ჭეშმარიტი ადამიანის, ერუდირებული პიროვნების, რაინდული სულის მქონე სპორტსმენის გულისცემა. იგი სულ 44 წლის იყო. ქვეყანას კი საამაყოდ დაუტოვა მშვენიერი ოჯახი: მეუღლე ზაირა რატიშვილი (ფიზიკოსი, ამაჟამად პენსიონერი); შვილები – გიორგი და მათა; რძალი – ხათუნა მერებაშვილი; სიძე – ალექსანდრე პოპოვი. შვილიშვილები – მარიამი, სოფო, კამილა და ნინო.

მრავალჟამიერ თქვენ, კობას შთამომავლობაე!

კერესელიძე რობერტი



იშვიათად, მაგრამ მაინც შევხვედრივართ კლასიკოს ლიტერატორთა ნაწარმოებებში მამაკაცების მიმართ ნათქვამ სიტყვას „ლამაზს“. მაგრამ, თუ ქალბატონების მიმართ გამოყენებული ეს სიტყვა, პირველ რიგში, გამოხატულებაა გარეგნული სილამაზისა და იერსახისა, მამაკაცების შემთხვევაში სიტყვა „ლამაზი“ იძენს უფრო სულიერი სილამაზის ასპექტს. ლამაზ მამაკაცში სილამაზე რამდენიმე კომპონენტით წარმოჩინდება, როგორცაა განათლებულობა, თავმდაბლობა, ზრდილობა, კულტურა, რაინდობა, უანგარობა და ა.შ.

ხშირად უთქვამთ ბატონ რობერტის მისამართით „ლამაზი კაცი“ და იგი მართლაც იმსახურებდა ამ ეპითეტს, როგორც შინაგანი თვისებებით, ისე გარეგნული ელფერიტაც.

როცა, ბატონი რობერტი თავისი მოზომილი ნაბიჯით ჩაივლიდა ხოლმე გორის ქუჩებს, უკან მტრედის გუნდით მისდევდა ლამაზმანთა ჯგუფი, თუმცა რობერტის გულის დაპყრობა მხოლოდ ერთადერთმა შესძლო და დაუკავშირდა კიდევ ორი ახალგაზრდა ერთმანეთს წმინდა სიყვარულის ფიცით. ეს ქალიშვილი გახლდათ ღიანა თომაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის ფილიალში პედაგოგად და რომელიც დღესაც არ აკლებს

ახალგაზრდობას თავის პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებას.

რობერტ კერესელიძე (ურიადმყოფელი) დაიბადა 1935 წელს ქ. გორში, აქვე დაამთავრა მე-5 საშუალო სკოლა და ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტი.

ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდას ბავშვობიდანვე იზიდავდა სპორტის ესათუის სახეობა და სიცოცხლის ბოლომდე, მეორე პროფესიად, სწორედ რომ სპორტული მოღვაწეობა შეარჩია. მოწოდებით სპორტსმენი, თავადაც კაუდებოდა და სხვათა სპორტულ გამოჭედვასაც აქტიურად უწყობდა ხელს.

ბატონი რობერტი ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ დატოვეს მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე, ზოოლოგიის კათედრაზე, პარალელურად ხელმძღვანელობდა ქ. გორის ვაჟთა და ქალთა კალათბურთის ნაკრებ გუნდებს. სპორტის დიდი ქომაგი და პროპაგანდისტი იყო. დიდ ყურადღებას უთმობდა ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდების აღზრდას. ბატონი რობერტი ნოვატორული ნიჭითაც იყო გამორჩეული. მისი ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ბადმინტონისა და მაგიდის ჩოგბურთის სექციები. რობერტის აღზრდილები ხშირად მონაწილეობდნენ რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებში და 1968 წლის ჩემპიონებიც გახდნენ ბადმინტონში (ა. ტელეშენინა, თ. ბლიაძე).

რობერტ კერესელიძემ (ურიადმყოფელმა) სულ ახალგაზრდამ (22 წლის) მოიპოვა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის საპატიო წოდება.

გვიან გაიგეს ახლობლებმა, რომ თურმე გული აწუსებდა ბატონ რობერტს, მაგრამ არავისთვის შეუჩივლია და არასდროს უწუწუნია. ჩვეულებრივი ენთუზიაზმით და პროფესიონალიზმით განაგრძობდა მუშაობას, როგორც კათედრაზე ისე სპორტულ ასპარეზზე. უყვარდა მშობლიური ქალაქი, სპორტული სარბიელი, მეგობრები და ქალბატონ ღიანასთან ერთად სათუთად, ლამაზად ნაშენები

ოჯახი.

ბატონ რობერტის ყავს შვილი ნინო კერესელიძე (ეკონომისტი), სიძე გონა პარკაული (იურისტი) და ორი ბრწყინვალე შვილიშვილი თორნიკე და ვანიკო. სამწუხაროდ ბატონი რობერტი ვერ მოესწრო შვილიშვილებით ტკბობას, მან ძალიან ადრე, 39 წლის ასაკში, ყველასათვის მოულოდნელად დატოვა ამქვეყნიური სავანე.

რობერტ კერესელიძეს ვერ დაივიწყებს ქალაქი გორი, მისი ოჯახი და ნაცნობ-მეგობრები. იმედია, შვილიშვილები იამაყებენ ბაბუის მიერ განვლილი რაინდული გზით და არასოდეს დაუშვებენ მის საფლავზე ეკალ-ბარდის მოძალებას.

რობერტ კერესელიძის სიკვდილის შემდეგ, მეგობრების ინიციატივით, არაერთხელ ჩატარდა მისი სახელობის ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რაც იმის დასტური გახლავთ, რომ რობერტი ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს მაღლიერი საზოგადოების მესსიერებაში.

კობერიძე აფენდი



ძნელია შეურიგდეთ იმ ფაქტს, რომ აფენდი კობერიძე აღარ არის ჩვენს შორის. აღარ დადის ქ. გორის ქუჩებში თვალწარმტაცი აღნაგობისა და მდიდარი სულის პატრონი, ჭაღარამოძალეული, მაგრამ მაინც ახ-

აღგაზრდული შემართების კაცი, რომელსაც უზომოდ უყვარდა ყოველივე ქართული, ადამიანი, რომელმაც კერპად გაიხადა თავისი სამშობლო და მშობლიური კუთხე – მთიანი რაჭის უმშვენიერესი სოფელი ცხმორი, სადაც იგი დაიბადა 1935 წლის 3 ნოემბერს.

ადრე დაობლდა აფენდი კობერიძე; მისი მამა, სოგრატი თავის ოთხ ძმასთან ერთად იბრძოდა მე-2 მსოფლიო ომის ფრონტებზე. ორი ძმადა დაუბრუნდა ოჯახებს. აღარ გამორჩენილა აფენდის მამა, სოგრატი. მოუშუშებელმა დარდმა და შვილების გადარჩენა-აღზრდაზე გატარებულმა უძძიმესმა წლებმა გატეხეს აფენდის დედის, ქალბატონ პოლინას ჯანმრთელობაც და უკვე ორმაგად დაობლებული აფენდი დედის ძმამ, მინა ჯოხაძემ და მისმა მეუღლემ ჩამოიყვანეს ქ. გორში, უპატრონეს და სასიკეთო გზაზე დააყენეს. ბატონ მინას, თურმე, მთელი გორი იცნობდა და პატივს სცემდა, როგორც მზრუნველ და კეთილ ადამიანს და საუკეთესო მეპურეს.

ჭაბუკ აფენდის მისი თანატოლები ხაბაზობას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ის სხვა გეგმებს ისახავდა მიზნად.

იგი ისტორიკოსობაზე ოცნებობდა და მიაღწია კიდევ სანუკვარ ჩანაფიქრს.

აფენდი კობერიძემ კარგად იცოდა, რომ წარსულის გარეშე არ არსებობს მომავალი. სჯეროდა, რომ საყვარელი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ხაზი გადიოდა წარსულის, ისტორიის ზედმიწევნით კარგ ცოდნაზე და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სულმოუთქმელად შეაღია ისტორიის ლაბირინთებში ჩაღრმავება-გარკვევას.

დაამთავრა რა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, იზეიმა პირველი გამარჯვება – მას უკვე ერქვა ისტორიკოსი, ხოლო სულ რამდენიმე წლის შემდეგ ისტორიის დიდი მცოდნე. პროფესია პროფესიად, მაგრამ რა იყო ის ძირითადი, რითაც აფენდი სულ მაღლე იქცა საზოგადოებისთვის პოპუ-

ლარულ და საყვარელ ადამიანად?! პირველ რიგში, მისი ნიჭი, ერუდიცია და განათლება, შემდეგ კი პატიოსნება, თავმდაბლობა და განსაკუთრებით კი არნახული პატრიოტიზმი. და კიდევ ერთი რამით იყო გამორჩეული აფენდი კობერიძე – ვერ იტანდა ადამიანს, რომელსაც არ შეეძლო მოსმენა.

აფენდის ძალიან უყვარდა თავისი სოფელი. შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ მოენახულებინა ბავშვობასთან დაკავშირებული, საოცრად ახლობელი და ამაღელვებელი კუთხე-კუნჭულები, გორაკები და ბილიკები, ველმინდვრები და ნაკადულები. აფენდი არასდროს ივიწყებდა ადამიანებს, რომლებთანაც ურთიერთობაში გაატარა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი. ესენი არიან: ო. ჩხეიძე, გ. ხარაული, მ. გოცაძე, გ. მამფორია, მ. ფურემიძე, ს. მაკალათია, გ. ჩხარტიშვილი და სხვა.

აფენდი კობერიძის მეუღლე, ქალბატონი დალი ციხისთავი-კობერიძისა იგონებს: „...სულ ერთად იყვნენ და გორის ქუჩებს ამშვენებდნენ აფენდი და მისი მეგობრები: ბ. ნოზაძე, ო. ჩუბინიძე, რ. ოქროაშვილი, ს. მაისურაძე, ყ. ყარსიმაშვილი... მათი გამოჩენა ატმის აფეთქებას ჰგავდა; მოდიოდნენ და მოჰქონდათ სილამაზე, ახალგაზრდობა, ჭკუა-გონება...“.

ლამაზი ოჯახი დაუტოვა აფენდიმ თავის საყვარელ ქალაქს: მუღლე, დალი ციხისთავი-კობერიძისა, ისტორიო-ფილოლოგიის სპეციალისტი. ქალიშვილი, მარია – მოსკოვის ლიტერატურის საკავშირო ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. დაამთავრა ასპირანტურაც. სიძე, ვიანესლავ ვასილევსი (მშენებელი ინჟინერი). ვაჟიშვილი პაპუნა, ინჟინერ-ეკონომისტი, რძალი, ხათუნა ცქიტიშვილი – ექიმი, ენდოკრინოლოგი. აფენდი კობერიძეს არასდროს დაივიწყებენ მისი შვილიშვილები გიორგი, ალექსანდრე, რატი და სალომე.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ბატონო აფენდი მკერდზე დაყრილი მშობლიური მიწა.

კობერიძე ბურბანი


მას შემდეგ, რაც სამი თვის გურგენი რაჭის ულამაზეს სოფელ ცხმორიდან, მშობლებმა გორში ჩამოიყვანეს, ოცი წელიც კი არ იყო სრულად გასული და იგი უკვე ისტორიკოსის დიპლომით პედაგოგობას იწყებს ჯერ მე-2, ხოლო შემდეგ მე-4 საშუალო სკოლაში.

დაიბადა 1924 წლის 14 ნოემბერს. გურგენის მამა პურის მცხობელი იყო; დედა – დიასახლისი, ჰყავდა ერთი და.

ომის შემდგომ წლებში დამკვიდრებული იყო მცდარი აზრი, რომ თითქოს ისტორიკოსობა მაღალი თანამდებობების დაკავების გარანტიას იძლეოდა და ახალგაზრდობაც ამ სპეციალობას ეტანებოდა. მაგრამ მხოლოდ დიპლომი როდია ცხოვრებაში წარმატების მომტანი. მთავარია, კაცი იყო მშრომელი, საქმის ერთგული, სიტყვის პატრონი, ნაკითხი, დაუზარელი, პატიოსანი და შორსმჭვრეტელი.

სწორედ ასეთი გახლდა ტკბილად მოსაუბრე ბატონი გურგენი და წარმატებამაც არ დააყოვნა. იგი სულ მალე გახდა გორელთათვის ერთ-ერთი საყვარელი პიროვნება – სანდომიანი, მხიარული, მეგობრების მოყვარული, ჰუმანიზმის მაღალი იდეებით შემკობილი ადამიანი, რომელიც მუდამ იქ იყო, სადაც ვისმეს უჭირდა, დახმარება კი უანგარო და გულუხვი იცოდა.

მიუხედავად შეთავაზებებისა, გურგენ კობერიძეს გული არ მიუწევდა პარტიული სამუშაოსკენ. იგი დაბადებით და მოწოდებით სამეურნეო მუშაკი იყო და აკი თავისი



კვალიც დაამჩნია გორში ხეტყის მომარაგების, გადა-
მუშავებისა და რეალიზაციის სფეროებს, ასერიგად რომ
იყო აუცილებელი ომის შემდგომი, დანგრეული ქვეყნის
აღმშენებლობისათვის.

გორის ყველა სამრეწველო თუ სამეურნეო ობიექტს,
რომლებსაც, თუნდაც მცირე, შეხება ჰქონდათ ხეტყესთან,
როგორც ძვირფას სამშენებლო მასალასთან, ემჩნეოდა გ.
კობერიძის მზრუნველი და გამრჯე ხელი.

არაერთი მადლობა თუ საპატიო სიგელი აქვს მიღე-
ბული ბატონ გურგენს ადგილობრივი თუ რესპუბლიკური
პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვან-
ელობისაგან კარგი და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ხშირად გზავნიდნენ მას შორეული ციმბირის ქალაქებ-
ში და რაიონებში, რათა ადგილზე ოპერატიულად ეხ-
ელმძღვანელა და წარემართა საქართველოსთვის ფონ-
დირებული ხის დამზადება და ტრანსპორტირება. იგი
თვეობით იყო საყვარელ ოჯახს მოცილებული, რათა
კეთილსინდისიერად შეესრულებინა მასზე დაკისრებული
მოვალეობა.

ოჯახი კი, მართლაც, საყვარელი და სანაქებო აქვს ბა-
ტონ გურგენს. მეუღლე, ქალბატონი ციალა გიგიტაშვილი,
ორი ვაჟიშვილი – მამუკა და მირიანი, ოთხი შვილიშვილი
და ამდენივე შვილთაშვილი.

იბედნიეროს და იმრავლოს გ. კობერიძის მონაგარმა!
მიუხედავად მოუცვლელიობისა, გურგენი მაინც ახერხებდა
მეგობრებთან ერთად მოლხენას. უბადლო იყო ქართულ
სუფრასთან ბრძნული საუბრით და თვითმყოფადი იუ-
მორით.

განსაკუთრებით უყვარდა თავისი მეგობრების მი-
პატიჟება და გამასპინძლება რაჭის ულამაზეს კუთხეე-
ბში.

სამწუხაროდ, გორს მოაკლდა კაცი, რომელსაც ჭეშ-
მარიტად მიესადაგება სიტყვები: სამშობლოს გულშე-
მატკივარი, კომუნიკაბელური, შემწყნარებელი, წიგნების
მოყვარული, დიდებული მეოჯახე, მამა და პაპა, საინ-

ტერესო მოსაუბრე.

ჭეშმარიტ მეგობართა დიდ წრეს (ვ. ურჯუმელაშვილი,
ბ. გოცირიძე, დ. რაჟამაშვილი, შ. გაგნიძე, ლ. იასაშვი-
ლი, ვანო და მიშა ბათიაშვილები, მიშა და ლევან გიგი-
ტაშვილები, კ. გუდაძე, ს. ასლანიშვილი, ს. სხირტლაძე,
ჟ. ხშიადაშვილი, მ. გუდაძე, ბ. მერაბიშვილი, ვ. იორა-
მაშვილი, კ. ხოდელი, ი. კობერიძე, კ. გოდერძიშვილი,
შ. გიგაშვილი, მ. ქელესაშვილი, გ. ვაზაგაშვილი და
სხვა) გამოაკლდა კიდევ ერთი სულმნათი და გულმს-
ურვალე კაცი. საამაყო კი ბატონი გურგენის შვილებს
ბევრი აქვთ.

კოჟუაშვილი მირიანი



მან კარგად იცოდა ყველაფერი ბოლო წლებში მოძა-
ლებული მძიმე ავადმყოფობის შესახებ. წამლებს ჯიბით
ატარებდა, მაგრამ თავაუღებლად შრომობდა, გამუდმებით
სამუშაო მაგიდას უჯდა და ჩაჰკირკიტებდა მეცნიერები-
სთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ნიუანსებს. იგი
მოწოდებით იყო მკვლევარი და ძალღონეს არ იშურებ-
და სიახლეთა ძებნაში. მირიანი იყო ერთ-ერთი პირველ-
თაგანი იმ სპეციალისტთა შორის, რომლებიც ეძებდნენ
ჩაის ხარისხის ობიექტური და ოპერატიული კონტროლის
მეთოდებს და შესაბამის ხელსაწყოთა, თუ მოწყობილო-

ბათა შექმნის შესაძლებლობებს, თუმცა ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ.

მირიან ვასილის ძე კოშუაშვილი დაიბადა 1929 წლის 8 ნოემბერს ქ. გორში, მოსამსახურის ოჯახში. უმაღლესი განათლება მიიღო გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. ამავე ინსტიტუტში დაიწყო მისი შრომითი მოღვაწეობა ფიზიკის კათედრის ლაბორანტის რანგში, შემდეგ კი მეცნიერული მოღვაწეობა გააგრძელა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კრისტალოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე.

მუდმივად მშობლიური ქალაქისკენ მოუწევდა გული მირიანს და უკვე 1960 წლიდან (როგორც შემდეგ გაირკვევა-სიცოცხლის ბოლო წუთამდე) მუშაობს გორის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში ჯერ მე-2 კატეგორიის ინჟინრად, შემდეგ ოპტიკური ლაბორატორიის გამგედ და ბოლოს ამავე ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. აღნიშნულ ინსტიტუტში მუშაობის სულ რაღაც 8 წლის განმავლობაში, მან მოასწრო ათზე მეტი სამეცნიერო შრომის გამოქვეყნება, რამდენიმე გამოგონებაზე საავტორო მოწმობის მიღება და საკანდიდატო დისერტის დაწერა, აკინძვა და

ნებისმიერი მოვლენის თუ ნივთიერების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად მათ შინაარსში, არს-ში ღრმად ჩაწვდომაა აუცილებელი. განსაკუთრებით, როდესაც საუბარი გვაქვს კვების პროდუქტებზე. საკმარისი არ არის მათი ორგანოლეპტიკური (სუნი, ფერი, გემო და ა. შ.) შეფასება... საჭიროა უფრო ღრმად ჩაწვდომა ამათუიმ გამოსაკვლევი პროდუქტის (ნედლეულის, ნივთიერების) ფიზიკურ, ქიმიურ თუ ბიოლოგიურ მიკროსამყაროში, იქ არსებული თვისებებისა და კორელაციების აღმოჩენა და შემდგომ მათი ოპტიმალური გამოყენება და ა. შ.

მთავრობის მოთხოვნა იყო, რომ გაშლილიყო მასშტაბური კონტროლი ჩაის ნედლეულის ხარისხის სწრაფი და ობიექტური კონტროლის მეთოდებისა და ხელსაწყოების შექმნისათვის და როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მირიან კოშუაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც აქტიურად ჩაება პრობლემის გადაწყვეტის საქმეში. გავიდა რაღაც 5-6 წელი და მირიანმა, თავის თანამოაზრეებთან ერთად, შეძლო ეპოვნა მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ჩაის ნედლეულის ექსტრაქტში შემავალ ნივთიერებათა ორი ჯგუფის ოპტიკურ სიმკვრივეთა შორის, რაც შეიძლება საფუძველი გამხდარიყო შესაბამისი ხელსაწყოს შექმნისა და მისი სერიული გამოშვებისათვის.

ეს პრობლემა გახლდათ სწორედ მირიან კოშუაშვილის საკანდიდატო დისერტაციის ძირითადი თემა, მაგრამ საწუთრომ არ დააცალა განეცადა ის სიხარული, რაც თან სდევს შემოქმედის და კერძოდ კი, მეცნიერ-მკვლევარის მნიშვნელოვან წარმატებას.

მირიანი 39 წლის გარდაიცვალა და ვინ იცის, თუ რამდენი გადაუჭრელი მეცნიერული პრობლემის გადაწყვეტის გზები და შესაძლებლობები წაიღო თან...

მირიანი აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: იყო კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, ხოლო 1966-68 წლებში-საქართველოს კპ გორის საქალაქო კომიტეტის წევრი.

გაზეთი „გამარჯვება“ წერდა (1969 წ. 4 იანვარი): „... გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივს მოულოდნელად გამოაკლდა დაუცხრომელი მაძიებელი, უსაზღვრო ოპტიმისტი, ენერგიული ხელმძღვანელი, გულითადი ამხანაგი...“

მირიან კოშუაშვილის ხსოვნა არ წაიშლება მისი ძმის ბიძინას და უამრავ ნაცნობ-მეგობრების გულელებში.

ასეთი ყოფილა მირიანის ბედისწერა.

კუთხაშვილი ბიორგი (ჟორა)



მუდმივად რაღაც ნაპერწკალივით უბრწყინავდა მომღიმარ, თაფლისფერ თვალებში, მაგრამ ეს არ იყო არც ირონია და არც ქილიკი. უფრო სითბოსა და სიკეთისთვის მზაობას გამოასხივებდა და ამუღანებდა საოცრად მეტყველი მისი თვალები. ამაში ადვილად დარწმუნდებოდით, მოისმენდით რა მის ხმადაბალ და ლაკონურ საუბარს. ტანდაც არ იყო დიდი და ჭარბად ხორცშესხმული, თუმცა მის მოძრაობას და მიხვრა-მოხვრას აშკარად ემჩნეოდა შინაგანი, სულიერი სიძლიერის კვალი.



ასეთი გახლდათ ჟორა კუთხაშვილი, კაცი, რომლის სიცოცხლეს სულაც არ იყო ვარდებით მოფენილი სარბიელი, პირიქით – მან სიძნელეებით და ტკივილებით სავსე ცხოვრება გაიარა და აკი ვე-

ღარ გაუძლო.

ის, ჯერ მხოლოდ 58 წლის იყო, როდესაც ჩამოჰკრა საბედისწერო ზარმა.

ცხრამეტი წლის ახალგაზრდა უკვე ირიცხებოდა 272-ე მსროლელთა პოლკში, მაგრამ დაინვალიდებულმა ვეღარ შესძლო სამხედრო სამსახური და სანახევროდ ჯანმრთელი დაუბრუნდა გორს 1943 წლის სექტემბერში (საბრძოლო ოპერაციების დროს მძიმედ იყო დაჭრილი მუცლის არეში და მარჯვენა ხელში).

გიორგი (ჟორა) კუთხაშვილი დაიბადა 1924 წლის 4 აგვისტოს. ჰყავდა ძმები – ალექსი და შოთა, რომლებიც ადრე გამოეცალგნენ მხრებიდან შუათანა ძმას, ისევე, რო-

გორც მშობლები.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებული გიორგი დიდხანს ავადმყოფობდა, მაგრამ მოიკრიფა ძალები და სწავლა გააგრძელა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1948 წელს ისტორიკოსის პროფესიით.

მალე ქარელის რაიონის სოფელ ბრეთში დაიწყო მუშაობა სკოლის პედაგოგად; ცხოვრობდა მეუღლის, ქალბატონ თამარ კუთხაშვილის (რომელიც ასევე სკოლაში ეწეოდა პედაგოგობას) მშობლების ბინაში. მერე კი ისევ გორი და მუშაობა ქარხანაში და კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში ღირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში.

რთული და საპასუხისმგებლო უბანი ებარა (ინსტიტუტის უზარმაზარ შენობაში ყველაფერზე პასუხს აგებდა – გადამწვარ ელექტრონათურაზე თუ ჩამსხვრეულ მინაზე, მტვრიან თაროებზე თუ დამტვრეულ ინვენტარზე, ჭერიდან ჩამოსულ წყალზე თუ სამუშაო კაბინეტისა და ლაბორატორიების გაუფრთხილებლობით დაკარგულ გასაღებებზე), მაგრამ ერთგულებითა და რუდუნებით ასრულებდა თავის მოვალეობას მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა ყოველთვის არ უწყობდა ხელს.

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იყო გამსჭვალული მეცნიერ-მუშაკთა მიმართ. თავგამოდებით ცდილობდა მათთვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნას.

მეცნიერთა კოლექტივმაც მალე შეიყვარა მომღიმარი გიორგი, კაცი, რომელიც სიკეთის საკეთებლად იყო მოვლენილი ამ ქვეყანაზე. ჟორა კუთხაშვილი დაჯილდოებული იყო იუმორის ნიჭითაც; საოცარი ამბების მოყოლა იცოდა; მისგან ყოველთვის მოელოდნენ რაიმე საინტერესოს და ხშირ შემთხვევაში გასართობ და გასამხიარულებელ რაიმე სიახლეს.

ერთხელ კვლევით ინსტიტუტში, შესვენების დროს, ბიჭებმა ჟორას სთხოვეს, ჩვენთან შემოდი, ერთად ვისადილოთო და ერთი ბოთლი შინაური არაყი გამოიყოლეო (ჟორა იქვე ცხოვრობდა, გვერდით სახლში).

სიამოვნებით ვისადილებ თქვენთან, ბიჭებო, მაგრამ

სამსახურში არ გინდათ დაღევა, თორემ მე არაყი კი არ მენანებაო.

– კაცო, შენ არაყი მოგვიტანე და ნუ იდარდებ, ერთი ბოთლი რას გევიზამს, – არ ცხრებოდნენ ბიჭები.

ჟორამ ერთხელ კიდევ „გაიბრძოლა“ – დამთავრდეს სამუშაო დრო და არაყი წავიღოთ სადმე სასადილოში და იქ დაველიოთო.

– ეჰ, თუ გენანება ევა თქვი... აქამდე ხომ დავლევდით კიდევ.

ჟორა კუთხაშვილმა უკმაყოფილოდ გამოიხურა კარები, სახლში წავიდა და მეზობლის ხელით ერთი ბოთლი მიართვა ბიჭებს, თან დააბარა – მეც მალე მოვალო.

დიდხანს ელოდნენ ბიჭები, ჟორა კი არ ჩანდა. შესვენების დროც იწურებოდა.

– როდემდე ველოდოთ, ჩამოასხი, თუ მოვა, ხომ კარგო... – ბურღუნით ჩიოდნენ ბიჭები და ჩამოასხეს.

და რა ჩამოასხეს?! – წყალი.

გიორგი (ჟორა) კუთხაშვილი შიგადაშიგ გამოჩნდებოდა ხოლმე ბილიარდის მაგიდასთან და შესვენებებზე მეცნიერ-მუშაკებს უჩვენებდა ხოლმე თავისი თამაშის კლასს. ძალიან კარგად თამაშობდა და წაგებასაც და მოგებასაც თავშეკავებული ღიმილით ხვდებოდა. კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ჟორა კუთხაშვილისგან არ გაუგიათ ზედმეტი, ხმამაღალი სიტყვა.

ჟორა კუთხაშვილს ძალიან უყვარდა თავისი ორი ვაჟკაცი – ზაური და გია, რომლებიც დღესაც ღირსეულად იღწვიან და გულის სიღრმეში დიდი სინაზით ინახავენ საყვარელი მამის ხსოვნას.

ჟორას მეუღლე, ქალბატონი თამარი, თითქმის ინსტიტუტის დაშლამდე მუშაობდა კადრების განყოფილების ხელმძღვანელად.

გასული საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში ავადმყოფობამ ძლიერ შეუტია ჟორა კუთხაშვილის ჯანმრთელობას. მეუღლესთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა, სადაც

ურთულესი ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ სიცოცხლისათვის თავგამოდებული ბრძოლა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მას კიდევ დიდხანს მისცემოდა საყვარელი შვილებითა და შვილიშვილებით დატკბობის საშუალება.

„აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

ლაღებაშვილი გიორგი

რომ იტყვიან ხოლმე, „ენერგითა და სიცოცხლით სავსე კაციაო“, სწორედ გიორგი (გივი) ლაღებაშვილზე ითქმოდა. საოცრად მოძრავი, სწრაფადმოლაპარაკე, ენერგიული ჟესტიკულაციით და სახეზე განუყრელი ღიმილით – ეს იყო ბატონი გივის გარეგანი იერსახის თვალშისაცემი შტრიხები. ვიხმარეთ სიტყვა „იყო“, რადგან 1998 წლის 5 სექტემბერს შეწყდა ჭეშმარიტი გორელის, კარგი მოქალაქის, ინჟინრისა და სპორტსმენის გულისცემა. ელვის სისწრაფით გაიარა მისმა ბობოქარმა ცხოვრებამ. ბევრი რამ მოასწრო და ბევრი აუხდენელი ოცნებაც თან გაიყოლა.

ვინც კი იცნობდა ბატონ გივის, დაგვეთანხმება, რომ იგი იყო ნამდვილი პატრიოტი თავისი ქვეყნისა და ქალაქისა და საუკეთესო სამეგობრო კაცი. სასიამოვნო და მიმზიდველი იყო მისი ცუცხლოვანი საუბარი და კარგად შეფერილი იუმორი.

გიორგი (გივი) პავლეს ძე ლაღებაშვილი დაიბადა 1932 წლის 6 მაისს ქ. გორში. დაამთავრა სკოლა და სწავლა გააგრძელა ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში.



გივი ლალემაშვილი ბავშვობიდანვე იყო შეყვარებული სპორტზე, განსაკუთრებით იზიდავდა ტანვარჯიში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობა დაიწყო გორის რაიონის სოფელ ტყვიაგში ფიზკულტურის მასწავლებლად. შემდგომში იგი სამუშაოდ მიიწვიეს ქარხანა „გორიხელსაწყოში“, სადაც მოგვიანებით აირჩიეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად.

მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და სწავლა განაგრძო (დაუსწრებლად) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის ფილიალის სამშენებლო ფაკულტეტზე და სულ მალე ეუფლება მეორე სპეციალობას (ინჟინერ-მშენებელი).

სხვადასხვა დროს მუშაობდა სახალხო დეპუტატთა გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების მთავარ ინჟინრად, გორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ, №9 სამშენებლო ტრესტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ, უსინათლოთა სასწავლო-საწარმოო წარმოების მთავარ ინჟინრად და შემდეგ დირექტორად, გორის სახლთმშენებლობის კომბინატის მთავარ არქიტექტორად და ა.შ.

გივის მამა, ბატონი პავლე, საქონელმცოდნე, მუშაობდა ხილის დამზადების რაიონულ გაერთიანებაში. დედა, ქალბატონი ელისაბედ მამულაშვილი გახლდათ სანაქებო დიასახლისი.



გივის მეუღლე, ნაირა აფრიამაშვილი, რუსული ენის სპეციალისტი. დები – მარიამი (ამჟამად გორის რაიონის სოფ. თორტიზის საჯარო სკოლის პედაგოგი) და თამარი (სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი მუშაკი, ამჟამად პენსიონერი); ძმა, შალვა – მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, შემდეგ კი „საქწიგნის“ გორის ფილიალის დირექტორად.

მშვენიერი შვილები გაზარდეს ბატონმა გივიმ და ქალბატონმა ნაირამ: ელისაბედი კომპიუტერული პროგრამების სპეციალისტია, ხოლო მალხაზი – მშენებელ-ინჟინერი.

იამაყეთ, შვილებო, კარგი მამა გყავდათ.

ლაცაბიძე მიხეილი

*„სჯობს სახელისა მოხევა ყოველსა მოსახეველსა“
(შოთა რუსთაველი)*



2005 წლის ივნისის თვის ჟურნალ „პარალელში“ ვკითხულობთ: „უდიდესი დანაკლისი განიცადა გორის საზოგადოებამ. მიხეილ ლაცაბიძე იყო დეპარტამენტი პარტიულ-სამეურნეო მოღვაწე და ბრწყინვალე ინჟინერი. სულთ მდიდარი, ადამიანებს შორის ადამიანი, რომელიც გამოირჩეოდა სიკეთის თესვით, თავმდაბლობით, ერუდიციით. იგი ყველას უნაწილებდა თავის გულის სიტბოს...“ ამავე წერილში აღნიშნულია, რომ „...სადაც არ უნდა ემოღვაწა, ყველგან და ყოველთვის მაღალი პასუხისმგებლობით და გულისხმიერებით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სიკეთისა და ერთგულების, ასევე ადამიანების სიყვარულისადმი სისხლშიგამჯარმა რწმენამ სახელოვნად გაიყვანა იგი კაცურ-კაცობის ურთულეს გზასავალზე.“

მიხეილ ლაცაბიძის მთელი სიცოცხლის უპირველესი ამოცანა იყო – ემსახურა მშობელი ხალხისათვის, ყოფილიყო პრინციპული, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი, სამართლიანი და კოლეგიალური.

მიხეილ კონსტანტინეს ძე ლაცაბიძე დაიბადა 1924

წელს ქ. გორში, შრომისა და განათლების მოყვარე, სიკეთით სავსე ოჯახში. დაამთავრა გორის მე-4 საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტში, რის დამთავრების შემდეგაც მიაკითხა მოსკოვის სახელმწიფო საფეიქრო ინსტიტუტს და წარჩინების დიპლომითაც დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. ამ დღიდან იწყება მისი, როგორც სპეციალისტის ურთულესი და მრავალწახნაგოვანი შრომითი გზა, როგორც პროფესიულ ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში. თითქმის 55 წელი მუხლომოდრეკლად და მისთვის ჩვეული ერთგულებით ემსახურა თავის ხალხს, თავის ქვეყანას.

სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ტაშკენტის საფეიქრო კომბინატში (ინჟინრად), გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში (კადრების განყოფილების გამგე, საამქროს ოსტატი, საქსოვი ფაბრიკის გამგის მოადგილე, კომბინატის მთავარი მექანიკოსი, შემდეგ მთავარი ენერგეტიკოსი), გორის სამრეწველო კომბინატი (მთ. ინჟინერი), გორის მექანიკური ქარხანა (დირექტორი), გორის ადგილმრეწველობის საწარმოო გაერთიანება (გენერალური დირექტორი), გორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო (დირექტორი), ქარხანა „გორიხელსაწყო“ (დირექტორი), პარტიის საქალაქო კომიტეტი (მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე), სახალხო დეპუტატთა გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და სხვა.

მიხეილ ლაცაბიძე იქ გადაჰყავდათ სამუშაოდ, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო გამოცდილი ინჟინრისა და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ადამანის გულისხმევა და გამოცდილება. დღეს სიამაყით შეუძლიათ თქვან გორელებმა, რომ ისინი არ შემცდარან. ყველა უბანზე მხოლოდ წარმატება იყო ბატონი მიხეილის თანამგზავრი. მისი პროფესიონალიზმი და საქმის სწორი ორგანიზაციის ნიჭი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო აღმასკომის თავმჯდომარისა და ქარხანა

„გორიხელსაწყო“ დირექტორის თანამდებობებზე. ზემოდმოყვანილ ჟურნალში ხაზგასმულია, რომ ბატონი მიხეილის აღმასკომის თავმჯდომარეობის დროს „მისი ხელმძღვანელობით გაიშალა ფართო და ინტენსიური მუშაობა ქალაქის კეთილდღეობისა და განაშენიანებისათვის...“

ფრიად ნაყოფიერი იყო ბატონი მიხეილის მოღვაწეობა ქნა „გორიხელსაწყო“ დირექტორის თანამდებობაზე. სრულიად ახალი დარგის განვითარება და ახალ ტექნიკურ სიმაღლეზე აყვანა ხელმძღვანელობისაგან მოითხოვდა დახვეწილ საინჟინრო აზროვნებას, დიდ შრომისმოყვარეობას, ხშირ შემთხვევაში – არაორდინალურ გადაწყვეტილებას და რაც ყველაზე არსებითია – ამათუიმ სფეროს სამომავლო განვითარების ძირითად მიმართულებათა უტყუარ გათვლას და წარმოდგენას. სწორედ აქ გაიფურჩქნა სრულად მიხეილ ლაცაბიძის ტალანტი. იგი 2-3 წლის წინწასწრებით სახავდა გეგმებს და პრაქტიკულად ახორციელებდა ღონისძიებებს, რასაც ყოველთვის მოჰქონდა წარმატება.

წარმატება კი ბევრი ჰქონდა მიხეილ ლაცაბიძეს: საიუბილეო მედლები, „საპატიო ნიშნის“ ორდენი, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „საპატიო სიგელი“ (ორჯერ), რესპუბლიკის „დამსახურებული პროპაგანდისტი“, მრავალი მადლობა თუ დიპლომი, რამდენიმე საავტორო მოწმობა გამოგონებებზე და ა. შ. აი, არასრული ჩამონათვალი იმ ჯილდოებისა და წოდებებისა, რაც მიხეილ ლაცაბიძემ სამართლიანად დაიმსახურა, მართლაც რომ თავდადებული და პატიოსანი მუშაობისათვის.

ბატონ მიხეილს არასდროს უფიქრია (არამც თუ უცდია) ფულისა და ქონების დაგროვებაზე და სიმდიდრით ფუფუნებაზე. მისი სიმდიდრე იყო: განათლება, სიკეთე, თავმდაბლობა, შრომისმოყვარეობა, კეთილი სალაში, ღიმილი სახეზე, უანგარობა, ერთგულება, რაინდული სული და ბრწყინვალე ოჯახი, მისაბაძი ოჯახი. ქალ-

ბატონი ვენერა (მეუღლე), სამი შვილი (კონსტანტინე, ზურაბი, მარინე), რძლები – მარინე და თინათინი, ოთხი შვილიშვილი (მიშიკო უფ; ქეთი, ანა, მიშიკო უმც.) და ერთი შვილთაშვილი – მარიამი. მიხეილ ლაცაბიძე იყო ის კაცი, რომელიც მზად იყო ყოველთვის ღირსეულად გამასპინძლობდა გორში ჩამოსულ ნებისმიერ სტუმარს; მიხეილი იყო ის კაცი, რომელიც ტანსაცმლიანად შევარდა აბობოქრებულ ზღვაში და დახრჩობას გადაარჩინა ახალგაზრდა, რომელსაც ნაფოტივით ათამაშებდა უზარმაზარი ტალღები. მიხეილ ლაცაბიძე იყო ის კაცი, რომელიც წარმატებული შრომითი მოღვაწეობისათვის მიღებული კვარტალური პრემია მთლიანად მისცა ინვალიდ მათხოვარს და თან თავისთვის დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა – ნეტავ ვედირსებოდე იმ დროს, როცა საქართველოში მათხოვრები აღარ იქნებიანო. სამწუხაროდ არ დასცაღდა – 2005 წლის 12 მაისს შეწყდა დიდებული კაცის მაჯისცემა.

არ შიძლება გვერდით ავუაროთ მწერალ ბ. ნოზაძის ლექსს, რომლითაც ავტორმა, ვფიქრობთ, გამოხატა არა მარტო თავისი პირადი, არამედ მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულება და მადლიერება მიხეილ ლაცაბიძის პიროვნებისადმი.

რა სავსე გულით იარე,
ყველასთან იყავ მართალი,
არსად არ დაიგვიანე,
ენტე იმედის ლამპარი!
გული ბოლომდე დახარჯე,
ნიჭი ბორგავდა უღვრელი.
ხარბი, ხარბებმა დახანჯლეს,
შენ გედგა ხალხის უღელი!
გორის მზე გწვავდა თაკარა
და გძულდა კაცი ანკესი....

დიდიც იყავი, პატარაც
და გაჭირვების ტალ-კვესიც!
რაც იყო ისიც გყოფნიდა,
არ გცმია სხვისი ხალათი,
შენ ლუკმას ჭამდი ოფლითა,
გლოცავდა გორი ქალაქი!
ჰაუ! მივიღტვით იქითა,
ფერს არ შეიცვლის ძახველი,
ვიტყვი წაქცეულ ჭიქითა, –
ხე დაგიტოვე სახელის!


მაისურაძე ბიჭო



მისი თანაკურსელები და მეგობრები (აკადემიკოსები ლ. ჟიჟიაშვილი, დ. ბალაძე; მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ზ. ელიზბარაშვილი, ჟ. რუხაძე, ლ. რუხაძე, ა. შათაშვილი, ვ. გვაზავა, ჯ. სანიკიძე, რ. კილაძე და მეცნიერებათა ათობით კანდიდატი) ადრევე აღიარებდნენ და დღესაც ადასტურებენ, რომ გივი მაისურაძე, მათ შორის, იყო ერთ-ერთი საუკეთესო

(თეორიული მომზადებით, პრობლემებში სიღრმისეული ჩაწვდომით, ანალიტიკური აზროვნებით და თავისებური, მეცნიერული სიჯიუტით), მაგრამ იმის გამო, რომ იმავედროულად გახლდათ ზედმეტად თავმდაბალი და მორიდებული, არ მოინდომა თავისი შესაძლებლობების ფორმალური მოწვესრიგება და იურიდიული განმტკიცება, რასაც სადისერტაციო შრომის დაწერა, აწყობა-დალაგება და დაცვა ეწოდება.

გივი მაისურაძეს არ უყვარდა თავის წარმოჩინება, თავის თავზე ლაპარაკი და, დღეს რომ ვეძახით, – „პოკაზუხოზა“. არასდროს ცდილობდა ცოდნის გამჟღავნებას, მაგრამ, თუ ვინმე მაინც მოახერხებდა მის დისკუსიაში ჩათრევას, აი მაშინ კი გივის დაოკება ძნელი ხდებოდა. საოცარი ლოგიკით, დამაჯერებლობით და საინტერესოდ წყვეტდა პრობლემებს მრავალ სხვადასხვა სფეროში. მისი კოლეგა და ახალგაზრდობის მეგობარი ბატონი აკაკი ჯა-



ფიაშივილი, მეგობრული სიამაყით, იხსენებს – მას ჩვენ ცოცხალ ენციკლოპედიას ვეძახდითო.

გივი ბესარიონის ძე მაისურაძე დაიბადა 1930 წელს ქ. ბორჯომში, მოსამსახურის ოჯახში. მამა, ბესარიონ რაუდენის ძე მაისურაძე გარდაიცვალა 1948 წელს. მაისურაძეების მყუდრო და შრომისმოყვარე ოჯახში იზრდებოდა ოთხი შვილი (გივი, ანგელინა, ზაირა, ნათელა).

გივი მაისურაძემ საშუალო სკოლა დაამთავრა 1948 წელს მედლით და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. სერიოზული ავადმყოფობის გამო, გივი მაისურაძე იძულებული იყო შეეწყვიტა სწავლა და ემკურნალა. გამოჯანმრთელების შემდეგ კი მისაღები გამოცდები ჩააბარა იმავე უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1956 წელს.

მძიმე წლები ედგა მაისურაძეების ოჯახს. გივი მე-11 კლასში იყო, როდესაც გარდაეცვალა მამა. არსებობისათვის ბრძოლის სიმძიმე დააწვა ოჯახის დედას, ქალბატონ ნინას. როგორც იტყვიან, წლებზე ფეხს იდგამდა, რათა გამოეკვება და სწავლის გზაზე დაეყენებინა სამი მცირეწლოვანი ქალიშვილი და ასევე დახმარებოდა თბილისში სასწავლებლად წასულ ვაჟიშვილს – გივის. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, გივიმ მალე მიიპყრო პედაგოგ-პროფესორების ყურადღება თავისი ნიჭიერებით და შრომისმოყვარეობით. გივის მაღალი რანგის მეცნიერად ჩამოყალიბებას უწინასწარმეტყველებდნენ მეგობარ-კოლეგები და პროფესორ-მასწავლებლები. მოგვიანებით ეს ასეც მოხდა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, შესაბამისი ფორმალური და იურიდიული სამეცნიერო ატესტატებისა და დიპლომების გარეშე.

სტუდენტობის დროსვე გამოიკვეთა გივი მაისურაძის სპორტული შესაძლებლობები. განსაკუთრებით იზიდავდა კრივი, სადაც თავისი ფიზიკური ძალის გამოყენების კარგი საშუალება ეძლეოდა. ბიჭები ხუმრობდნენ ხოლმე – „ვაი მას, ვისაც გივის მორგევიით მუშტი მოხვდებაო“. და

მართლაც ძლიერი მუშტი ჰქონდა გივის. ბატონი გივის მეგობარი, აკაკი ჯაფიაშივილი, იხსენებს ერთ ეპიზოდს: „გივი არასოდეს დაიწყებდა ჩხუბს, თითქოს ერიდებოდა თავისი ძალის გამოყენებას. ერთხელ ქუჩაში მოხუცილიგო ახალგაზრდამ ზედმეტად შეაწუხა და შეურაცხყო ხალხი. გივიმ მისი დაწყნარება სცადა, მაგრამ ამოდ – ის უფრო გათავხედდა და გივისაც შეუტია. მაშინ გივიმ ერთი დაარტყა თავისი კუნძივით მუშტი და რომ იტყვიან, ის აბეზარი ასაკრეფი გახდა. გვიან გაირკვა, რომ ნაცემი ხულიგანიც მაისურაძე ყოფილა. გივი, თურმე მთელი სიცოცხლე ნანობდა – რაღა ჩემი გვარის კაცი შემომელახაო“.

„უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გივი მაისურაძემ მუშაობა დაიწყო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად, ხოლო 1958 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე, ლაბორანტიდან დაწყებული, განყოფილების გამგით დამთავრებული. კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში გივის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შესრულდა მრავალი თეორიული და პრაქტიკული სამუშაო. გივი იყო ჰიდრაული-კურ-პნევმატიურ მოწყობილობათა და სისტემათა ერთადერთი სპეციალისტი კვლევით ინსტიტუტში.

გივი მაისურაძემ კარგად იცოდა საქართველოს ისტორია და ქართული პოეზია. ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად. განსაკუთრებით უყვარდა ლადო ასათიანის შემოქმედება.

გივი მაისურაძის ბავშობის მეგობარი, პროფესორი ზურაბ ელიზბარაშვილი იგონებს სიჭაბუკის წლებს, როდესაც გივი მაისურაძემ თავის მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა ლიტერატურული კლუბი, სადაც გივი ყოველთვის ზეპირად წარმოთქვამდა ხოლმე ქართველ პოეტთა ლექსებს, პოემებს. საოცარი მეხსიერება ჰქონდაო გივის, იხსენებს ბატონი ზურაბი.

გივი მაისურაძე იყო ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბუნების კეთილი პიროვნება. ერთგულეა მეგობრებისად-


მი და საქმისადმი იყო მისი ჰობი. განსაკუთრებით უყვარდა გაჭირვებულის დახმარება და დავრდომილთა მხარში დგომა. გამოირჩეოდა პირდაპირობით, გულწრფელობით და იშვიათი პატიოსნებით. მატერიალური გაჭირვების მიუხედავად, ბესარიონ და ნინა მაისურაძეების ოჯახი გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით. მათ ოჯახში შესული ნებისმიერი ადამიანი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. ასეთი იყო გივი მაისურაძეც, რომელმაც თავისი პატარა ოჯახი შექმნა ქ. გორში 1966 წელს, ქალბატონ ლამარასთან (დოდო) ერთად, რომელიც ასევე მეცნიერ-მუშაკი გახლავთ (კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგი). ახლადშექმნილ ოჯახში გაჩნდა ვაჟიშვილი, რომელსაც პაპის პატივსაცემად დაარქვეს ბესიკი (ბესარიონი). ბესიკი ამჟამად დაოჯახებულია. მუშაობს ჩითახევკესში, ელექტრომოწყობილობათა ლაბორატორიაში. მამისაგან (გივისაგან) განსხვავებით, ბესიკმა ლოგიკურ ფინალამდე მიიყვანა თავისი მეცნიერული მოღვაწეობა, დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ზემოდ ვახსენეთ, რომ გივი მაისურაძეს ძალიან უყვარდა ლადო ასათიანის ლექსები. ეს მართლაც ასე იყო და ლექსებიდან ცალკეულ სტროფებს დიდი პათოსით ამბობდა ხოლმე სუფრაზე. განსაკუთრებით უყვარდა ლექსი „საქართველოში“:

„...რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ!“

სამწუხაროდ სიკვდილის ერთ-ერთი, საბედისწერო კარი დაურაზავი დარჩა. 1992 წლის 6 ოქტომბრის საღამო ხანს, სამსახურიდან სახლში მიმავალ გივი მაისურაძეს, ქ. გორში, სტალინის ქუჩაზე №21 საცხოვრებელ ბინასთან შემოესმა გოგონას სასოწარკვეთილი შეკივლება „ძია, მიშველე!“ გივი დაუფიქრებლად ჩაება უთანასწორო ბრძოლაში მანქანიან გამტაცებლებთან, გამოანთავისუფლა უცნობი ქალიშვილი, მაგრამ ვეღარ გაუძლო ინფარქტგადატანილმა გულმა შეხლა-შემოხლას და გაჩერდა.

მერაბიშვილი გურამი (გულკა)



ვინ მოსთვლის ფეხბურთის რამდენ ასეულათას გულშემატკივარს მიანიჭა უდიდესი სიამოვნება და სიხარული მეკარის, გულკას ოსტატურმა თამაშმა. მეკრივი აგებულების და ძლიერი ფიზიკური მონაცემების მეკარე გახლდათ, თუმცა სიმაღლით არ იყო მაინცდამაინც გამორჩეული.

კაცი იფიქრებდა, როგორ უნდა დაიჭიროს ბურთი შვიდმეტრიან კარშიო. მაგრამ ბუნებრივი ალლო, სწრაფი აზროვნება და ვეფხვისებური რეაქცია, გულკას საშუალებას აძლევდა მოეხსნა ე.წ. მკვდარი ბურთებიც კი. კიდევ ერთი რამით იყო შესანიშნავი გულკა მერაბიშვილი – საოცრად ლამაზი ნახტომი ჰქონდა, ზოგჯერ უბრალოდ დარტყმულ ბურთსაც ისეთი სილამაზით და მოხდენილობით იჭერდა, რომ მაყურებელი აღტაცებულ შეძახილებს და ტაშს არ იშურებდა.

გურამ (გულკა) არჩილის ძე მერაბიშვილი დაიბადა ცხაკაიას (ახლანდელი სენაკი) რაიონის სოფელ ფშაფში. მალე მისი ოჯახი საცხოვრებლად გადმოსულა ქ. გორში. აქვე შეუყვანიათ მე-2 საშუალო სკოლაში. მოგვიანებით გულკას სწავლა გაუგრძელებია და დაუმთავრებია №11 საშუალო სკოლა. 13 წლის ასაკში დაიწყო ფეხბურთის თამაში. სხვადასხვა დროს ითამაშა ისეთ გუნდებში, როგორც იყო „პიშჩევიკი“, „რულევიკი“, „დინამო“ და

„დილა“.

1952 წელს მონაწილეობდა „ნორჩ დინამოელთა“ მაშინდელ საკავშირო შეჯიბრში და გუნდთან ერთად მოიპოვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

ჭაბუკი ფეხბურთელით დაინტერესდნენ საქართველოს ფეხბურთის მესვეურები და ცნობილი კოლექციონერები, ანდრო ჟორდანიას მიწვევით გულკა მერაბიშვილი აღმოჩნდა ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში.

მაშინდელი საკავშირო პირველობის ე.წ. „ბ“ კლასში წარმატებით თამაშობდა ქუთაისის „ტორპედო“ და ბოლოს დადგა შედეგიც – ავტოქარხნელთა გუნდი 1962 წელს ტრიუმფით გადავიდა უმაღლეს, ე.წ. „ა“ კლასში. ამ წარმატებაში გულკას დიდი წვლილიც დევს.

უმაღლესი ლიგის („ა“ კლასის) პირველ თამაშში ქუთაისის „ტორპედომ“ დაამარცხა მოსკოვის აღიარებული გუნდი „ტორპედო“ და აალაპარაკა ფეხბურთის ფედერაცია, ჟურნალისტები და ასეულათასობით გულშემატკივარი. შემდგომ წლებში მოსკოვის გუნდებისათვის ქუთაისის „ტორპედო“ იქცა თითქმის გადაუღალავ ზღუდედ.

1965 წლიდან გულკა დაბრუნდა ქ. გორში და სპორტული კარიერა გააგრძელა ადგილობრივ „დილაში“, პარალელურად კი ავარჯიშებდა ჭაბუკ ფეხბურთელებს.

გულკა მერაბიშვილი იყო საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი.

გულკა მერაბიშვილის სპორტულ წარმატებათა ნუსხა:

- „ნორჩი დინამოელის“ ორგზის ჩემპიონი.
- ქუთაისის „იმერეთის“ შემადგენლობაში, საქართველოს სამგზის ჩემპიონი.
- ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში („ბ“ კლასში) ხუთგზის ჩემპიონი.

საოცრად დინჯი და აუღელვებელი იყო ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბავშვივით გულუბრყვილო და მიმნდობი. უყვარდა მეგობრების წრეში მადლიან ქართულ სუფრას-

თან ჯდომა და მოლხენა.

აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ იმუშავა სხვადასხვა ორგანიზაციაში და ყველგან პატივისცემით ეპყრობოდნენ, აფასებდნენ მის ღვაწლს და დამსახურებას, პირველ რიგში კი იმას, რომ გულკა იყო საოცრად თბილი და მიმტევებელი ადამიანი. ასეთებს კი მადლიერი საზოგადოება არ ივიწყებს.

მესროფოვი სეირანი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები ყველგან და საქართველოშიც გამოირჩეოდა ინტენსიური აღმშენებლობით. დანგრეულ და გაპარტახებულ სოფლებსა თუ ქალაქებში აჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ობიექტების აღდგენითი სამუშაოები, ფართოდ გაიშალა საბინაო მშენებლობაც; დიდი ყურადღება ექცეოდა ეკონომიკის აღორძინებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ასევე ომით გამოწვეული ჭრილობების მოშუშებას და ოთხწლიანი ომით უკიდურესად გადაღლილი ხალხის კულტურულ მომსახურებას. ხალხი მონატრებული იყო ცეკვა-თამაშს, სიმღერას, თეატრს და კინოს. იქმნებოდა მუსიკალური ანსამბლები, შენდებოდა კინოთეატრები, ამუშავდა ცეკვის შემსწავლელი წრეები, ყალიბდებოდა ორკესტრები და ა. შ.

ქ. გორში ფართო მასშტაბები მი-



ილო ევროპული ცეკვების შესწავლამ. ერთ-ერთი აქტიური პიროვნება, რომელიც ახალგაზრდობას უფასოდ და უანგაროდ ასწავლიდა ევროპულ (სამეჯლისო) ცეკვებს იყო სეირან მესროფოვი (სწავლება მიმდინარეობდა ზამთრობით კლუბებში და კულტურის სახლებში, ხოლო ზაფხულობით ე. წ. ახალ ბაღში საცეკვაო მოედანზე ღია ცისქვეშ სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე).

სეირანი ციბრუტივით ტრიალებდა იქაც და აქაც და თავის ცოდნას გადასცემდა სხვებს, რითაც, როგორც თვითონ იცოდა თქმა, უდიდეს სიამოვნებას ღებულობდა.

სეირან სიმონის ძე მესროფოვი დაიბადა 1930 წელს მოსამსახურეთა ოჯახში. მისი მამა იყო გამოცდილი მეხანძრე, ხოლო დედა – მუშა.

სეირან მესროფოვმა დაამთავრა ჯერ გორის ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ინსტიტუტის კლუბის გამგედ. საერანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ინსტიტუტის სასულე ორკესტრის ჩამოყალიბებაში. ამ ორკესტრის თანხლებით გამოდიოდა პედინსტიტუტის კოლექტივი საპირველმისო და საშვიდნოემბრო აღლუმებზე, რაც მაშინ მეტად მნიშვნელოვან და საამაყო საქმედ ითვლებოდა. ქ. გორისა და გორის რაიონის მასშტაბით, სადაც კი რაიმე კულტურული ღონისძიება ტარდებოდა (თვითშემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები, საესტრადო სიმღერები თუ ცეკვები, მუსიკალური ფესტივალები, თუ კონკურსები და ა. შ.) სეირანი მუდმივად ამ ღონისძიებათა ცენტრში ტრიალებდა. ინიციატივიანი და დაუზარელი გახლდათ. როგორც ჩანს, ბუნებამ დაამადლა ხელოვნებისა და კულტურის სიყვარული და ისიც თავიდან ფეხებამდე საყვარელ საქმეში იყო ჩართული. ჯერ კიდევ სკოლაში აქტიურად მონაწილეობდა დრამწრეში, შემდეგ ცეკვავდა გორის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში. გორის რაიონის კულტურის სახლის დრამწრეში ასრულებდა სხვადასხვა როლს

(კარგად გამოსდიოდა კომედიური ხასიათის როლების შესრულება.)

გასული საუკუნის 50-იან წლების დასასრულს და 60-იანი წლების დასაწყისში საქართველოს თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში იქმნებოდა საესტრადო თუ სასულე ორკესტრები, ვოკალურ-ინსტრუმენტული, თუ ქორეოგრაფიული ანსამბლები, დრამატული წრეები და ა. შ. არც გორის პედინსტიტუტი იყო ამ მხრივ გამონაკლისი და როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, შეიქმნა სასულე ორკესტრი, რასაც ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა. რომ არა ინსტიტუტის მაშინდელი რექტორის გ. ხარაულის მხარდაჭერა და სეირან მესროფოვის აქტიური მცდელობა – შეიძლება ორკესტრის შექმნის საკითხი დიდი ხნით გადადებულიყო (მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ანსამბლის მონაწილეთათვის ორნაირი ფორმის შეკერა-შექმნა ღიდ თანხებთან იყო დაკავშირებული, რაც იმ დროს საკმაოდ ძნელი გამოსანახი იყო).

სეირან მესროფოვი აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა საქალაქო თუ სარაიონო მასშტაბის თვითშემოქმედ კოლექტივების კონკურსებში, ფესტივალებში და სხვა სადღესასწაულო საზეიმო კონცერტებში. არც რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებებში მონაწილეობა იყო მისთვის უცხო რამ. რესპუბლიკურ ფესტივალებზე გორიდან წარგზავნილ კოლექტივებში უცვლელად ეჭირა თავისი ადგილი სეირან მესროფოვს.

ამაზე მეტყველებს მისი მრავალი სიგელი, დიპლომი თუ პრიზი. მოკლედ, სეირან მესროფოვი იყო 1950-1960-იანი წლების გორისა და გორის რაიონის მუსიკალურ-მხატვრული შემოქმედების ეპიცენტრში და პატივისცემა მისი პიროვნებისადმი მართლაც დიდი იყო.

სეირანიც, მადლობის დიდი გრძნობით, დაუღალავად იღწვოდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

გარდაიცვალა 1968 წელს ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა. სეირან მესროფოვის სიყმაწვილის მეგობარი ტარიელ თეთვაძე იგონებს: „სეირანი სუფრის ღმერთი იყო – მხი-

რული თავად და სხვების მომღმენი. კარგად გამოსდიოდა ცეკვაც, სიმღერაც და მხიარული ამბების მოყოლაც. ამავე დროს იყო უსაშველო გურმანი – არჩევდა ხარისხიანს და უყვარდა ბევრის ჭამა; ორ-სამ კაცს აჯობებდა ჭამაში.

ასაკოვან ადამიანებს ემახსოვრებათ ომის დროს მტრის თვითმფრინავიდან ჩამოყრილი პროკლამაციები. მაშინ პატარები ვიყავით და ვერ ვაცნობიერებდით პოლიტიკურ ასპექტებს. ის ვიცოდით, რომ თვითმფრინავის გამოჩენისას აგვეტყება ყვირილი „თვითმფრინავო, ჩამოყარე ქაღალდები“. ყველა ბავშვი ამას შესთხოვდა მფრინავს – რაღაც გასართობს ვხედავდით ამ მოვლენაში. მხოლოდ სეირანი ყვიროდა: „თვითმფრინავო, ჩამოყარე პურის ნაჭრებიო“. და ეს არც იყო გასაკვირი. 1941-1948 წლებში ქვეყანა შიმშილობდა“.

სეირან მესროფოვს მრავალი თეატრალური როლიც აქვს შესრულებული. ამბობენ, კომედიური როლები უფრო კარგად გამოსდიოდაო. ფოტოსელოვნებასაც კარგად ფლობდა – რამდენიმე ფოტოაპარატი ჰქონდა და შემთხვევას არ გაუშვებდა მომსახურებოდა ტურისტულ ჯგუფებს. ლექსითაც კი მიუმართავს მათთვის:

„გორისაზე ამოვსულვარ, შეგეწიოთ მადლი მისი,
აპარატები მკიღია, ჩემი არი განა სხვისი,
ოც კაპიკად, თითო სურათს, გადაგიღებთ კოხტად, ნაზად,
ფული მე – თქვენ სურათები, გაგეშალოთ ფიანდაზად.“

1967 წელს მძიმედ გახდა ავად. სეირანის დები იხსენებენ: „გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. ახლობლებს წერილები მისწერა – ემშვიდობებოდა, საცეკვაო მელოდით გამასვენეთო. თავზემდგარ დედას კი „იანანას“ სიმღერა სთხოვა. დედამაც უმღერა, მაგრამ სეირანმა სიმღერა ბოლომდე ვეღარ მოისმინა.“... გაჩერდა სიცოცხლე ახალგაზრდა კაცის, რომელიც ყველას უყვარდა. მეგობრებმა შეუსრულეს ანდერძი და „მთიულურის“ მელოდით გააცილეს უკანასკნელ გზაზე.

ცნობილი მსახიობი, ლევან ოზგებაშვილი ასე მიმარ-

თავს სეირანს („სიცილის წვიმა“):

...სცენაზე ანთებულ, ცეკვაში მხარგაშლილო, ცერეზზე შემდგარო ჯეირან,

ახლა რომ ყოფილიყავ – გარდაქმნის პერიოდში, ნეტავ რას იტყოდი, სეირან?!

ნეტავ ყოფილიყო!

მირუაშვილი გიორგი



მას ყველა გრიშას სახელით იცნობდა: „ძია გრიშა“, „ამხანაგი გრიშა“ ან მაშინ მიღებული ტრადიციით „იოსიფოვიჩი“. არავის არ სჭირდებოდა მისი საპასპორტო სახელის ამოხსნეკა და დაზუსტება – თვითონ ბატონი გიორგი იყო ისეთი კაცი, რომ გაცნობიდან სულ რამდენიმე წუთში მოგხიბლავდა თავისი ამოუწურავი სიტბოთი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე საუბრით, უბრალოებით და რაც ყველაზე მთავარია (რითაც მან მთელი საზოგადოების ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა), მუდმივი მზადყოფნით გაჭირვებულის დასახმარებლად. ამ საკითხში, მართლაც, რომ ნაკლებად თუ შეედრებოდა ვინმე. ამ ფონზე რაღა მნიშვნელობა ჰქონდა თუ რა ერქვა პასპორტით ღვთისნიერ კაცს.

გრიშას ყოფილი თანამშრომელი, ამჟამად ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ქალბატონი მზია არჩუაძე ასე მიმართავს თავის უფროს კოლეგას: „...ვამაყობ და მიხარ-

ია, რომ წლების განმავლობაში თქვენი ხელმძღვანელობით ვმუშაობდი; ყოველთვის ვგრძნობდი თქვენი გულის სითბოს; ქედს ვიხრი თქვენი სულის წინაშე, რომელიც ახლაც მამხნევებს და მმაცებს ძალებს დაბრკოლებათა გადასალახად; თქვენ ხომ ისე ზრუნავდით ჩემზე, როგორც საკუთარ ქალიშვილებზე; გულით უდიდეს სიყვარულს ატარებდით და ამიტომაც შეგიყვარა ხალხმა“....

ქალბატონი მზიას სიტყვები, ვფიქრობ, მთელი ქალაქისა და რაიონის მოსახლეობის აზრის გამოხატულებაა იმ კაცის შესახებ, რომელიც, ისევ მზიას სიტყვები რომ მოვიშველიოთ, დააკლდა ქალაქს და არა მარტო ქალაქ გორს.

გიორგი (გრიშა) იოსების ძე მირუაშვილი დაიბადა 1921 წლის 2 იანვარს სოფელ ქვახვრელში, გლეხის ოჯახში. მისი ბავშვობა და ახალგაზრდობა დაემთხვა საოცრად ძნელ და ათასგვარი პრობლემებით დამძიმებულ ისტორიულ პერიოდს, როდესაც პირველ ნაბიჯებს დგამდა სოციალიზმის მშენებლობის ლიანდაგებზე შემდგარი ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა – შიმშილობა, სიცივე, ხუთწლიანი გეგმები, რეფორმები, კოლექტივიზაცია, პოლიტიკური რეპრესიები და მრავალი სხვა. ყველაფერი ძნელი იყო მაშინ – სწავლაც, პროფესიის შერჩევაც, მუშაობაც და პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრაც და გათავსებაც; თუმცა მთავარი სიძნელეები მაინც წინ იყო, მეორე მსოფლიო ომის სახით, რომელმაც ბატონ გრიშას მოუსწრო 20 წლის ასაკში. ყველაფრის მიუხედავად, ბატონმა გრიშამ შესძლო თბილისის ერთ-ერთი საშუალო სკოლის დამთავრება და შემდეგ კი ვაჭრობის ეკონომიკის სპეციალობით უმაღლესი განათლების მიღება. 19 წლის ასაკში ვაჟკაცს უკვე მე-2 მსოფლიო ომში მოუწია მონაწილეობის მიღება. საოცრად შვენოდა, გარეგნობით მოხდენილ ახალგაზრდას, სამხედრო ფორმა. ქ. გორში მიღებული სამხედრო გადამზადების შემდეგ, თავგანწირვით ჩაება ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე საბრძოლო ბატალიებში.

ომგადახდილი ოფიცერი 1946 წლიდან დაუბრუნდა

მშობლიურ კუთხეს და დაიწყო მისი შრომითი მოღვაწეობა ომის შედეგად დანგრეული და იავარქმნილი ქვეყნის აღდგენისა და აღორძინების ისტორიულ ფრონტზე.

მრავალ დარგს, ორგანიზაციას, თუ წარმოება-დაწესებულებას დაამჩნია სასიკეთო კვალი ომგადატანილმა ახალგაზრდამ. ზემოდ მოყვანილ სიძნელეებთან ერთად, ქვეყანაში იგრძნობოდა მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტების დეფიციტი და ბატონი გიორგი (გრიშა) მირუაშვილიც სამუშაოდ გადაჰყავდათ ერთიდან მეორე უბანზე. ენდობოდნენ მას და ისიც თავგამოდებით იღწვოდა. სად აღარ იმუშავა და სად აღარ შეიტანა თავისი კაცური წვლილი: მეჯვრისხევის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, რაიკოოპკავშირის განყოფილების გამგე, გორის ვაჭრობის გაერთიანების უფროსი, ეკონომისტ-საქონელმცოდნე, ამავე ორგანიზაციის გორის ფილიალის მმართველი, ხე-ტყის ბაზის დირექტორი, ქ. გორის უნივერსიტეტის დირექტორი და ა. შ.

ყველა შრომით კოლექტივში მოიპოვა ბატონმა გრიშამ საყოველთაო აღიარება და პატივისცემა, როგორც პროფესიონალმა და გულისხმიერმა ადამიანმა. იგი ყველასადმი იჩენდა დიდ ყურადღებას, მხარში ედგა სუსტებს, გამოცდილებას უზიარებდა ახალბედა კოლეგებს და არც მეგობრებში დროს ტარებაზე ამბობდა უარს და როგორც მასზე ხშირად უთქვამთ, ვერვინ დაასწრებდა ჯიბეში ხელის ჩაყოფას საერთო პურმარილებზე. და მაინც, ყველაფერზე უფრო ძვირფასი და სალოცავი, ბატონი გრიშასათვის, იყო მისი ბრწყინვალე და კეთილშობილებით ყველასთვის მისაბაძი ოჯახი: მეუღლე, ქალბატონი ელიზაბეტა სიმონის ასული სადაღაშვილი და ორი ერთმანეთზე მშვენიერი ქალიშვილი – სვეტლანა და მარიკა. სამწუხაროდ ვაჟიშვილები არ ჰყოლია ბატონ გრიშას, მაგრამ მისმა სიძეებმა, ლანგო ნადირაძემ და მირიან დადუმელმა სრულად და ლამაზად შეავსეს ბატონი გრიშას ბიოგრაფიის ეს „სუსტი ადგილი“. გრიშამ ისინი საკუთარი შვილებივით მიიღო და სიცოცხლის ბო-

ლომდე არ აკლებდა მზრუნველობას.

ომიანობის წლებში (1941-1945) და შემდეგში, შრომით ფრონტზე გამოჩენილი თავდადებისა და ერთგულებისათვის ბატონ გრიშას მიღებული ჰქონდა მრავალი საბრძოლო თუ შრომითი ჯილდო, სიგელი და მადლობა.

მძიმე დანაკლისი განიცადა გორმა გიორგი (გრიშა) მირუაშვილის გარდაცვალებით. საზოგადოებას გამოაკლდა ღვაწლმოსილი კაცი, შრომის ვეტერანი, კაცი, რომლის ხსოვნაც სამუდამოდ დარჩება მისი შთამომავლების, კოლეგებისა და ამხანაგ-მეგობართა გულებში.

მუკნიაშვილი გიორგი



გიორგი სამსონის ძე მუკნიაშვილი დაიბადა 1915 წლის 3 მაისს. 18 წლის ასაკში სოფელ ახალსოფლიდან ჩამოსულა ქ. გორში და აქვე დამკვიდრებულა. მამა – სამსონ მუკნიაშვილი (დაბადებული 1879 წ.) ყოფილა შესანიშნავი შეფ-მზარეული; დედა – ეკატერინე (დაბადებული 1883 წ.) კი დიასახლისი.

გიორგის დაუმთავრებია პროფტექნიკური სასწავლებელი და მიუღია ზეინკლის კვალიფიკაცია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არ უღალატა თავის პროფესიას და მიაღწია კიდევ დახვედლოვნების უმაღლეს დონეს.

მეორე მსოფლიო ომამდე იგი ზეინკლად მუშაობდა

გორის საკონსერვო ქარხანაში; ომიდან დაბრუნების შემდეგ აქვე გააგრძელა მუშაობა, შემდეგ კი ბამბეულის ქსოვილების კომბინატში.

1941-45 წლებში გიორგი იბრძოდა მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე და ბრძოლებით გაიარა მთელი აღმოსავლეთ ევროპა. როგორც მამაც მებრძოლს, მიღებული აქვს ათამდე საბრძოლო მედალი და მადლობები.

1958 წელს გიორგი მუკნიაშვილს აგზავნიან ქ. მოსკოვში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, რის შემდეგაც იგი მუშაობას კვლავ აგრძელებს ბ/ქ კომბინატში, სარემონტო საამქროში.

გიორგი, როგორც მაღალკვალიფიციური ზეინკალი, სამუშაოდ გადაჰყავთ ახლადჩამოყალიბებულ ქარხანაში (ზუსტი ხელსაწყოების ქარხანაში. ქ. გორი), ხოლო შემდეგ კი, ასევე ახლადგახსნილი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის მექანიკურ საამქროში, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლომდე.

გ. მუკნიაშვილი გარდაიცვალა 1991 წლის 20 მაისს. დაკრძალულია კვერნაქის საგვარეულო სასაფლაოზე.

დარჩა შვილები: გურამი (ცნობილი საჭადრაკო მოღვაწე გორში ჭადრაკის სახლის ხელმძღვანელი, გამორჩეული აღმზრდელი ნორჩი მოჭადრაკეებისა), ქსენია, ლუიზა და ეკატერინე (წარმატებული სპორტსმენი, ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი. 1964 წ. საიტერესოა, რომ ამავე წელს, ძმა გურამი, გახდა სპორტის ოსტატობის კანდიდატი)

გიორგი მუკნიაშვილის ღირსეულ ცხოვრებას აგრძელებს მისი 8 შვილიშვილი და 11 შვილთაშვილი.

არ მოჰკლებოდეს დღეგრძელობა გიორგის შთამომავლობას!

ბატონ გიორგი მუკნიაშვილს შრომის ფრონტზეც არ შეურცხვენია თავი, დაიმსახურა მთავრობის რამდენიმე ჯილდო („შრომითი მამაცობისათვის“, „სოცშეჯიბრში გამარჯვებული“ და ა. შ.), საპატიო სიგელები, მადლობები და ფულადი პრემიები.

გიორგი მუკნიაშვილი იყო დინჯი ხასიათის, წყნარი

ხმით მოსაუბრე და ფრიად მუყაითი ადამიანი. სადაც კი იმუშავა, ყველგან მოიპოვა დიდი პატივისცემა და აღიარება, როგორც კარგმა სპეციალისტმა, გამრჯე და პატიოსანმა კაცმა. მასთან საუბარი ყველას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

გიორგის შვილი, გურამი იხსენებს: „.....ომიდან დაბრუნებულმა მამაჩემმა მოტოციკლის ძრავა ჩამოიტანა, წარწერა ჰქონდა „ბუდაპეშტი“. სარდაფში, სადღაც, ეგდო მოტოციკლის (არ მახსოვს მარკა) ძარა და მამამ მოარგო ჩამოტანილი ძრავა. დიდხანს სარგებლობდა იმ მოტოციკლით“.

საინტერესოა გიორგი მუკნიაშვილის ომისდროინდელი ერთი ეპიზოდიც: მძიმედ დაჭრილი, ერთმა უკრაინელმა ქალმა შეიფარა, გამოკვება და განკურნა. ეზოში მდებარე ფარდაღალა ფარდულს აფარებდა თავს. ერთ ღამეს სიზმარში ნახა თავისი გარდაცვლილი 18 წლის და ქსენია, რომელმაც უთხრა – იმ გერმანელს მე ავუკარი ხელი ავტომატზე და ამიტომ არ აღმოჩნდა ჭრილობა სასიკვდილო.

იმ ჭრილობას გადაურჩა ბატონი გიორგი, მაგრამ ასაკში მოძალებულ ავადმყოფობას კი ვეღარ.

დაბოლოს ისიც აღვნიშნოთ, რომ გიორგი მუკნიაშვილი კარგი მონადირე და მეთევზეც იყო.

ნადირაშვილი გიორგი


გიორგი ნადირაშვილი დაიბადა იმ დროს (1922 წლის 23 ნოემბერს და სახელიც გიორგობის რელიგიური დღესასწაულის მიხედვით შეურჩიეს), როდესაც იმდროინდელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა საყოველთაო რეფორმატორული მოძრაობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დარგების, მათ შორის განათლების სისტემის აღორძინებისა და განვითარებისათვის. ეს ის დრო იყო, როდესაც სწავლა-განათლების უპირატესი პრივილეგიებით სარგებლობდნენ გლეხობისა და მუშათა კლასის წარმომადგენელთა შვილები. გიორგი ნადირაშვილმაც ბავშვობიდანვე შეიყვარა წიგნი და სიცოცხლის უკანასკნელ

წუთებამდე არ გაუშვია ხელიდან. პატარა გიორგისთვის მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა მისი მამა, ბატონი ვასილ ესტატეს ძე, რომელიც იმ დროისთვის ფრიად განსწავლული და განათლებული კაცი ყოფილა და შვილებსაც მოუწოდებდა სწავლისაკენ.

გიორგი ნადირაშვილი დაიბადა კასპის რაიონის სოფ. გომიჯვარში, გლეხის ოჯახში. მისი მამა, ვასილი სულ ახალგაზრდა წაუყვანიათ პირველ მსოფლიო ომში. დაჭრილი, სხვა თანამებრძოლებთან ერთად, გერმანელებს ჩაუგდიათ ტყვედ და რამდენიმე წელიწადი დარჩენილა გერმანიაში. ბატონი ვასილი ხშირად იხსენებდა გერმანიაში ყოფნის წლებს და კიდევ იმას, რომ მასთან ერთად ყოფილა მომავალში უძლიერესი მოჭიდავე სანდრო კანდელაკი, რომელიც, თურმე, თავისი არნახული ფიზიკური მონაცემების წყალობით, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოქცეულა; მის სანახავად გერმანიის სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოდიოდნენო.

ბატონ ვასილს ზედმიწევნით კარგად შეუსწავლია გერმანული ენა, რაც კარგად გამოადგა, როცა სამშობლოში დაბრუნებულმა თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. გერმანელ ინჟინერ-სპეციალისტებთან ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის („ზაჰესი“) მშენებლობაზე.

გიორგი ნადირაშვილის დედა, ქალბატონი მარიამ მიხეილის ასული ხიზანიშვილი გახლდათ სტუმართმოყვარე, თბილი და ტკბილადმოსაუბრე დიასახლისი, სოფელში გამორჩეული მეზობლური კეთლმოსურნეობით და ოჯახის ერთგულებით.



ვასილისა და მარიამის ოჯახში გაიზარდა სამი ვაჟი – გიორგი, სერგო და დავითი. ეს უკანასკნელი უგზო-უკვლოდ დაიკარგა მეორე მსოფლიო ომში. ამავე ომის ფრონტებზე იბრძოდა გიორგი ნადირაშვილიც, რომელიც საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს. მანამდე კი იყო საშუალო სკოლა, თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი და სწავლა და კიდევ სწავლა. წიგნები და კიდევ წიგნები...

ომგამოვლილმა გიორგი ნადირაშვილმა 1946 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებშიც გამოირჩეოდა ბატონი გიორგი სწავლისადმი სწრაფვით და მისთვის დამახასიათებელი სიბეჯითით. ჯერ კიდევ ახალგაზრდას განსაკუთრებით აინტერესებდა არჩეული პროფესიის (იურისპრუდენცია) სფეროში მიმდინარე პროცესები, ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დამკვიდრების აუცილებლობიდან გამომდინარე საკანონმდებლო პერიპეტეიები და ამიტომ იყო, რომ საუნივერსიტეტო პროგრამების გარდა, იგი ინტენსიურად სწავლობდა სხვადასხვა სპეციალურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს და ცნობილ იურისტთა სამეცნიერო ნაშრომებს. დაულაღაჟმა შრომამ და განათლებისაკენ დაუოკებელმა სწრაფვამ თავისი შედეგი გამოიღო – უნივერსიტეტის დამთავრებისას (1950 წ.) იგი უკვე ითვლებოდა მაღალ დონეზე მომზადებულ იურისტად.

ბატონმა გიორგიმ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რაიონში (მცხეთა, ახმეტა, ვანი და სხვ.) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმუშავა გამომძიებლად, ადვოკატად, პროკურორად და ა. შ.

ყველა პროფესია მნიშვნელოვანია და ყველა პროფესია ძნელია, მაგრამ, ალბათ იურისტობა არის ერთ-ერთი უძნელესი და ურთულესი საქმიანობა, მითუმეტეს თუ თანამდებობრივად გეკისრება ადამიანების ბედის გადაწყვეტა. იყო სამართლიანი და იმავდროულად ჰუმანური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ეს არც თუ ადვილია.

თუ იმასაც გავეითვალისწინებთ რომ მოსახლეობის უმრავლესობა ნაკლებად კანონმორჩილია და კიდევ იმას, რომ საქართველოში, კერძოდ გორში, ყველა ერთმანეთის ნათესავი და ყველა ერთმანეთის ნაცნობია.

ბატონი გიორგი თითქმის ორმოცი წელი მუხლმოუდრეკლად იდგა მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმიანობის მოწინავე პოზიციებზე და თავისი განსწავლულობით და გამოცდილებით ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს მის წინაშე არსებულ პრობლემებს.

სიცოცხლის ბოლო პერიოდში ბატონმა გიორგიმ ჩამოაყალიბა კერძო ადვოკატურა და პარალელურად, როგორც იურისკონსულტი, მუშაობდა შავშვების ყოფილ საბჭოთა მეურნეობაში, უსინათლთა და ყრუთა სასწავლო საწარმოო წამოწყებებში.

გიორგი ნადირაშვილი გამოირჩეოდა დინჯი და საქმიანი საუბრით. ყოველთვის მზად იყო დახმარებოდა სხვას სიტყვით თუ საქმით, ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა, როგორც სახლში ისე სამსახურში. უყვარდა საღამოობით ეზოში ახალგაზრდებთან ჩამოჯდომა და საუბარი. არც მათთან „ერთი ჭიქის“ დაღვევაზე ამბობდა უარს და ვერც ჯიბეში ხელის ჩაყოფას დაასწრებდა ვინმე. იყო პრინციპული და მომთხონი. გამოირჩეოდა გარეგნული მოხდენილობით, დახვეწილი მანერებით და შედარებით სიტყვაძუნწობით.

გიორგი ნადირაშვილს მთელი სიცოცხლის მანძილზე გვერდში ედგა და ოჯახის ტვირთს იზიარებდა ქალბატონი ნაზი ვალერიანის ასული ბოლქვაძე, რომელმაც სამი ერთმანეთზე უკეთესი შვილი გაზარდა და დააკვალიანა. დათო ინჟინერ-ტექნოლოგია, სამი შვილის მამა; მანანა – არქიტექტორი, ორი შვილის დედა და ნინო (ნანა) – პედაგოგი, ორი შვილის დედა. საყვარელმა შვილებმა თავის მხრივ, შვიდი შვილი და სამი შვილიშვილი შესძინეს სრულიად საქართველოს.

სამწუხაროდ ბატონი გიორგი ყველა მათგანს ვერ

შეესწრო. იგი გარდაიცვალა 1995 წლის 30 დეკემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. მისი საყვარელი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები ელაგა სასთუმალთან და მის გარშემო.

ვიორჯი ნადირაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე აღიკვეცა მონაზვნად და ამჟამად მოღვაწეობს სოფელ ხცისის დედათა მონასტერში სქიმმონაზონ სალომეს სახელით.

ნადირაძე ლანგო (ლეჰანი)



1976 წლის ივნისის თვეში ქ. გორის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო-საინჟინრო კოლექტივს შეემატა ახალგაზრდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ლანგო ნადირაძე, რომელმაც თავისი განათლებით, ენერგიულობით და მათემატიკოსებისათვის დამახასიათებელი მკაცრი ლოგიკური მსჯელობით მალე მიიპყრო ხელმძღვანელთა ყურადღება.



ლანგოსთვის დამახასიათებელი იყო სიახლეებისაკენ სწრაფვა, პრობლემათა გადაჭრის თანამედროვე მეთოდების ძიება, იუმორით შეჯერებული საუბარი და ნაკისრ ვადებულებათა დროული და ხარისხიანი შესრულება. ყველა ამ თვისებათა ერთობლიობამ და მისმა ამოუწურავმა ახალგაზრდულმა ენ-

ერგიამ თავისი გაიტანა და სულ მოკლე ხანში იგი დაინიშნა ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების გამგედ. ლანგოს ცხოვრებაში დაიწყო ახალი, მეცნიერული ეტაპი. ეს ის დრო იყო, როდესაც ფართოდ გაიშალა სახალხო მეურ-

ნეობის სხვადასხვა დარგებში გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის ახალი ტექნიკური საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებისა და დანერგვის კომპანია. ამ სფეროში კი ლანგო ისე გრძნობდა თავს, როგორც „თე- ვზი წყალში“.

ეს ყველაფერი მოხდა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს. მანამდე კი იყო ლანგოს ჩვეულებრივი, მაგრამ მაინც რაღაცით გამორჩეული ბავშობისა და სიჭაბუკის საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრების წლები: ქ. გორის რკინიგზის №11 საშუალო სკოლა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (მათემატიკური გამოთვლითი მანქანები და მოწყობილობები) და ბაუმანის სახელობის მოსკოვის ტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა.

ყველგან, სადაც კი ისწავლა, გამოირჩეოდა ნიჭით, ერუდიციით, სხარტი გონებით და პრობლემებში ღრმად-ჩაწვდომის უნარით. ყოველდღიურ ცხოვრებაში მას იცნობდნენ და აფასებდნენ, როგორც ამაყს და ენამოსწრებულს, პირდაპირმოქმელს და სამართლიანს. ლანგოს სკოლის პედაგოგ-აღმზრდელი ქალბატონი ელო ჩოჩიშვილი აღნიშნავდა: ასეთი გონიერებისა და ნიჭის ადამიანები იშვიათად იბადებიანო.

სწორედ ე. ჩოჩიშვილმა დაულოცა ლანგოს მეცნიერების გზა და მოსწავლემაც სრულად გაამართლა პედაგოგების იმედი და ნდობა.

კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში მოღვაწეობის პერიოდში ლანგო ნადირაძემ თავისი ღრმა თეორიული ცოდნა, სხვადასხვა სამეურნეო სფეროში პრაქტიკული მოღვაწეობით გაამყარა და გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იგი უკვე გვევლინება მაღალი რანგის ინჟინერ-მეცნიერად.

ლანგო ნადირაძის სამეცნიერო და საინჟინრო ნაყოფიერმა მუშაობამ ასახვა ჰპოვა ორმოცამდე სამეცნიერო ნაშრომსა და თხუთმეტამდე გამოგონებაში, რომელთა პრაქტიკულმა დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური

ეფექტი მოუტანა სახალხო მეურნეობას.

ლანგო ნადირაძე ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. მისი ლექციები, როგორც საქართველოს პოლიტიკური, ისე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში გამოირჩეოდა სიახლეების სიუხვით, პროგრამების თვითმყოფადი ინტერპრეტაციითა და მკაცრი ლოგიკური თანამიმდევრულობით. თითქმის ყველა ლექციას ამთავრებდა იუმორისტული შეფერილობის მატარებელი სიტყვებით, რაც სტუდენტთა საყოველთაო აღტაცებასა და დაინტერესებას იწვევდა. იგი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც სტუდენტებს ასწავლიდა ინფორმატიკის საფუძვლებს და კომპიუტერულ ტექნიკას. ლანგო ნადირაძემ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაშიც და თბილისის აგრომატიზაციის საშუალებათა კვლევით ინსტიტუტში მოასწრო მუშაობა, სადაც თავისი კვალი დაამჩნია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის საქმეს, რისთვისაც არაერთხელ დაიმსახურა ხელმძღვანელთა მადლობა.

ლანგო (ლევან) აპოლონის ძე ნადირაძე დაიბადა 1940 წლის 29 მარტს ქ. გორში. მიუხედავად ომიანობის მძიმე წლებისა, ლანგოს დედამ, ქალბატონმა ქეთევან ალავიძემ ყველა ძალა იხმარა, რათა შვილებისათვის ესწავლებინა და სწორ სამომავლო გზაზე დაეყენებინა. მშობლის მუხლმოდრეკეულმა გარჯამ და მონდომებამ თავისი შედეგი გამოიღო. ლანგო ნადირაძე გახლდათ საზოგადოების ინტელექტუალური ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენელი: მეცნიერი, პრაქტიკოსი, ინჟინერი, პედაგოგი, გამომგონებელი და მისაბადი შვილი, მამა, ბაბუა და მეუღლე. აი, ასეთი გახლდათ მუდამ ჭაბუკური შემართებითა და ჯანსაღი იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ლანგო ნადირაძე, რომელსაც ჰქონდა ასევე ორი საყვარელი გატაცება: ლექსების წერა და თევზაობა. მისი სიტყვებია:

„...კლიკის ჯვართან ანკარა წყლის საოცარი ქარგებია, დილის მაცნე გარიჟრაჟი ოქროპირის საქებია...“

სამწუხაროდ, ლანგო ნადირაძის შინაარსიანი ცხოვრების საოცარი ქარგები ნაადრევად დაინისლა და

გარიჟრაჟი უდროოდ გაუფერულდა და ჩაიფერფლა.

გორის საზოგადოებამ გულწრფელი ცრემლით დაიტორა ღირსეული კაცი, შესანიშნავი მოქალაქე, ამხანაგი და მეგობარი-კაცი, სიმართლის მოქმელი და სიკეთის მოყვარული. ფრთა მოსტყდა ლანგო ნადირაძის ცხოვრების მანათობელ და უერთგულეს თანამგზავრს, ქალბატონ მარიკა მირუაშვილს, დაობლდნენ შვილები, პაპა მოინაკლისეს შვილიშვილებმა...

არასოდეს დაიბინდება ლანგო ნადირაძის ხსოვნა.

ნუცუბიძე გურამი



გურამ ნუცუბიძე ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელსაც ბავშვობის სანუკვარმა წლებმა მოუწია მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, როდესაც ხალხს უკიდურესი გაჭირვების პერიოდში (პური ბარათებით, უშუქობა, სიცივე, უწიგნობა და ა. შ.) უწევდა ცხოვრება, როდესაც ორივე ფრონტზე (ბრძოლის ველზეც და სამოქალაქო მოღვაწეობის სფეროში) მიმდინარეობდა თავგანწირული ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისათვის. და მაინც, მიუხედავად ასეთი სიძნელეებისა, მშობლებისა და ბავშვების ცნობიერებაში დომინირებდა (და სავსებით სამართლიანად) შეხედულება, რომ უკეთესი მომავლის აშენებისათვის, კეთილდღეობისათვის, აუცილებელია სწავლა და კიდევ სწავლა. გურამიც სწავლობდა თავის თანატოლებთან ერ-

თად, სწავლობდა და ოცნებობდა უკეთეს მომავალზე. გარდა სახელმწიფოებრივი იდეოლოგიური შეფერილობისა, პატარა გურამისათვის მნიშვნელოვან ბიძგს, განათლებისაკენ, წარმოადგენდა გენეტიკური მოთხოვნილება და ოჯახური ტრადიცია. ტრადიცია იმ ოჯახისა, სადაც დაიბადა (1939 წლის 30 ივნისი) და გაიზარდა გურამი. ტრადიციის ფუძემდებლები კი გახლდნენ: მამა, ბატონი სერგო ნიკოლოზის ძე ნუცუბიძე (უგანათლებულესი პიროვნება, ქიმიკოსი, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყო სკოლის დირექტორი) და დედა, ქალბატონი ნადეჟდა ვალერიანის ასული ხვიჩია (უმშვენიერესი მანდილოსანი, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი).

გურამ ნუცუბიძემ დაამთავრა გორის №11 საშუალო სკოლა ვერცხლის მედლით და შემდეგ კი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტი სპეციალობით „კვების მრეწველობის მანქანები და აპარატები“. ათი წლის პრაქტიკული მოღვაწეობის შემდეგ, ბატონმა გურამიმ, ცხოვრებაში მიმდინარე რადიკალური პროცესებიდან გამომდინარე და შესაბამის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, დაამთავრა კიდევ ერთი უმაღლესი სასწავლებელი სპეციალობით „დაკონსერვების ტექნოლოგია.“ 35 წელიწადის განმავლობაში იღწვოდა ბატონი გურამი შრომის სარბიელზე და იღწვოდა სამართლიანად, ენერგიულად, მაღალი ინტელექტუალური მუხტით და ნაყოფიერად. იმ წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების მოკლე ჩამონათვალი, სადაც იმუშავა ბატონმა გურამიმ, ასეთია: ქ. თბილისის №66 საფოსტო ყუთი (ინჟინერ-კონსტრუქტორი), ქ. გორის ლუდ-ლიმონათის ქარხანა (წარმოების უფროსი), ქ. გორის ცეკავშირის სასურსათო კომბინატი (მთავარი ინჟინერი, შემდეგ დირექტორი), გორის „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანება (ინჟინერი ხარისხის დარგში), ქ. გორის საკონსერვო გაერთიანება (ინჟინერი, საამქროს უფროსი), ქ. თბილისის საპროექტო საკვლევი ინსტიტუტი (წამყვანი ინჟინ-

ერ-კონსტრუქტორი), გორის „საქაგროპრომის“ ტექნიკური ზედამხედველი და ა. შ.

ბატონ გურამ ნუცუბიძეს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა საიუბილეო მედლები, გარდამავალი პრიზები, საპატიო სიგელები, ფულადი პრემიები და ა. შ.

ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ბატონი გურამი იყო წყნარი, კულტურული და მორიდებული ხასიათის კაცი. ხმამაღალ, მითუმეტეს არაეთიკურ სიტყვებს ძნელად თუ მოისმენდა ვინმე მისგან. სჩვეოდა ღიმილშერეული კითხვა-პასუხი. ახასიათებდა ყველაფრის დეტალური ცოდნა და როგორც განათლებულ კაცს შეეფერება, არ უყვარდა თავის გამოჩენა, წინა პლანზე წამოწევა.

ბატონ გურამს, ისევე როგორც თითქმის ყველა ადამიანს, ჰყავდა „თავისი“ სამშო-სამეგობრო, რომელთაგან ზოგი ბავშვობიდანვე თანამგზავრობდა მას, ზოგიც ცხოვრების გზებზე შეიძინა და შეიყვარა. ერთი კია აღსანიშნავი, რომ „მისი“ სამშო წარმოადგენდა მაღალი სინჯის პროფესიონალთა, ინტელექტუალების, მეცნიერთა, პედაგოგთა და ინჟინერთა ბრწყინვალე კოჰორტას, რომლითაც სამართლიანად ამაცობდა და დღესაც ამაცობს ქ. გორი.

მოვუსმინოთ, რას წერენ და იგონებენ ბატონ გურამის შესახებ მეგობრები.

ვაჟა კვალიაშვილი (მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): „...იგი წარჩინებული მოსწავლე იყო, ამავე დროს ცელქი და მოუსვენარი. უყვარდა ბურთის თამაში, პოეზია და ზოგადად ლიტერატურა. იყო კეთილი და ამხანაგების პატივისმცემელი. გურამი კარგი მოსაუბრე, გულდია და იუმორით სავსე კაცი იყო. ადვილად შედიოდა კონტაქტში უცნობთანაც კი. იყო გორის პატრიოტი და გორელების დამცველი. გურამიმ შექმნა თბილი და სახელოვანი ოჯახი. დიდ პატივსა სცემდა მეუღლესა და შვილებს, აფასებდა და ამაცობდა“.

ვალტერ შავშიშვილი (ღვაწლმოსილი ინჟინერი): „...“

გურამი, გორის ტექნიკური ინტელიგენციის ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. მისი მთელი ცხოვრება მაგალითი იყო შრომითი დისციპლინის, ოჯახური სიამტკბილობის, მეგობრისათვის თავდადებისა... იგი ბავშვობიდანვე ეზიარა პატიოსნებას, სიმართლეს, უანგარობას, რასაც უნერგავდა მამა, ბატონი სერგო, გამოცდილი პედაგოგი. გურამი იყო უაღრესად კეთილი პიროვნება“.

ამირან ბიძინაშვილი (პარტიულ-სამეურნეო მოღვაწე, ინჟინერი): „...ჩემთვის გვარი ნუცუბიძე ყოველთვის იყო ასოცირებული ქართველი მეცნიერის, შალვა ნუცუბიძის პიროვნებასან და რაოდენ ბედნიერად ვთვლიდი თავს, როცა ამ გვარის დიდებულ წარმომადგენელთან დამამეგობრა ბედმა და ცხოვრებამ. გურამი უღალატო მეგობარი იყო, იმავდროულად საოცრად მიმნდობი და გულუბრყვილო. კარგად თამაშობდა ჭადრაკს და დონით, ვფიქრობ, არ ჩამორჩებოდა ოსტატს. ხშირად ვყოფილვართ ერთად მოგზაურობაში თუ დასასვენებელ სახლში და სანატორიუმში. სწორედ ასეთ პირობებში ეცნობიან, ზედმიწევნით კარგად ადამიანები ერთმანეთს. სწორად იმ წლებში აღმოვაჩინე და გავითავისე გურამის კეთილშობილური, ადამიანური ღირსებები და ჩვევა-წესები, რითაც ასე მდიდარი იყო მისი პიროვნება. თუმცა ერთხელ მომიწია იგი „დამესაჯა“ მეგობრულად: „პატარა ჭიქით რომ სვამ ამ ძვირფას სადღეგრძელოს, თამადას არ ეკადრებაო,“ მითხრა ხმამაღლა ერთ-ერთ სუფრაზე. ვიცოდი რა, რომ გურამი ცოტას სვამდა, საერთოდ, შევსვი ე. წ. „ორჯამიანი“ და ალავერდს მასთან გადავედი. იძულებული გახდა დაეღლია. ამის შემდეგ ჩაეძინა და ქეიფის დამთავრებამდე აღარ გაღვიძებია. შემინდოს გურამის ნათელმა სულმა ასეთი გახუმრება“.

ავთანდილ კოვალენკო (ინჟინერი): „...ბავშვობაში, ე. წ. „ვაგზლის უბნელები“, მათ შორის გურამიც, ხშირად დავდიოდით მტკვარზე საბანაოდ. გვიყვარდა ასევე სანადიროდ წასვლა და კინოფილმების ნახვა. თეატრში კი ვესწრე-

ბოდით „ნაცარქექიას“ და „კომბლეს“ წარმოდგენებს. გურამი კარგად ცურავდა, მაგრამ მაინც ვერ იდებოდა ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გაცურვას. კარგად მახსოვს ის დღე, როცა გურამის გაგაბედინეთ და ერთად გადავცურეთ მტკვარი მთელ სიგანეზე, ახლანდელი ახალი ხიდის ახლოს. ეს მაშინ დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა. გურამს ძალიან უყვარდა მეგობრები და ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა მათთვის. მახსოვს როგორ ჩამოიყვანა გორში ოპერის სოლისტი რეზო კაკაბაძე, რათა მოესმინა ჩვენი მეგობარი-მომღერლის, ანზორ ქონღაძისათვის და დაეკვლიანებინა სამომავლოდ.

გურამს, სტუდენტობის დროს, შესვენებებზე უყვარდა ხოლმე უცხოური სიმღერების დაბალ ხმაზე წადილინება. განსაკუთრებით მოსწონდა იტალიური „სანტა ლუჩია“.

1996 წლის 22 თებერვალს გორმა დაკარგა ტექნიკური ინტელიგენციის კიდევ ერთი გამობრძმედილი წარმომადგენელი. მუდმივი სასუფეველისკენ მიმავალ გზაზე ცრემლითა და ყვავილებით გააცილეს გორელებმა სათნოებით სავსე პიროვნება, კაცი, რომელმაც სამართლიანად დაიმსახურა საზოგადოების პატივისცემა და აღიარება.

ოქროპირიძე ოთარ



საქართველოს დიდი მღვდელმთავრების, ალექსანდრე (წმინდანად შერაცხული, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი) და ლეონიდე (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ოქროპირიძეების გვარის გამგრძელებელი ოთარ ივანეს ძე ოქროპირიძე დაიბადა ცხინვალის რაიონის სოფელ დისევში 1924 წლის 1 ივლისს. დაწყებითი განათლება მიიღო ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ სოფელ დისევში დაარსებულ სკოლაში, შემდეგ კი სოფელ მერეთის სა-

შუალო სკოლაში.

ოთარის მამა, ივანე, აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, მისი ინიციატივით და დიდი გარჯით ჩამოყალიბდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. ბატონ ოთარის დედა, ქალბატონი მარიამი გახლდათ ჯავახიშვილთა დიდებული გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი. ივანე ოქროპირიძის ოჯახში იზრდებოდა ორი ქალიშვილი (ნადია – არქეოლოგი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი და ანა – საფეიქრო მრეწველობის ინჟინერი) და ვაჟიშვილი გიორგი (ფილოლოგი, დაიღუპა ფინეთის ომში). ოთარიც გაიწვიეს ჯარში და იბრძოდა გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. ომიდან დაბრუნდა რამდენიმე საბრძოლო მედლით და სარდალთა მადლობებით. დაჯილდეობულია ასევე შრომის წითელი დროშის ორდენით.

როგორც, თითქმის ყველა ომგამოვლილმა, ბატონმა ოთარიმაც დაიწყო თავისი სამშვიდობო-ადამიანობითი საქმიანობა და თან პარალელურად აგრძელებდა სწავლასაც.

დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო მეტყვევებ-ინჟინრის სპეციალობა. ეს არ იკმარა და მალე დაამთავრა ასევე სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუნების დაცვის ფაკულტეტი.

საინტერესო შრომითი ბიოგრაფია აქვს ბატონ ოთარ ოქროპირიძეს. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ცხინვალის სატყეო მეურნეობის მეტყვევებ-ინჟინრად, სოფ. დისევის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ (ამ პერიოდში მისი თაოსნობით მოწესრიგდა სოფლის წყლით მომარაგების, ელექტროენერჯისა და რადიოს ხაზების გაყვანის მტკივნეული პრობლემები. აშენდა ასევე ადმინისტრაციული და რვაწლიანი სკოლის შენობები), გორის საცდელ-საჩვენებელ სატყეო მეურნეობაში ტყის კულტურების ინჟინრად (გააშენა ათობით ჰექტარი ტყის მასივი), შიდა ქართლის კომპლექსური ლაბორატორიის უფროსად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შიდა ქარ-

თლის რეგიონული სამმართველოს მთავარ სპეციალისტად, სპეციალობის მიხედვით მრჩეველ-კონსულტანტად და ა.შ.

ბატონი ოთარი იყო საქართველოს მწვანეთა პარტიის აქტიური წევრი და გორის განყოფილების ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ოთარიმ კარგად იცოდა, რომ ნადირობა სულაც არ ნიშნავდა ცხოველთა და ფრინველთა განადგურებას. სწორად წარმართული და დაკანონებულ ჩარჩოებში მოქცეული ნადირობა ბუნების დაცვას ემსახურებოდა და აკი ამიტომაც ჰქონდა მას მიღებული საქართველოს საპატიო მონადირის წოდება და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მადლობა.

მას თავდავიწყებამდე უყვარდა მშობლიური მიწის ფლორა და ფაუნა. ოთარ ოქროპირიძე სიმართლისა და სამართლიანობის მოყვარული კაცი გახლდათ, რაც არაერთხელ დაამტკიცა სასამართლოში მსაჯულად მუშაობის დროს.

ღვაწლმოსილ სამეურნეო მუშაკს არც პუბლიცისტური მოღვაწეობა დარჩენია ყურადღების მიღმა. სისტემატურად აქვეყნებდა საინტერესო წერილებს, როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის „საქართველოს ბუნებაში“.

ბატონი ოთარ ოქროპირიძე უსახდვროდ იყო შეყვარებული თავის ლამაზ ოჯახზე (მეუღლე, ქალბატონი ქეთევან ქორქაძე – გორის ვეტლაბორატორიის ღვაწლმოსილი ექიმი, ქალიშვილები, მარინე – არქიტექტორი და იურისტი; ღია – ხელოვნებათმცოდნე, გორის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება „მანდილოსნის“ პრეზიდენტი). სამწუხაროა, რომ ბატონი ოთარის მზრუნველი ხელი მოაკლდა მის ოჯახს და კერძოდ კი მისთვის სათაყვანებელ ოთხ შვილიშვილს (ნათია და ნიკო სულხანიშვილები, გენო და რუსუდანი ბექაურები.) ბატონი ოთარი გარდაიცვალა 2006 წლის 12 დეკემბერს.

რობაქიძე ჯემალი



ჯემალ რობაქიძეს იცნობდა ქ. გორისა და გორის რაიონის, ასევე ადიგენისა და ბორჯომის რაიონების მოსახლეობის დიდი ნაწილი. ვინ მოსთვლის რამდენი ადამიანი დაუტკბია თავისი სიმღერით და მუსიკალური ტალანტით, რამდენი დარბაზი აუხმაურებია კლასიკური ჭიდაობის მისთვის დამახასიათებელი ილეთებით, რამდენი მძიმესენშეყრილი ავადმყოფისათვის მიუცია შვება და განუკურნავს (იგი იყო თ. თავაძის ცნობილი სკოლის წარმომადგენელი და „აგნი-იოგას“, იგივე „ოქროს საწმისის“ მეთოდით ემსახურებოდა ადამიანთა ჯანმრთელობის საქმეს) და რამდენისთვის განუმტკიცებია უკეთესი მომავლის იმედი თავისი გარჯით, ზრუნვით და კეთილი სიტყვით. ჯემალ რობაქიძე გახლდათ კაცი მუსიკოსი, სპორტსმენი, მკურნალი და ორგანიზატორი, საუკეთესო მეგობარი, მეოჯახე, მამა და პაპა.

ჯემალ რობაქიძე დაიბადა 1946 წლის 25 ივლისს ადიგენის რაიონის სოფელ არალში, პედაგოგების ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა (1964 წ.) ქართული ხალხური საკრავების ანსაბლის დირიჟორის კვალიფიკაციით (კარგად უკრავდა ხალხურ საკრავებზე და გიტარაზე).

სწავლასმოწყურებული ახალგაზრდა არ დასჯერდა მიღწეულს და დაამთავრა ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი და აქვე იმუშავა კათედრის ლაბორანტად 1974 წლამდე. პარალელურად სწავლისა და მუშაობისა ჯემალ რობაქიძე, როგორც აქტიური და ჯანდონით მდიდარი ახალგაზრდა, მისდევდა კლასიკურ ჭიდაობას (1965 წელს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. იყო ახალგაზრდებში, ყოფილი საბჭოთა კავშირის, ჩემპიონი და მოზრდილებში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი).

ცხოვრებამ ბევრი პრობლემის წინაშე დააყენა ბატონი ჯემალი და ისიც ცდილობდა მიჰყოლოდა საზოგადოების გულისცემის რიტმს. დასჭირდა ინტელექტუალური ცოდნის ამადლება და კიდევ ერთხელ გახდა ბატონი ჯემალი სტუდენტი, ამჯერად ისწავლა ოდესის ეკონომიკური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში და მიიღო საბუღალტრო-საფინანსო საქმიანობის სპეციალისტის კვალიფიკაცია.

განუწყვეტლად ძიებაში მყოფმა ჯემალ რობაქიძემ სხვადასხვა წლებში იმუშავა: ქ. გორში (პირველი საშუალო სკოლის მუსიკალური სტუდიის გამგედ, კულტურის სახლის დირექტორად, ბამბეულის ქსოვილების კულტსახლის დირექტორად, სამკურნალო ფირმა „ჯეროვანის“ ხელმძღვანელად და მკურნალად, შემოქმედებითი სახლის დირექტორ-განმკარგულებლად), ქ. ბორჯომში (კულტურის სახლის დირექტორად, ტურიზმის ასოციაცია „საქართველოს“ დირექტორის მოადგილედ) და ადიგენის რაიონულ ცენტრში (განათლების განყოფილების მეთოდისტად, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად, „საზკვების“ დირექტორად და სოფელ არალის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად) და სხვა.

ბატონი ჯემალი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ადამიანური სითბოთი და სიკეთის კეთების სურვილით.

იყო საოცრად თავმდაბალი და მოკრძალებული; სახეზე მუდამ დასთამაშებდა საამო ღიმილი. იგი იყო ყველა ოჯახისათვის სასურველი სტუმარი და დახვეწილი გემოვნების მასპინძელი.

გასაკვირი არ არის, რომ მაღალი მუსიკალური გემოვნების პატრონმა ჯემალ რობაქიძემ ოჯახიც მუსიკალური შექმნა. 1983 წელს ბატონმა ჯემალმა ჩამოაყალიბა „რობაქიძეების“ საოჯახო მუსიკალური ანსამბლი, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სხვადასხვა კონკურსებზე თუ ფესტივალებზე.

1984-1985 წლებში რობაქიძეების ოჯახურმა ანსამბლმა მთავარი პრიზები მოიპოვა „სულიკობა“-ს საერთაშორისო ფესტივალზე. 1983 წელს დაიმსახურა მეორე რესპუბლიკური კონკურსის პირველი პრემია; 1991 წელს კი საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემია.

რობაქიძეების საოჯახო ანსამბლმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ-ხალხური მუსიკალური კულტურის შემდგომი აღორძინებისა და ფართოდ დამკვიდრების საქმეში.

აი, ასეთი გახლავთ ბატონ ჯემალის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა, არასრული წარმოჩინებით.

ადამიანებს ხშირად გვჩვენია გამოთქმა: „ასეთი კაცი არ უნდა კვდებოდეს“-ო. სულ რაღაც 60 წელი იცოცხლა კეთილშობილმა კაცმა და მიგვატოვა მაშინ, როდესაც ყველაზე უფრო მეტად სჭირდებოდა მის ოჯახს, მეგობარ-ნათესაებს, მეზობლებს და მის საყვარელ პროფესიულ საქმიანობას.

მიგვატოვა 2006 წლის 9 დეკემბერს და სანუგეშოდ დაგვიტოვა ულამაზესი ოჯახი: მეუღლე, ქალბატონი გიული (ამჟამად გორის შემოქმედებითი სახლის ორგანიზატორი), შვილები – ზაზა, ნინო, თეა და ოთხი შვილიშვილი (მარიამი, ანა, თეა, სოფიკო). ჯემალ რობაქიძე განისვენებს ქ. გორში, კვერნაქის სასაფლაოზე. მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის გორის მიწა.

სამადალაშვილი ავთო

ცხოვრება, იგავ-არაკივით, შინაარსით იზომება და არა სივრდით (სენეკა)

წლებმა განვლო ავთო სამადალაშვილის გარდაცვალებიდან... ცოცხალი, რომ ყოფილიყო ალბათ ისევ ისეთი – სულით ახალგაზრდა, ხალისიანი, მომღიმარი, ხუმრობის მოყვარული, ყველას მიმართ გულთბილი და მოკრძალებული იქნებოდა.

კოლორიტული პიროვნება გახლდათ ბატონი ავთანდილი – გამორჩეული, სიკეთით სავსე, გულისხმიერი, მოსიყვარულე. ექიმის პროფესია სპეციფიურია – მისი ხელი სჭირდება ყველას – დიდსაც და პატარასაც, განათლებულსაც და გაუნათლებელსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც. ძნელია კაცმა მოახერხოს ამ განსხვავებულ ადამიანებთან ისე ისაუბროს, ისეთი დამოკიდებულება გამოავლინოს, რომ მათ არ იგრძნონ ეს განსხვავება. ავთანდილი ამას ახერხებდა. მას ჰქონდა უნარი ისინი ერთ სიმაღლეზე დაეყენებინა, ჩვეულებრივი პაციენტის სიმაღლეზე.

პიროვნების წარმოსაჩენად, ჩვეულებრივ, მის ბიოგრაფიულ მონაცემებს მოიშველიებენ ხოლმე. ჩვენც გვინდა მკითხველს მივაწოდოთ რამდენიმე ცნობა.

ავთანდილ სამადალაშვილი დაიბადა 1930 წელს ქ. გორში. დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ყაბარლო-



ბალყარეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო საავადმყოფოს მთავარ ექიმად. 1957 წელს იგი გორში დაბრუნდა. ერთხანს ქალაქის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობდა, 1969-72 წლებში კი ქალაქის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგედ დაინიშნა 1972-78 წლებში ავთანდილ სამადალაშვილი ამავე საავადმყოფოს მთავარი ექიმია. 1979 წელს მისი თაოსნობით გორში ჩამოყალიბდა კარდიოლოგიური სამსახური, რომლის ხელმძღვანელადაც იგი მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. მინიჭებული ჰქონდა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იყო პირველი კატეგორიის თერაპევტი...

ბატონი ავთანდილი თავისი პროფესიით, უპირველესყოვლისა, ადამიანის გულთან იყო დაკავშირებული, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. მან შესანიშნავად იცოდა ფასი კაცის გულისა, როგორც ფიზიოლოგიური ორგანოსი და გულისა, როგორც პიროვნების ბუნების, ხასიათის გამომხატველისა. ამიტომ ცხოვრობდა თავად დიდი და მართალი გულით და ყოველთვის ცდილობდა, გული არავისთვის ეტკინა, გულნაკლული არავინ გაეშვა, უგულოდ არავის შეხვედროდა, სხვისი ჭირი გულთან მიეტანა, გულთბილი ყოფილიყო და გაჭირვებულისათვის გული მიეცა, ანუ დაეიმედებინა.

გულის მიცემა ვასხენეთ. ყველა ექიმი თავისებურად უდგება ავადმყოფს. ერთნი მალე განკურნების დიდ იმედს არ აძლევენ და განკურნების შემდეგ დიდ მადლობას იმსახურებენ; მეორენი მრავალი პრეპარატის დანიშნასთან ერთად, მრავალ რჩევას აძლევენ და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ჰპირდებიან დასკვნის გაკეთებას და ა.შ. ბატონი ავთანდილი ამ მხრივ უფრო „ძუნწი“ იყო. სამაგიეროდ, ისე დაამედებდა ავადმყოფს, ისე უბრალოდ, გულწრფელად გაუმაგრებდა გულს, თითქოს უპირველესი წამალი ეს სიტყვები ყოფილიყო. ავადმყოფი ხშირად სწორედ ამ

გულის მიცემით განიკურნებოდა ხოლმე. ეს ყველას როდი შეუძლია. მას ჰქონდა ამის უნარი, მისი სიტყვის სჯეროდათ, სწამდათ, ენდობოდნენ.

ცხოვრებაში სადა და უბრალო იყო. ასეთივე იყო სამსახურშიც. თანამშრომლებთან ყოველთვის „რბილი“ დამოკიდებულება ჰქონდა, იშვიათად გაფიცხდებოდა, ისიც მაშინ, როცა საქმე ავადმყოფისადმი გამოვლენილ უყურადღებობას ეხებოდა. ბევრი მეგობარი ჰყავდა და ყოველთვის მათკენ მიუწევდა გული. სიხარულს ჰგვრიდა მათთან ერთად სუფრასთან ყოფნა, თუმცა მისი მიტოვებაც ხშირად უწევდა ისევე, როგორც შუადამისას ლოგინიდან წამოდგომა და ნაცნობებისათვის, თუ უცნობებისათვის გაყოლა. ადვილად იტანდა ლხინის შეწყვეტას, თუ შუადამით გაღვიძებას, რადგან იცოდა, ვინ იყო ის და რა ტვირთი აწვა მხარზე, იცოდა თავისი ფასი და მისიც, ვის დასახმარებლადაც ის მივიდოდა.

ერთხელ, გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი დარიალის ხეობაში იყო ექსკურსიაზე. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა გორში ტელეფონი აწკრილდა. იტყობინებოდნენ, რომ ერთი ექსკურსანტი გულის შეტევის გამო აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და ითხოვდნენ შველას. ავადმყოფის მეზობლებმა დაურეკეს ავთოს და სთხოვეს დახმარება. ავთომ სულ რაღაც 15-20 წუთში საკუთარ მანქანაში ჩასვა ავადმყოფის მეუღლე, ორი მეზობელი და მთელი სისწრაფით გაეშურა ადამიანის გადასარჩენად. საათნახევრის შემდეგ, უკვე საწოლის კიდეზე ეჯდა ავადმყოფს. ავთოს ადამიანურმა და პროფესიულმა გარჯამ თავისი სასიკეთო შედეგი გამოიღო. დარიალის ხეობაში თენდებოდა. ხინკალზე არ ვიტყვოდი უარს, წარმოთქვა ვალმოხდილმა ექიმმა.

ავთანდილ სამადალაშვილი სიკეთისათვის იყო გაჩენილი ამქვეყნად, სიკეთის კეთების დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ასეთად ახსოვთ იგი გორელებს, ასეთად ეხსომებათ ძალიან დიდხანს.

სოსანიძე ვანო



ყოველ ქალაქს, სოფელს თუ დაბას, ყავს და მომავალშიც ეყოლება პიროვნებები, რომელთაც ხალხი კოლორიტებად (პირდაპირი და სრული გაგებით) მოიხსენიებს, ანუ ისეთი ადამიანები, ვინც თავისი კაიკაცობით, თვითმყოფადობით და ამაღლებული სულიერებით წარუშლელ კვალს ტოვებს ცხოვრებაში.

ადვილი არ არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ჭეშმარიტი კოლორიტის საპატიო წოდების მოპოვებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუხლმოუდრეკელი შრომა სჭირდება. ხალხს რომ თავი შეაყვარო, მასზე ზრუნვით უნდა იცოცხლო, უნდა შეგეძლოს სხვისი ჭირისა და ღხინის გაზიარება, მზად უნდა იყო „შენი“ გასცე სხვის საკეთილდღეოდ, იყო თავმდაბალი, პირუთუნელი, სამართლიანი და სიტყვის პატრონი. მაგრამ ყოველივე ეს, მხოლოდ გარჯით და თავგანწირული მონღომებით არ მიიღწევა; აუცილებელია ბუნებამაც დაგამადლოს შესაბამისი შესაძლებლობა და სურვილი, საჭიროა გენეტიკური მემკვიდრეობა, სისხლი უნდა გიჩქეფდეს საამისოდ.

ვანო სოსანიძე, სწოედ რომ ბუნებამ, დააჯილდოვა კაცთმოყვარეობის არნახული ნიჭით, სამართლიანობის

აუცილებლობისა და დამკვიდრების დაუოკებელი სურვილით და რაინდული სულით. მან საზოგადოების საკეთილდღეოდ გასცა თავისი სიცოცხლე და ამიტომაც ჩადგა იმ ადამიანთა რიგებში, რომელთა ხსოვნაც არ დაიბინდება ასეული წლების განმავლობაში.

საიდან მოდის ვანო სოსანიძე? მხოლოდ მის დიდ პაპას მივაწვდინეთ თვალი. ტანმორჩილი კაცი ყოფილა და თიკუნიც შესაბამისი შეურჩევია ხალხს – „მოკლე“. დღესაც, თუმცა იშვიათად, გაიგონებთ ამ ზედმეტ სახელს. ვანო სოსანიძის გარეგნობის კაცს არანაირად არ შეეფერებოდა ეს თიკუნი, მაგრამ ტრადიცია უკვდავი რამ არის.

ვანო წარმოსადგევი ტანადობის კაცი გახლდათ; მკერდაზიდული, მხარბუჭიანი, ამაყად დააბიჯებდა გორის ქუჩებში. არც მისი ძმები (გივი და ოთარი) ჰგვანან ტანმორჩილებს. ნათესავები ამბობენ, გარეგნობა დიდი ბებიისაგან მოსდევთო, ტანაშოლტილი ქალი ყოფილა ეფემია ალავერდაშვილი.

ვანო სოსანიძის მამა, გიორგი მრავალრიცხოვანი ოჯახის შვილი ყოფილა. მას და მის მეუღლეს, მარიამ პავლეს ასულ წიკლაურს, გიორგის ბებია ეფემიასა და ხუთ დედმამიშვილთან (ნინა, მარო, ქეთო, ანა, სტეფანე) ერთად უცხოვრიათ ღია, პატარა აიენიან ორთახიან სახლში, სტალინისა და ყოფილი შაუმიანის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე. ვანოს მამა გიორგი ყასაბთა ამქარის წვერი ყოფილა და ხორცილთა ამარაგებდა ქალქს. ერთხელ სახელმწიფო ბანკიდან აუღია კრედიტი საქონლის შესაძენად და საპურმარილოდ მიმავალს მეგობრის ოჯახში მიუბარებია ფული. მეორე დღეს, ნაბახუსევზე, უფიქრია ფული დაკარგეო და მოსალოდნელი უსიამოვნებისგან თავის არიდების მიზნით გასცლია ქალაქს. რამდენიმე დღის შემდეგ მეგობრის ოჯახს ფული დაუბრუნებია, მაგრამ გიორგი იმ დღეების შემდეგ არავის უნახავს. უკაცოდ დარჩენილი ოჯახის მთელი სიმძიმე დააწვა 16 წლის ვანოს. ამას დაემატა

მეორე მსოფლიო ომის დაწყება და აქედან გამომდინარე სიძნელებით გადატვირთული წლები.

გორის მე-2 საშუალო სკოლა, ატესტატები, ჯარში გაწვევა, შიმშილობა, გაცილება, ცრემლი და მრავალი სხვა გასაჭირი დაემგზავრა ბატონ ვანო სოსანიძეს, ჯერ კიდევ ჭაბუკს. ბევრი მისი მეგობარი ვეღარ დაუბრუნდა ოჯახს...

ვანო სოსანიძემ 1944 წელს ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და მოიპოვა უმაღლეს სასწავლებელში განათლების მიღების უფლება; სწავლა გააგრძელა საკავშირო იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე.

ამასობაში დადგა ოჯახის შექმნის დროც. კარგი სიტყვა გვაქვს – მეუღლე, ანუ ადამიანი, რომელც შენთან ერთად ზიდავს ცხოვრების უმძიმეს მაგრამ აუცილებელ უღელს. ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად ვანომ თავისი თანაკურსელი გოგონა, ნელი ბერიშვილი შეარჩია და არც შემცდარა. როგორც ნათესავეები ამბობენ, ქალბატონი ნელი იყო ვანოს ცხოვრების მფარველი ანგელოზი, უადრესად კეთილშობილი, განათლებული, გულუხვი, სტუმართმოყვარე და მიმტევებელი ქალბატონი.

გორელებმა (და არა მარტო გორელებმა) კარგად იციან, რომ ვანო სოსანიძის სახლის კარი არ იკეტებოდა თვით მომრავლებული ქურდობისა და ყაჩაღობის წლებშიც კი. ხატოვნად უთქვამს ბატონ ვანოს „იმდენი და ისეთი მეგობრები უნდა ყავდეს კაცს, რომ მათთან ისე იგრძნოს თავი, როგორც საკუთარ სახლში“. უამრავ ადამიანს თავის თავზე გამოუცდია ბატონი ვანოსა და ქალბატონი ნელის ოჯახის სითბო, სტუმართმოყვარეობა. ვინ არ სტუმრებია მათ ოჯახს და არ გაუხარია მოსიყვარულე ტანდემის ჭეშმარიტი ქართველობით, გულმხურვალებით, უშუალოებით, სილაღითა და სიცოცხლის უზომო სიყვარულით.

საოცარი კაცი იყო ვანო. ყველასთან შეეძლო საერ-

თო ენის გამონახვა. გულწრფელად მეგობრობდა თავისი მამისა და ძმების მეგობრებთან, შვილების მეგობრებთან და მეგობრების მეგობრებთან. არც საყვარელი მეუღლის დაქალებს აკლებდა ყურადღებას და პატივისცემას...

გორის შემოვლითი გზა რომ გაიყვანეს, ვანოს დაუჩივლია, სტუმარი მომაკლდებაო, მაგრამ არა... აღმოსავლეთიდან დასავლეთით და პირიქითი მიმართულებით მოძრავი ახლობელ-მეგობრების გზა მაინც ვანო სოსანიძის ოჯახის ჭერქვეშ გადიოდა, რაც დიდ ბედნიერებას ჰგვრიდა ვანოს გამორჩეულად სტუმართმოყვარე ოჯახს.

ვანო სოსანიძემ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში იმუშავა ხელმძღვანელ თანამდებობებზე და ყველგან თავისი სასიკეთო და წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც პრინციპულმა, მომთხოვნმა, სამართლიანმა და თანამშრომლებზე მზრუნველმა კაცმა.

საოცარი ბედი ჰქონია მართლაც საოცარ ვაჟკაცს – 70 წლის ასაკში გარდაიცვალა თავისავე დაბადების დღეს, 1995 წლის 12 აგვისტოს.


გარდაიცვალა და კვლავ დიდი სიკეთე დაგვიტოვა თავისი მშვენიერი ოჯახის სახით: ქალბატონი თინათინ ვანოს ასული სოსანიძე-ილარიშვილისა (ისტორიკოსი, გორის სახელმწიფო ისტორიული ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელი, ორი ქალიშვილის დედა და ოთხი ვაჟიშვილის ბებია); ქალბატონი თამარ ვანოს ასული სოსანიძე-ტომაშვილისა (მუსიკის პედაგოგი, სამი ვაჟის დედა და ბებია) და გიორგი (გია) ვანოს ძე სოსანიძე (არქიტექტორი, ორი ქალიშვილის მამა).

სამწუხაროა რომ ვეღარ შევხვდებით გორის ქუჩებში თავაწვევით მოსიარულე ვანო სოსანიძეს, მაგრამ მისმა მეგობრებმა კარგად იციან, რომ მათი სავალი გზა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და პირიქით, მაინც ვანო სოსანიძის ოჯახის ზღურბლზე გადის.

ფაჩოშვილი ვანო



მთავარია კაცი იყო და სადაც გინდა იქ იცხოვრე. ეს სიტყვები პირდაპირი და სრული გაგებით ეკუთვნის ბატონ ვანო ფაჩოშვილს, რომელიც კახეთის ულამაზეს კუთხეში (და ერთერთ უდიდეს) სოფელ შილდაში დაიბადა 1913 წლის 5 თებერვალს გლეხის ოჯახში, ცნობილი ქართველი მომღერლის, მერი მიჩილაშვილის (მერი შილდელის) ოჯახის მეზობლად.



სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლისა ყოფილა, როცა წამოუყვანიათ თბილისში და სასწავლებლად მიუყვანიათ საბუნალო სკოლაში. დაამთავრა ტექნიკური და შეუდგა შრომით მოღვაწეობას. მას, როგორც ნიჭიერ და საფინანსო საქმიანობაში საკმაოდ გათვითცნობიერებულ ახალგაზრდას, ხშირად აგზავნიდნენ მივლინებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში

(ქუთაისი, ბათუმი, ოზურგეთი და ა.შ.) საბუნალო და საერთოდ ფინანსურ სისტემაში მომხდარი ახალი ცვლილებების პროპაგანდისა და სწავლების მიზნით. ტექნიკურის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ განამწესეს ქ. გორში და ამ დღიდან დაწყებული ცხოვრობდა და მოღვაწეობდა შიდა ქართლის გულში, როგორც ახალგაზრდა და პერსპექტიული საფინანსო სპეციალისტი.

ძნელი დრო იდგა ქვეყანაში. იგრძნობოდა კვალიფიციური კადრების დეფიციტი. ბატონი ვანო სწორედ ის კაცი იყო და იმ პროფესიას ფლობდა, ზედმიწევნით კარგად, რაც სჭირდებოდა საზოგადოებას და ქვეყანას, როცა ყალ-

იბდებოდა და იხვეწებოდა ქვეყნის საფინანსო პოლიტიკა.

კახელმა კაცმა გორში მოიკიდა ფეხი. მართალია გული კახეთისკენ ეწეოდა, მაგრამ ბედს ვერ გაექცევი. ბატონმა ვანომ გორში შექმნა ოჯახი თავისი ცხოვრების განუყრელ, ძვირფას აღამიანთან, ქალბატონ ნინო რაზმაძესთან ერთად. შეეძინათ ორი ვაჟიშვილი – კახი და თეიმურაზი, რომელთა წყალობითაც ოჯახს შეეძინა ორი რძალი (თინათინ ბაღაშვილი და ბელა იაკობაშვილი) და ოთხი შვილიშვილი (შალვა, ელენე, ნინო, ირმა), ხოლო ცოტა მოგვიანებით კი ბატონ ვანოს შვილთაშვილიც ეყოლა – პატარა ვანო.

ბატონი ვანო ფაჩოშვილის შრომითი გზა ასე გამოიყურება: მონაგარიშე (გორი, მცირე საწარმო), ბუნალოტერი და მერე თავმჯდომარე (ატენის სოფლის კოოპერატივი), მოგვიანებით იქვე მთავარი ბუნალოტერი, საბჭოს თავმჯდომარე (სოფ. ატენი, ბოშური, ბობნევი), მთავარი ბუნალოტერი (ქ. გორი „გორვაჭრობა“), მთავარი ბუნალოტერი (ხეტყის ქარხანა).

საოცრად კეთილი თვისებებისა და მხიარული ხასიათის კაცი იყო ბატონი ვანო, კახელებისათვის დამახასიათებელი იუმორით. ერთი კი იყო, რომ სასმელი არ უყვარდა. იშვიათად მიიღობოდა ერთ-ორ ჭიქა ღვინოს. არაფი, როგორც ასეთი, მისთვის არ არსებობდა; არ ეწეოდა თამბაქოს, არ სვამდა რძეს, არ იცოდა წინლის გემო, არასდროს უჭამია პომიდორი. მართლაც საოცარი კაცი იყო ბატონი ვანო. იცოდა ძალიან ბევრი ანეკდოტი. გაგიკვირდებათ, მაგრამ კახელმა კაცმა არ იცოდა გინება! უფრო მეტიც, მისგან ხმამაღლა ნათქვამ სიტყვასაც კი ვერ გაიგონებდით და ვერც გაბრაზებულს ნახავდა ვინმე. უხმოდ, უპრეტენზიოდ, რუდუნებით აკეთებდა თავისი ოჯახის, სამსახურის, თუ სამეგობრო საქმეს და არავის აწუხებდა პირადი პრობლემებით. იმავდროულად ბატონი ვანო იყო ფიზიკურად ძალიან ძლიერი კაცი – რვა კაცისთვის გაწყობილ მაგიდას ჩასჭიდებია კბილებით და აუწევია. მიუხედავად ყოველივესი, ბატონ ვანოს მუხთაღმა საწუთრომ მაინც მოუძებნა

„სუსტი“ ადგილი და თავს დაატეხა გულის ინფარქტი.

ბატონი ვანო მაშინ 62 წლის იყო. მამამისი ჩამოსულია სოფელ შილდიდან, ხურჯინაკიდებული, შვილის სანახავად. არ უშვებდნენ თურმე მეზობლები – ახალი წელია, სად მიდიხარო. უპასუხია: რა დროს ახალი წელია, მითხრეს, „შენი ვანია ავად არის, ბალნიცაში წვესო“.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბატონი ვანო სამინისტროში. იგი ცნობილი იყო, როგორც საბუღალტრო კვარტალური თუ წლიური ბალანსების შედგენის დიდოსტატი.

დირექტორები და მმართველები აღარ კითხულობდნენ და აღარ ჩაჰკირკიტებდნენ ხოლმე მასალებს, რომლებზედაც ხელი უკვე მოწერილი ჰქონდა ბატონ ვანოს და დაუფიქრებლად არტყამდნენ ბეჭედს.


ასეთ ეპიზოდსაც ჰქონდა ადგილი. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი ამოწმებდა ორგანიზაციას, სადაც მთავარ ბუღალტრად მუშაობდა ბატონი ვანო. დაუთმია კაბინეტი, კარადები, სეიფები და საბუთები და უთქვამს: მე ახლა სახლში წავიდა და რევიზიას რომ მორჩებით, გთხოვთ გასაღებები არ გაიყოლოთ თბილისში.

სამწუხაროა, რომ მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მიანიჭეს ბატონ ვანო ფაჩოშვილს „ვაჭრობის წარჩინებული მუშაკის“ საპატიო წოდება და სამკერდე ნიშანი.

კაცს, პირველ რიგში, სიცოცხლეში უნდა მოფერება და დაფასება.

ქილიტაური თენგიზი

ძნელი და რთულია მეცნიერ-მკვლევარების ცხოვრების გზა. ჭეშმარიტი მკვლევარი მეთევზეა, ან მონადირეს შეიძლება შევადაროთ, როცა ისინი მზად არიან, რომ სუნთქვაც კი შეაჩერონ, ოღონდ კი მიზანს მიაღწიონ. განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ მეთევზეს ან მონადირეს მიზნის მისაღწევად სჭირდება წუთები, თუნდაც საათები – მეცნიერ-მკვლევარს შეიძლება მთელი მისი სიცოცხლე



არ ეყოს სიახლის აღმოსაჩენად, თეორიული მოსაზრების პრაქტიკულად დასამტკიცებლად, ზოგიერთ კანონთა ურთიერთშეუსაბამობის გამოსააშკარავებლად, ან თუნდაც პოსტულატების ჩამოსაყალიბებლად. და ამ ურთულეს გზაზე მოწოდებით მიმავალ მეცნიერს განუყრელად თან სდევს: მუშაობა გრაფიკით, რომელიც ხშირად ვერ ეტევა 24 საათში, უძილო ღამეები, ბუნებრივი, ფიზიკური თუ ზოგიერთი სულიერი მოთხოვნის შეზღუდვა, არასწორი და არათანმიმდევრული კვებითი რეჟიმი, სხვათა ათასობით წიგნის, სამეცნიერო შრომის, ნარკვევის წაკითხვა და გაანალიზება, საზოგადოების დიდი ნაწილისაგან თითქმის იზოლაციაში ყოფნა, ზოგიერთ შემთხვევაში არასაკმარისი ყურადღება შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოთა მხრიდან და ა. შ. მაგრამ

ჭეშმარიტი მეცნიერი მოთმინებით იტანს ყოველივეს და შეუპოვრად იღტვის სანუკვარი მიზნისკენ.

ასეთ მეცნიერ-მკვლევართა რიგებს განეკუთვნება ბატონი თენგიზ ქილიტაური, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც მეცნიერებაში, ისე ფართო საზოგადოებაში და თავის აღზრდილთა გულებში.

თ. ქილიტაური დაიბადა 1927 წელს ქ. გორში. 22 წლის ასაკში დაამთავრა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი; ამავე ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ფიზიკის კათედრის ასისტენტად, ხოლო 1961 წლიდან კათედრის უფროსი მასწავლებელია.

1964 წელს თენგიზ ქილიტაური საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად წარსდგა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე და იხეიმა კიდევ პირველი სერიოზული მეცნიერული წარმატება.

15 წელი (ინსტიტუტის დამთავრებიდან) მიდიოდა თენგიზ ქილიტაური ამ მიზნისაკენ. ვფიქრობთ, სწორედ ახლა მიიღო მან ის სიამოვნება და კმაყოფილება, რაც აუცილებლად მოსდევს დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობის აღიარებას. მისმა სადისერტაციო ნამუშევარმა დამსახურებული აღიარება ჰპოვა. სადისერტაციო თემად კი თენგიზს შერჩეული ჰქონდა (აკადემიკოს ფ. თავაძის ხელმძღვანელობით) საკმაოდ რთული და შედარებით ნაკლებად შესწავლილი საკითხი „ზოგიერთი ფერადი ლითონის კრისტალთა ნორმალური და დისლოკაციური ზრდის მექანიზმის ექსპერიმენტალური გამოკვლევა“.

ძნელი არ არის წარმოდგენა, თუ რა სახის ტექნიკური სიძნელეების გადალახვა მოუწია მკვლევარს გორის ინსტიტუტში, მითუმეტეს, რომ ერთდროულად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც.

1974 წლიდან თენგიზ ქილიტაური უკვე ფიზიკის კათედრის გამგის რანგში აგრძელებს აქტიურ მეცნიერულ მოღვაწეობას, რის დამადასტურებელიც არის მისი, როგორც აღიარებული მკვლევარის მიწვევები ისეთ ფორუმებზე, როგორიცაა:

– კრისტალოგრაფთა კავშირის მე-7 საერთაშორისო კონგრესი.

– ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრისტალოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საიუბილეო სხდომა.

– ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის მყარი ტანისა და ნახევარგამტართა ფიზიკის განყოფილების სხდომა.

– კრისტალოგრაფიული აპარატურის, სინთეტიკური კრისტალებისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენა.

– კრისტალთა ზრდის თეორიისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმი და მრავალი სხვა.

პედაგოგიურ ინსტიტუტში პირველმა თენგიზ ქილიტაურმა შექმნა ლითონთა ფიზიკის, იმ დროისათვის ერთადერთი ლაბორატორია.

შთამბეჭდავად გამოიყურება თენგიზ ქილიტაურის სამეცნიერო შრომათა ჩამონათვალი (სამოცხე მეტი), რომელთა შორის გამოვეყოფდით რამდენიმეს:

– „ფერადი ლითონების კრისტალების ნორმალური და დისლოკაციური ზრდა“

– „ფერადი ლითონების კრისტალების ზრდის წახნაგების მიკრორელიეფის შესწავლა“.

– „ფერადი ლითონების კრისტალების ზრდის ფორმები“.

– „...კრისტალთა ზრდა თხევადი ფაზიდან“ და ა. შ.

1982 წელს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ეკონომიკურ ინსტიტუტად გარდაქმნის შემდეგ, თენგიზ ქილიტაური ჯერ ეკონომიკის მართვის და ტექნოლოგიის, ხოლო მოგვიანებით ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზირებული სისტემების კათედრის დოცენტი.

ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თენგიზ ქილიტაურს მიღებული აქვს მრავალი საპატიო სიგელი, მადლობა, წოდება, მედალი თუ სამკერდე ნიშანი, რომელთა შორის გამოვეყოფდით საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელს.

თენგიზ ქილიტაურს საზოგადოება იცნობდა როგორც დახვეწილ ინტელიგენტს, შრომისმოყვარეს, კეთილს, თავმდაბალს, ტკბილად მოსაუბრეს და ოჯახზე და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს; კაცს, რომელიც შეუოკებლად მიიღტვოდა მეცნიერების მწვერვალებისკენ და ამავედროულად დღენიადაგ ყურადღებას არ აკლებდა სტუდენტ-ახალგაზრდობას, თავის აღსაზრდელებს.

სულ 67 წელი იცოცხლა თენგიზ ქილიტაურმა. წადებით, აბა, თან რას წაიღებდა, მაგრამ ბევრი კი დატოვა.

ტკივილებითა და ათასნაირი წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრება გაიარა კეთილშობილმა პიროვნებამ, თუმცა მაღალმა ღმერთმა დაინდო და ყველაზე დიდი ტკივილისა და ტრაგედიის მოწამე არ გახადა. უდროოდ და ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალნენ თენგიზის საყვარელი შვილები, გია და მარია.

თავადაც ადრე დაობლდა ბატონი თენგიზი და შვილებიც ადრე დააობლა. ასეთი ყოფილა მისი ბედი.

ბატონ თენგიზისთვის დამახასიათებელი შრომითი შემართება, სიკეთე, პატიოსნება, გულისხმიერება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა – სწორედ რომ გარანტიაა მისი ნათელი და მარადიული ხსოვნისა.

იგი, ახლა 80 წლის იქნებოდა.

ღონდაძე თემური



საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის ქ. გორის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტი (1956-1992) მართლაც იყო კადრების სამჭედლო, რის შესახებაც არაერთხელ სიამაყით აღუნიშნავთ გორისა და გორის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების პირველ პირებს (რ. ბზიშვილს, შ. ბერიანიძეს, ბ. მაყაშვილს, რ. ჯავახიშვილს და სხვა.).

სტუდენტობაგამოვლილი ახალგაზრდა სპეციალისტები სამუშაოდ ნაწილდებოდნენ შესაბამისი პროფილის

ორგანიზაცია-დაწესებულებებში. ეს პროცესი განუწყვეტლივ მიმდინარეობდა, რითაც ბალანსირდებოდა სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილება უმაღლესი განათლების მქონე კადრებზე. მეცნიერულ-კვლევითი უნარით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს უპირატესად ანაწილებდნენ სამეცნიერო დანიშნულების ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში და საკონსტრუქტორო ბიუროებში.

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში განაწილებით მისული ახალგაზრდა სპეციალისტები იმაღლებდნენ თეორიული ცოდნის დონეს და, რაც მთავარია, იძენდნენ ამათუიშ დარგში პრაქტიკული მოღვაწეობის მეთოდებს და ჩვევებს წლების განმავლობაში, რის შედეგადაც მათ უკვე შეეძლოთ თავიანთი წვლილი შეეტანათ (სურვილისა და მოთხოვნილების შემთხვევაში) ადგილობრივი თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის საწარმოო ობიექტების განვითარების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის მეთოდების დანერგვის საქმეში.

გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტის „სამჭედლოში“ გამოწვრთობილი არაერთი სპეციალისტი იქნა სამუშაოდ გადაყვანილი წარმოებებში დირექტორებად, მთავარ ინჟინრებად, წარმოების თუ საამქროების უფროსებად, მთავარ მექანიკოსებად და ა.შ. მათ შორის იყო თემურ ღონდაძეც.

თემურ გიორგის ძე ღონდაძე დაიბადა 1944 წლის 26 აპრილს ქ. ხაშურში, მოსამსახურის ოჯახში. მშობლები: დედა – ნადეჟდა მელიტონის ასული ჩხიკვაძე, მამა – გიორგი ალექსის ძე ღონდაძე, ძმები – თამაზი და თენგიზი.

ამიერკავკასიის რკინიგზის №4 საშუალო სკოლის დამთავრების (ვერცხლის მედლით) შემდეგ, თემურ ღონდაძემ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობით „მათემატიკური გამომთვლელი ხელსაწყოები და მოწყობილობები“ და განაწილებით დაიწყო

მუშაობა გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში რიგით ინჟინრად, ხოლო ხუთიოდე წლის შემდეგ იგი უკვე უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია და ხელმძღვანელობს სამუშაოებს, იმ დროისთვის გორში არსებული, „მირ-2“ ტიპის ერთადერთი ელექტრონული გამომთვლელი მანქანის გამოყენებით.

თანაკლასელები, თანაკურსელები და თანამშრომლები ერთხმად აღნიშნავენ იმას, რომ თემური იყო სიცოცხლით სავსე, გონებაბაძვილი, განათლებული და თავმდაბალი ადამიანი. გამორჩეული გულუხვობით, გულმართლობით და ენერგიულობით. ნებისმიერ ვითარებაში მზად იყო ამოსდგომოდა მხარში ყველას, ვისაც კი რაიმე სახის დახმარება ესაჭიროებოდა.

თემურ ღონდაძემ ოჯახი შექმნა 1972 წელს ნათელა გრიგოლის ასულ საბაშვილთან ერთად. ბედნიერ ოჯახს შეეძინა სამი შვილი – ლევანი, თამარი და სანდრო.

1976 წლიდან თემურ ღონდაძე სამუშაოდ გადაყავთ ქ. გორის პურპროდუქტების კომბინატში ელექტრო საამქროს უფროსად, შემდეგ კი წისქვილკომბინატის მთავარ ენერგეტიკოსად, სადაც იმუშავა სიცოცხლის ბოლო დღემდე.

თემური იყო ფიზიკურად ძლიერი აგებულებისა და სპეცაკი სულის პიროვნება, რომელიც სარგებლობდა ყველას სიყვარულითა და პატივისცემით.

მეუღლე, ქალბატონი ნათელა იგონებს: „თემური ყველას უყვარდა, ყველასთან პოულობდა საერთო ენას, ჰყავდა ბევრი ახლო მეგობარი და გულთან ახლოს მიჰქონდა მათი ავ-კარგი.“

სამწუხაროა, რომ ოჯახზე, პროფესიაზე და ნაცნობ-მეგობრებზე უზომოდ შეყვარებულ კაცს არ დასცალდა ბოლომდე გამოემუქვანებინა თავისი შესაძლებლობები, არ მიეცა შესაძლებლობა ბოლომდე გახარჯულიყო და თვითონაც გაეხარა შვილების ბედნიერებით.

თემურ ღონდაძე გარდაიცვალა 1997 წლის 24 ივნისს და დაკვიტოვა მოუშუშებელი ჭრილობა.

ყეინოშვილი ოთარი

არიან ადამიანები, რომლებიც საქმეს (საქვეყნო, საოჯახო, სამეგობრო) უხმაუროდ, უპრეტენზიოდ და უანგაროდ აკეთებენ, განსხვავებით იმათგან, ვინც ხმამაღლა ლაპარაკობს, ხელებს იქნევს, მოგეხვენებათ, რომ განიცდის და ნერვიულობს, მაგრამ არსებითად ვერ აღწევს სასარგებლო და საჭირო შედეგებს.

ოთარ ყეინოშვილი ჩუმად, მოზომილი ნაბიჯით დაიარებოდა ქ. გორის ქუჩებში, კეთილი და დიმილნარევი საღამო არავისთვის მოუკლია, სიკეთეს და კაიკაცობას ამკვიდრებდა თავის ახლობლებში, მეზობლებში, სამსახურში და ოჯახში. არავის სმენია ოთარის ხმამაღალი სიტყვა.

საქმე კი, რომ იტყვიან „საათივით ჰქონდა აწყობილი“. თავისი საქმის პროფესიონალი იყო და ხელმძღვანელობაც მუდამ კმაყოფილი იყო მისი მუშაობით.

კახელ კაცს არ გასჭირვებია ქ. გორში ფესვების გადგმა და შესაბამისი პატივისცემის დამსახურება, რასაც მან თავისი კეთილსინდისიერი და ენერგიული მუშაობით მი-აღწია.

ოთარ არსენის ძე ყეინოშვილი დაიბადა 1933 წლის 20 აგვისტოს ყვარელის რაიონის სოფელ საბუეში, გლეხის ოჯახში.

ოთარის მამა, არსენ ყეინოშვილი მეორე მსოფლიო ომიდან აღარ დაბრუნებულა. 1942 წელს ოჯახმა მისგან მიიღო უკანასკნელი (როგორც შემდეგ აღმოჩნდა) სამკუთხედად მოკეცილი წერილი „...ქერხიდან გავდივართ...“



ამის შემდეგ არსენ ყეინოშვილი აღარავის უნახავს. მაშინ ოთარი მხოლოდ 9 წლის იყო.

ოთარის დედა, ქალბატონი მარო ფაჩოშვილი (ქ. გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობის კახი ფაჩოშვილის მამიდა) ძალიან მშრომელი ქალი გახლდათ. მეუღლის დაღუპვის შემდეგ ოჯახის უღელს შეეჭიდა და გარჯა არ მოუკლია, რათა დაობლებული შვილები (მიშა, ოთარი) შიმშილისგან ეხსნა. ის კი არა და ბევრი მეზობელი მისგან სესხულობდა სარჩო-სანოვაგეს ახალ მოსაგვლამდე. ვაჟკაცად დაბადებულმა და უდროოდ დაქვრივებულმა ქალბატონმა 84 წლის ასაკამდე გაუძლო ცხოვრების ორომტრიალს. გარდაიცვალა 1984 წელს.

ოთარ არსენის ძე ყეინოშვილმა სოფელ საბუის (გრემიდან 2 კმ.) საშულო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხის საფინანსო-საბუღალტრო ტექნიკუმში, რის დამთავრების შემდეგაც, როგორც დიპლომირებული სპეციალისტი შეუდგა შრომით მოღვაწეობას ჯერ კახეთში (შილდა, საბუე) შემდეგ კი გორის ლუდ-ლიმონათის ქარხანაში და ბოლოს „გორვაჭრობის“ სისტემაში – სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონ ოთარს ყველა იცნობდა, როგორც მეტად ყურადღებიან კაცს. ის ცდილობდა ყველასათვის ეთქვა კეთილი სიტყვა, გულთან მიჰქონდა სხვისი გასაჭირი, მისალოცს მიულოცავდა, მისასამძიმრებელს მიუსამძიმრებდა, გასაცემს გასცემდა და მისაღებზე არ ჩიოდა. არ სჩვეოდა ვაი-ვიში. კახეთში თუ წავიდოდა ორიოდ დღით, სანამ ყველა ნათესავს და ახლობელს არ მოინახულებდა და არ მოეფერებოდა, ისე არ დაბრუნდებოდა გორში. კახეთიდან ყურძენს ისე ჩამოიტანდა, რომ ახლახანს მოკრეფილი ეგონებოდა კაცს.

რამდენიმე არაორდინალური ჩვევა-თვისება ჰქონდა ბატონ ოთარს: ძალიან უყვარდა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა (იყო ეს საჭირო, თუ არა) და მძიმედ განიცდიდა დომინოში წაგებას.

ოთარ ყეინოშვილმა გორში შექმნა და გორშივე დატოვა სათაყვანებელი, ძვირფასი ოჯახი: მეუღლე, ქალბატონი სოფიო, შვილები პაატა და მზია, რძალი ეკა და შვილიშვილები ოთარი და სოფიო.

ახლობლების ნახვა-მოკითხვა უყვარდაო ბატონ ოთარის, ზემოთ აღვნიშნეთ და აი, კიდევ ერთი ნახვის ნატვრა, რომელიც სამწუხაროდ ვეღარ აღსრულდა.

ოთარი ბორჯომში აპირებდა გამგზავრებას მეუღლის დისშვილის სანახავად. ქ. გორის ავტობუსების ბილეთების საღაროსთან უმტყუნა გულმა. იღვა 1995 წლის 2 ნოემბერი.

ნათელში ამყოფოს ბატონი ოთარის სული. მისი დანაკლისი წლები შემატებოდეს ოჯახის მომავლს.

შაფთოვნილი მიხეილი

„ვით ორი წმინდა სანთელი

ებრაელი და ქართველი“

და კიდევ: „...ჩემი გონება ღვთის მოშიშობა,

წყარო სიკეთის და არა ვნების...“

ეს ღრმადმინაარსიანი სიტყვები ეკუთვნის მიხეილ შაფთოშვილს. მისი კაცობისა და ღირსების საცხოვრისო კალათა:

– ქ. გორის საპატიო მოქალაქე.

– რეჟისორი, მსახიობი, პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი, პედაგოგი.

– შესრულებული როლები: ილინსკი („ბარათაშვილი“), დარჩო („ძველი სასამართლო“), ბრიგელა („ორი ბატონის მსახური“), ტარიელი („ორი გმირი“), დარისპანი („დარისპანის გასაჭირი“) და ა. შ.

– რეჟისორული ნამუშევრები: „ბებია დარეჯანის ზღაპრები“, „მამლაყინწას თავგადასავალი“, „სიყვარული სამი ფორთოხლი-



სადმი“, „წითელქუდა“, „იარონ“, „ქართლის დედობა“, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „თოვლის დედოფალი“, „ცანგალა“, „დედამთილი“ და სხვა.

– დრამატურგია: „უცნაური ქორწინება“, „თანამედროვე მელოდიები“, „ცრემლი დედისა“, „მაჭანკალი“, „იავნანამ რა ჰქმნა?“ (ინსცენირება).

– მოთხრობების ციკლი „დასასრული“.

მიხეილ შაფთოშვილის სტიქია მაინც იყო მასიური და მასშტაბური საზეიმო თუ საიუბილეო ღონისძიებების ინსცენირება და რეჟისურა. მისი ხელმძღვანელობით და მისი სცენარით მრავალჯერ ჩატარდა „იაკობობა“. მიხეილის სახელთანაა ასევე დაკავშირებული პირველი „ზაზაობა“ დაბა ქარელში, ქ. გორში „ლომჭაბუკის“ ძეგლის გახსნისა და წერეთლის ქუჩის აღდგენისადმი მიძღვნილი მასიური სახალხო ზეიმები, ქ. ხაშურში დავით აღმაშენებლის სახელობის ქუჩის საზეიმო და სხვა კულტურული ღონისძიებები. გურჯაანის, ხაშურის, ქარელის, ბორჯომის, ცხინვალის, თბილისის სკოლებისა და პედინსტიტუტის სცენებსაც ახსოვს მიხეილ შაფთოშვილის ნაღვაწის მადლი და მაღალმხატვრულობა.

ქ. გორში დაიბადა და აქვე გაატარა მთელი თავისი ლამაზი ცხოვრება:

„მე, გორელი ვარ,
გორის ციხესთან,
ქარის ზუზუნში გაზრდილი ბიჭი,
უფლისციხესთან ნამზევ ქალაქში
სიყვარულის და სიმღერის გამომყვა ნიჭი!..“

ამბობს მიხეილ შაფთოშვილი და ნიჭი რომ გამოყვა, ზემოდმოყვანილი შემოკლებული ინფორმაციიდანაც კარგად ჩანს.



ამონარიდი გიორგი სოსიაშვილის წერილიდან (გაზეთი „მედია ნიუსი“, 2003 წ. ოქტომბერი):

„...დადიოდა თავისი მძლავრი, დარბაისლური ნაბიჯებით და თავად აგროვებდა პოეტურ ნიმუშებს, ჩანახატებს თუ მინიატურებს. მერე წაგვიყვანდა სახლში, ჩავიკეტებოდით წიგნებით გამოჭედილ ოთახში, დავსხდებოდით ბატონი მიხეილის სამუშაო მაგიდის ირგვლივ, იმ მაგიდისა, სადაც ტყუპი ძმებით აღმართულიყვნენ ისრაელის და საქართველოს დროშები. გვიკითხავდა ლექსებს, ნოველებს, საოცრად ლამაზი, სულში ჩამწვდომი, სანდომიანი ხმით...“

ღიას, მის სამუშაო მაგიდაზე და სულშიაც ორი დროშა ფრიალებდა – ისრაელის და საქართველოსი.

„მიხეილ შაფთოშვილი ორი ერის ხიდი იყო. ქართველი ებრაელების მეციხოვნე და მუხლჩაუკეცელი დარაჯი... ერთნაირი მგზნებარებით ამბობდა „შემაყ ისრაელ და სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია“ (გაზეთი „ალია“, 2001 წ. ნოემბერი).

სიყვარულის, სიკეთის, სამართლისა და რწმენის კაცი იყო ბატონი მიხეილი (მოეუსმინოთ):

– „ის ღმერთს ხედავდა და ეს იყო მისი სინათლე“

– „სიყვარულს, ვით ღმერთს

სანთლებს ვუნთებდი,

დამეს ვუთევედი თეთრად...“

– „სამართლიანობა ამაღლებაა, ხოლო ამაღლება – მშვენიერება“.

არ იქნება გადამეტებული, თუ ვიტყვით, რომ ადამიანები, ჩვეულებრივი მოკვდავნი, ხშირად (ძალიან ხშირად!), პირადი ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანებში ჩაფლუნნი, ვერ ვამჩნევთ და აქედან გამომდინარე, სათანადოდ ვერ მივაგებთ პატივს, ჩვენს გვერდით, ჩვენს გარემოში რუდუნებით მოფუსფუსე ადამიანებს, რომლებსაც მთელი სიცოცხლის მიზნად დაუსახავთ მშვიდობა, კაცთმოყვარეობა, ქედმოუხრელი შრომა, სიკეთე, მეგობრობა და უმაღლესი სიწმინდეების ღოცვა-დიდება. მე-

მორიალურ დაფებთან და ჩარჩოში ჩასმულ სურათებთან ვღვრით მოგვიანებულ ცრემლებს და გულში მუშტს ვირტყამთ – ეს რა კაცი დაგვარგეთო.

ბატონ მიხეილ შაფთოშვილს სიცოცხლეში არ მოჰკლებია საზოგადოების თაყვანისცემა და მადლობა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ, ჯერ კიდევ მტკიცედმდგომი 26 საუკუნოვან ფესვებზე, იმსახურებდა უფრო მეტ ადამიანურ სითბოს ჩვენსავე ერთობლივ მიწიერ ყოფიერებაში.

მიხეილ შაფთოშვილის სახელობის ქუჩა და მემორიალური დაფა (ქ. გორი, ტინისხიდის 11) უდავოდ აღიარებაა მისი ტალანტისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისა.

ღირსებით შემკულ კაცს, უმეტესად, ღირსეული ოჯახი უმაგრებს ზურგს. ბატონმა მიშამ შექმნა სიკეთით სავსე, უმშვენიერესი ოჯახი. მისი მეუღლის, ქალბატონ მერი ელიშაყოვის სახელთან არის დაკავშირებული უცხო ენის ბრწყინვალე ლექციები ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ასევე ქ. გორში ივრითის სკოლის დაფუძნება, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა, ანსამბლი „ემუნა“... ოჯახის გვირგვინი კი მიშასა და მერის შვილებია – სიმონი და გია, რომლებიც ისრაელში სწავლობენ და იქიდან ღოცულობენ საქართველოსთვის“ (ბეგლარ ნოზაძე, „მიხეილ შაფთოშვილი“. ესკიზი. 1998 წ.).

„...ხანდახან, ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებული ვუთისოფლის ამარობაში, თავს იმითდა ვინუგეშებ, რომ სიცოცხლით დაუკმაყოფილებელ ადამიანებს ზესთასოფელი გველის, მარადიულ სივრცეში ნავარდს მოელის სული და ესღაა ჩვენი ადამიანური სევდის ერთადერთი საღბუნი...“ (გიორგი სოსიაშვილი. „მედია ნიუსი. 2003 წ. ოქტომბერი).

წმინდა მიწაზე, ფეთახ თიკვაში განუტეგია სული მიხეილ შაფთოშვილმა – უფლის ნათელივით სპეტაკ ცისქვეშ...


გორი და გორელები ვერასოდეს დაივიწყებენ მიშას, ბატონ მიხეილს, ძია მიშას – კაცს, რომელიც სიკეთის, სიღიადის, ნიჭის, სიყვარულის, შემართებისა და სათნოებისათვის იყო მოვლენილი ამქვეყნად...

შერმადინი ბივი

ერთხელ, მეგობრების წრეში ნაპოლეონ ბონაპარტეს პიროვნების გარშემო ატეხილ კამათში, გივი შერმადინმა, მოზომილი სიმტკიცით განაცხადა: „ყველაფერს გაპატიებთ, მაგრამ ნაპოლეონის შესახებ დაუსაბუთებელ მოსაზრებებს და სადღაც ყურმოკრულ, ცრუსტორიულ ფაქტებით კამათს კი ვერავითარ შემთხვევაში. ამ პიროვნების შესახებ მე მკითხეთ და დამიჯერეთო“.

მაინც რატომ ასეთი თვითრწმენა და თამამი გამოწვევა?! საქმე იმაში გახლდათ, რომ გივი შერმადინს ნაპოლეონის შესახებ თითქმის ყველაფერი ჰქონდა წაკითხული, რაც კი ხელმისაწვდომი იყო მაშინდელ საქართველოში. უფრო მეტიც, გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ წავიდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, რათა გასცნობოდა ახალ ისტორიულ მასალას ნაპოლეონის მრავალფეროვანი და წინააღმდეგობრივი მოვლენებით აღსავსე ცხოვრების შესახებ.

განა მხოლოდ ნაპოლეონის შესახებ დაწერილი წიგნები?! გივი შერმადინი კითხულობდა ყველაფერს, ყველგან და ყოველთვის; წიგნი ელო სასთუმალიდან (ავადმყოფობის დროსაც კი), ავტომანქანაში, სამსახურში, ჯიბეში და ყველგან, სადაც კი ექნებოდა თუნდაც ერთი ფურცლის წაკითხვის საშუალება. და, კითხულობდა არა ერთი თვალის გადავლებით, ან ზედაპირულად, არამედ საფუძვლიანად, რუდუნებით, ჩაკირკიტებით... ამიტომ იყო, რომ დამსახურებულად თვლიდნენ მას გორში ერთ-ერთ ნაკითხ და განათლებულ ადამიანად.



ნათქვამია... „... თუ ბუნებამაც არ უშველაო...“ და ბუნებამ დიდი ნიჭით დააჯილდოვა გივი შერმადინი. მისმა ნიჭიერებამ და ნაკითხობამ (მწიგნობრობამ) არაერთხელ წარმოაჩინეს მისი პიროვნება, ჯერ სტუდენტობის დროს (გორის პედ. ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ე. წ. წითელი დიპლომი), მანამდე მე-11 საშუალო (რკინიგზის) სკოლაში (გერცხლის მედალი), მერე კი კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში (სხვადასხვა თანამდებობაზე), საკონსერვო ქარხანაში (მექანიკური საამქროს უფროსი), მეორადი გადაამუშავების კომბინატში (დირექტორი) და სხვა.

გივი შერმადინს ჰქონდა ხაზგასმული ლოგიკა (მათემატიკოსობამ თუ შეუწყო ხელი) და მსჯელობის თვითმყოფადი სტილი, რასაც იტყოდა – ამაგრებდა უტყუარი ფაქტებით და არგუმენტებით, ისე რომ მასთან კამათი სასიამოვნოც იყო და ძნელიც.

ახლა მივხედოთ ნიჭის გამოვლენის სხვა ფაქტებს; გივი ბრწყინვალედ თამაშობდა ჭადრაკს და პრეფერანსს. სწორედ, ეს ორი თამაში მოითხოვს კომბინაციების გათვლის უნარს და ლოგიკური მსჯელობის მკაცრ და ზუსტ თანმიმდევრობას. გივი ასევე კარგად თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს, ბილიარდს, ფეხბურთს, დომინოს და ა. შ.

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გივი შერმადინის თვალი და გული მიიტაცა მშვენიერმა და სიცოცხლით სავსე ასულმა, ნონა პაიჭაძემ (ბევრ გორელ ბიჭს ეჭირა თვალი ხაშურიდან ჩამოფრენილ „მერცხალზე“, მაგრამ გივი რა ბიჭი იქნებოდა ვინმესთვის დაეთმო ცხოვრების თანამგზავრად მოაზრებული გოგონა. აკი არც დასთმო და გორში შეიქმნა კიდევ ერთი ღმაზი ოჯახი; ოჯახი შრომის, ოჯახი მეგობრებისა და მეზობელ-ნათესავების ნავსაყუდელი).

გივის მამა, შიო გოლას ძე შერმადინი, შედარებით ადრე გარდაეცვალა. დედამ, ქალბატონმა ფეოდორამ მძიმედ განიცადა მეუღლის სიკვდილი, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე თავგამოდებით ზრუნავდა შვილებზე და შვილიშვილებზე, მაგრამ ეს სოფელი...

მშობლების გარდაცვალება არ აკმარა ცხოვრებამ გივი შერმადინს – უდროოდ გამოეცალნენ მხრებიდან რძალი, ძმა, ძმისშვილი... გივი კი მაინც იდგა ფესვებმაგარ მუსასავით და ეწეოდა უკვე დამძიმებულ ჭაპანს.

გივი შერმადინმა ამქვეყნად დატოვა შესაშური მონაგარი; ორი შვილი (ზვიადი – ფეხბურთელთა თანამდგომი, ნინო, მეან-გინეკოლოგი), ხუთი შვილიშვილი (ნინო – მსახიობი, თამარი – უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი, გივი – მე-10 კლასელი, ზვიადი – სტუდენტი, გვანცა – მე-2 კლასელი) და ერთი შვილთაშვილი...

გივი შერმადინის ხალხმრავალ ოჯახში კი დღეს დიასახლისობენ გივის მეუღლე ქალბატონი ნონა პაიჭაძე და რძალი ქეთინო გორგიშელი (ორივე მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი). გივის ოჯახს მამაკაცური ზრუნვით დასტრიალებს სიძე, ვანო ხორგუაშვილი.


როდესაც გივი შერმადინის სპორტისადმი სიყვარულზე და მისწრაფებაზე ვსაუბრობთ, ურიგო არ იქნება ისიც აღვნიშნოთ, რომ მისი გულის სწორიც გამოირჩეოდა საუკეთესო სპორტული მონაცემებით. ნონა პაიჭაძე სხვადასხვა დროს თამაშობდა კალათბურთს, მისდევდა ფარიკაობას, მძლეოსნობას და ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა როგორც ქალაქ გორის, ისე რესპუბლიკური მნიშვნელობის ტურნირებში.

გივი შერმადინი იყო მეტად რაციონალური მოღვაწეობის მომხრე და მიმდევარი. მისი ყოველი სიტყვა და გადადგმული ნაბიჯი იყო მრავალჯერ აწონილი და გათვლილი; ყოველთვის ითვალისწინებდა მომავალ დღეს, თვეს თუ წლებს და თავისი რკინისებური ლოგიკის წყალობით ხშირად აღწევდა წარმატებას ყოველდღიურ სამსახურებრივ, სამოქალაქო თუ საოჯახო საქმიანობაში.

ერთი შეხედვით გარეგნულად, მიუკარებელი კაცის შიგნით ძგერდა ფაქიზი და სათუთი გული, თავმდაბლობა, მოკრძალებულობა და კეთილის კეთების სურვილი.

ვაი, რომ უდროოდ გაჩერდა მგზნებარე და შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული კაცის გული.

ჩალაური ყარამანი



სულ 10 წლის იყო ყარამანი, როცა მისი მამა, დავითი (50 წლის ასაკში) მოხალისედ წავიდა მე-2 მსოფლიო ომის ბატალიებში მონაწილეობის მისაღებად, გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. წავიდა სიტყვებით: „...ჩემზე ნუ იდარდებთ, მალე დავბრუნდები გამარჯვებული“. არ ეწერა ალბათ დანაპირების აღსრულება და დარჩა ექვსსულიანი ოჯახი (მეუღლე, ქალბატონი ეკატერინე ბერელაშვილი და 5 შვილი, მათ შორის ოთხი გოგონა და ერთი ვაჟი – ყარამანი) მამა-მარჩენალის გარეშე.

ყარამანის მამა, დავით ჩალაური ეკლესიაში მუშაობდა მეღვინეთნედ, ხოლო 1917 წლის რევოლუციის შემდეგ იმუშავა ქ. გორის გადამამუშავებელ საამქროში.

ყარამანი დაიბადა 1932 წლის 12 ივნისს გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში. როგორც აღვნიშნეთ, ათი წლის ასაკში დაობლდა და ოჯახზე ზრუნვის ტვირთი მძიმედ დააწვა ყმაწვილის სუსტ მხრებს. სწავლის აუცილებლობაზე ოჯახში არ კამათობდნენ, მაგრამ პატარა მამაკაცმა ისიც იცოდა, რომ დაქვრივებულ დედას მხარში ამოდგომა სჭირდებოდა და დებზე მზრუნველობაც იყო საჭირო. რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა. სკოლიდან დაბრუნებული ბაღ-ვენახში გარბოდა და ქანცის გაწ-

ყვეტამდე მუშაობდა; მერე კი გვიან ღამემდე, ღამის შუქზე, ამზადებდა გაკვეთილებს და, როგორც აუცილებელი, წაიკითხავდა რამდენიმე ფურცელს არასასკოლო წიგნებიდან, სანამ ჩაეძინებოდა. ასე გაგრძელდა მისი ცხოვრება: განუწყვეტელი შრომა, სწავლა და წიგნების კითხვა. წიგნი იყო ყარამანის ცხოვრების მუდმივი და განუყრელი თანამგზავრი. გამუდმებით კითხულობდა. კითხულობდა ყველაფერს, რასაც კი მისწვდებოდა მისი ხელი და თვალი. სიხარულს ვერ მალავდა, თუ კი ვინმე წიგნს აჩუქებდა და თვითონაც დიდი სიამოვნებით ჩუქნიდა სხვებს.

ყარამან ჩალაურს ქ. გორში, სოფელ ხიდისთავში, სოფელ ტინისხიდში (დედუღეთი) და მთლიანად გორის რაიონში იცნობდნენ, როგორც ერთ-ერთ ნაკითხ, მწიგნობარ კაცს და მრავალმხრივ განათლებულს.

ბევრი ღამე გაუთენებია საინტერესო წიგნების კითხვაში. სადაც არ უნდა შეხვედროდით – ყოველთვის წიგნი ეჭირა ხელში, ან ეღო ჯიბეში. წიგნების ასეთმა თავგამოდებულმა სიყვარულმა თავისი შედეგი გამოიღო – ყარამანმა ბევრ პროფესიონალზე კარგად იცოდა ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა, კულტურა და ხელოვნება, სამოქალაქო სამართალი, ეკონომიკა და სხვა, თუმცა არც ერთ სფეროში არ ჰქონია ე. წ. დიპლომი. დიპლომი მან მიიღო საფეიქრო მრეწველობის შესწავლის შემდეგ, რასაც მოჰყვა მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში (ცვლის ოსტატად, საამქროს უფროსად და ა. შ.).

საოცრად ენაკვიმატი და მოწესრიგებული სიტყვა-პასუხის პატრონი გახლდათ ბატონი ყარამანი. მასთან საუბარი აუცილებლად მხიარულ ნოტაზე მთავრდებოდა. წარმოუდგენლად კეთილ და სტუმართმოყვარე ყარამანს ოჯახიც ასეთი ჰყავდა. გულთბილი მიღება, სახელდახელო პურმარილი, კეთილი სურვილები, ღიმილიანი თვალები, წიგნებით გადატენილი თაროები, იუმორი და უკეთესი მომავლის იმედი. ასეთი გახლავთ ყარამანის ბრწყინვალე

მეუღლისა და ორი ულამაზესი ქალიშვილის საინტერესო ცხოვრების კრედო.

ეკლესიურიც იყო ყარამან ჩალაური – იცავდა და ასრულებდა მთელ რიგ რიტუალებს და თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, ცდილობდა ევლო უფლის გზით.


ერთი საყურადღებო გარემოებაც: მამის დაკარგვის შემდეგ, ხუთი ქალის გარემოცვაში იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა და საკუთარ ოჯახშიც სამ ქალზე ფიქრი და ზრუნვა არგუნა ღმერთმა ბატონ ყარამანს.

შრომითი მოღვაწეობა ყარამან ჩალაურმა დაამთავრა ყრუ-მუნჯთა გორის სასწავლო-საწარმოო წამოწყებაში, სადაც მუშაობდა 1980 წლიდან.

მიმდინარე წელს ყარამან ჩალაური 75 წლის გახდებოდა რომ არა მოულოდნელი და ვერაგი ინფარქტი.

სრულიად ჯანმრთელი გარდაიცვალა 1997 წელს 65 წლის ასაკში.

ჩიტაია ბიორბი



ძნელია თვალის ერთი გადავლებით, კალმის ერთი მოსმით სრულყოფილად აღიქვა და მკითხველამდე რუდუნებით მიიტანო ნააზრებ-ნაღვაწი იმ კაცისა, რომელსაც გიორგი ჩიტაია ერქვა.

ფართო ღიაპაზონის მეცნიერ-მკვლევარი და პედაგოგი,

საზოგადო მოღვაწე გახლდათ ბატონი გიორგი. ბოლო 50 წლის განმავლობაში, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში ძალიან ხშირად ქვეყნდებოდა საინტერესო წერილები გიორგი ჩიტაიას მეცნიერული თუ პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ; ნიშანდობლივია პუბლიკაციების სათაურები: „დაუღალავი მეცნიერი“, „ღვაწლმოსილი პედაგოგი“, „ცოცხალი მატრიანე“, „სპორტის გულშემატკივარი“, „მოუსვენარი პიროვნება“, „მუხლ-მოუდრეკელი მუშაკი“, „მომავლის დეაწლი“, „გ. ჩიტაია და ქართული კულტურა“ და ასობით სხვა. თავად გიორგი ჩიტაია წერდა და აქვეყნებდა ასეულობით საინტერესო მასალას, წერდა უწყვეტლად, ენერგიულად და საინტერესოდ. ეწერებოდა ბატონ გიორგის ორი ძირითადი მიზეზის გამო: მეცნიერული და სხვა ცხოვრებისეული სიახლეებითა და შესაშური გამოცდილებით გაჯერებული ბობოქარი მისი ბუნება ითხოვდა სულიერი დადებითი მუხტის გამომზეურებას და იმიტომ, რომ კარგად იცოდა „რასაცა გასცემ...“ და ისიც გასცემდა უხვად და უანგაროდ, რადგან, როგორც თვალსაჩინო პედაგოგმა, დიდი ხნით ადრე ირწმუნა, რომ მომავალი თაობების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა, გარკვეულწილად, დაფუძნებულია წარსულის ცოდნაზე, სხვათა მიღწევების გათავისებაზე, კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებაზე. რომელსფეროს არ მისწვდენია ბატონი გიორგის დახვეწილი გონება და გამრჯე კალამი: თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკა, თეორიული მექანიკა, ფილოსოფია, ტექნიკის მიღწევები, მათემატიკის ისტორია, მათემატიკური ლოგიკა, პედაგოგიკა, ისტორია, კულტურა, ხელოვნება, სპორტი, სოციოლოგიური პრობლემემატიკა და მრავალი სხვა.

გიორგი ჩიტაია იყო უნივერსალური განათლების მქონე პიროვნება, საოცრად საინტერესო მოსაუბრე, არაჩვეულებრივი ადამიანური სითბოთი და მაღალი ზნეობრივი თვისებებით შემკობილი. მის საინტერესო ლექციებს და მოხსენებებს ისმენდნენ დიდი ყურადღებით, ამასთან თა-

ვისუფლად და გამართულად კითხულობდა რუსულ ენაზე. მას აუდიტორია არასდროს მოკლებია, მას იწვევდნენ მონათესავე უმაღლეს სასწავლებლებში, კვლევით-სამეცნიერო დაწესებულებებში, სკოლებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო ნაწილებში.

რთული და ღრმადშინაარსიანი ცხოვრების გზა აქვს გავლილი ბატონ გიორგი ჩიტაიას. ბევრი მეცნიერული თუ ყოფითი პრობლემა გადაუღალა და ბევრი სასიხარულო და საზეიმო დღეებიც ჰქონია: რამდენიმე მრგვალთარიდიანი იუბილე, მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება, პირველი სამეცნიერო შრომის გამოქვეყნება, ცხოვრების ერთგულ თანამგზავრთან ერთად ოჯახის შექმნა, სამი ძეობა (ბადრი, ზურაბი, გიორგი), შვიდი შვილიშვილით გამდიდრება, ვერცხლისა და ოქროს ქორწილები, შვილებად გათავისებული რძლები და რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია – საზოგადოების მხრიდან მისადმი გულწრფელად გამოხატული ნდობა, პატივისცემა და სიყვარული.

სად, როდის და როგორ ეყრებოდა საფუძველი გიორგი ჩიტაიას ფენომენს?

დაბადებულია ქ. თბილისში 1913 წლის 15 სექტემბერს. ადრე დაობლებულია (4 წლის) და მის აღზრდა-განსწავლულობაზე პასუხისმგებლობა აუღიათ ბიძას (ნიკიტა ჩიტაიას) და მამიდას (ანასტასია ჩიტაიას), რომლებიც ქ. ფოთში ცხოვრობდნენ. სწავლაც ფოთის საშუალო სკოლაში დაუწყო. მოგვიანებით ჭაბუკი გიორგი (12 წლის) თბილისში გადმოუყვანიათ და აქ უკვე მის მომავალზე ზრუნვის დიდი ტვირთი თავის თავზე აუღიათ აკადემიკოს გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას და მის მეუღლეს, აკადემიის წევრკორესპონდენტს ქალბატონ ვერა ბარდაველიძეს. აქედან იწყება ბატონი გიორგი ჩიტაიას გზა მეცნიერებისაკენ, მისი ნიჭისა და გარჯის დამსახურებულ აღიარებამდე.

აღსანიშნავია მეტად მნიშვნელოვანი გარემოება. გიორგი ჩიტაიას აღზრდა-განათლება (სკოლიდან ვიდრე მეც-

ნიერულ მომწიფებამდე), ცხოვრება და მუშაობა უწევდა ისეთი აღიარებული მეცნიერების ზედამხედველობით და კოლეგიალობით, როგორებიც იყვნენ ნ. მუსხელიშვილი, ვ. კუპრაძე, გ. ჭოლოშვილი, ევ. ხარაძე, ი. ვეკუა, დ. დოლიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ა. ჩახტაური, ა. რუხაძე, პ. ზერავია, ნ. კეცხოველი, მ. მირიანაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი და მრავალი სხვა.

აი, სად იღებს სათავეს ბატონი გიორგი ჩიტაია, როგორც მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

გიორგი ჩიტაიამ თავისი შრომითი კარიერის უდიდესი ნაწილი გაატარა ქ. გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ (მოგვიანებით ეკონომიკურ) ინსტიტუტში. მანამდე კი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა და ლექციებს კითხულობდა თბილისში, ქუთაისში და ა.შ.

გორის ინსტიტუტში იგი თითქმის 20 წლის განმავლობაში იყო ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი. პარალელურად კითხულობდა ლექციებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და პრაქტიკული მონაწილეობით შეიქმნა და აღიჭურვა რამდენიმე თანამედროვე ლაბორატორია. ინსტიტუტში მუშაობის წლებში (თითქმის 40 წელი) დაიწერა ბატონი გიორგი ჩიტაიას აღიარებული შრომები: „ფიზიკის ისტორიიდან საქართველოში“, „ფიზიკის ისტორიის შესავალი“, „ფიზიკის მეთოდოლოგია“, „მათემატიკის ისტორია საქართველოში“, „ნარკვევები მექანიკაზე“, „მათემატიკის ისტორიის კურსი“, „ფიზიკა ფიზკულტურელებისათვის“, „ტექნიკის ისტორია საქართველოში“, „მსოფლიო ტექნიკის ისტორიის კურსი“ და ა. შ. შრომების ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია ტექნიკური სფეროდან. მრავალი ნარკვევი, ბროშურა თუ პუბლიცისტური წერილი გამოაქვეყნა ბატონმა გიორგიმ ისეთ დარგებში, როგორიცაა ლიტერატურა, კულტურა და ხელოვნება, სპორტი და ა. შ. და ყოველივე ამას იგი თავის ნიჭიერებას და უნარს კი არ მიაწერს, არამედ იმას,

რომ (როგორც თავად წერს ავტობიოგრაფიაში) მასზე სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა ისეთ ადამიანებთან ახლო ურთიერთობამ, როგორიცაა: გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ი. ნონეშვილი, ს. ახმეტელი, გ. ქიქოძე, მ. ჭიაურელი, მ. კალატოზიშვილი, ნ. ვაჩნაძე, კ. მარჯანიშვილი, ს. ქობულაძე, უ. ჯაფარიძე, ბ. პაიჭაძე, გ. გაგუა და მრავალი სხვა.

დიდი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა გიორგი ჩიტაიას მოღვაწეობა კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე, სადაც მან იმუშავა თითქმის 20 წელი. ამ უნივერსიტეტის მიღწევებზე თავის მოწინავეში წერდა საბჭოთა კავშირის მთავარი გაზეთი „პრავდა“.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობისათვის გიორგი ჩიტაიას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, საპატიო სიგელი, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ლაურეატობა, საკავშირო და რესპუბლიკური ფულადი პრემიები და სხვა.

ქ. გორის ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონზე, ერთ დროს, იყო ასეთი ტრადიცია (გასული საუკუნის 70 წლები): სანამ თამაში დაიწყებოდა, ადგილობრივი რადიოთი გადმოიცემოდა საინფორმაციო მასალა სტუმარი გუნდის ქვეყნის (ქალაქის) ისტორიიდან – გეოგრაფიის, ეკონომიკის, კულტურის, ლიტერატურის, მრეწველობის, მეურნეობის, ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, სპორტისა და თქვენ წარმოიდგინეთ, სამზარეულოს შესახებაც კი.

ამ საინტერესო ტრადიციის ავტორი გახლდათ ბატონი გიორგი ჩიტაია.

ასეთი გახლავთ, ძალიან მოკლედ, ჩვენთვის ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანის ცხოვრებისეული და მეცნიერული შტრიხები.

იმედია სპეციალისტები დაინტერესდებიან გიორგი ჩიტაიას პირადი არქივით და უფრო ვრცლად წარმოაჩვენენ მის პიროვნებას, რითაც ხელს შეუწყობენ მისი სსოვნის უკვდავებას.

ჩუბინიძე მერაბი

„...ოღონდ კაცი იყავი და სადაც გინდა იქ ილოცე...“

უძნელესი პროფესიაა იურისტობა. იურისტს მოეთხოვება არა მხოლოდ კანონების ზედმიწევნით კარგად ცოდნა, არამედ მათი სწორი და ადეკვატური გამოყენებაც.

არცერთი პროფესიის სპეციალისტს, თავის საქმიანობაში, არა აქვს შეცდომის დაშვების უფლება, განსაკუთრებით კი იურისტს, რომლის დაუდევრობამ, უპასუხისმგებლობამ ან არაობიექტურობამ შეიძლება ტრაგედიად აქციოს ადამიანის ცხოვრება და არა მხოლოდ ერთი ადამიანის, არამედ მის ზურგს უკან მდგომი ათეულობით პიროვნებისა. მეტად მნიშვნელოვანია მაღალი თანამდებობის მქონე იურისტების (მოსამართლე, პროკურორი, დამცველი და ა. შ.) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი – აი, ზუსტად აქ და ზუსტად ამ დროს იჩენს თავს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა შესაბამისი ცოდნა, გამოცდილება, მიუკერძოების უნარი, ჰუმანიზმი, დახვეწილი ლოგიკა და კანონმორჩილება დაწესებულ ჩარჩოებში. მაგრამ კანონი სტრიქონებისაგან შესდგება და სტრიქონებს შორისაც ბევრი რამის წაკითხვა შეიძლება – გააჩნია ადამიანს...“

ზოგიერთისთვის სასჯელის ინტერვალის (6-დან 12-მდე) ორივე ზღვარი ცოტაა და მისი გაზრდის სურვილით იწვის, ზოგისთვის კი ეს ორი ზღვარი მეტად დიდია და მათი მინიმუმამდე დაწვეის მომხრეა.

განსხვავებულია მიდგომა, რადგან თვითონ ადამიან-



ები არიან განსხვავებულნი, თუმცა კანონის მიერ აღიარებულ დოგმატურ არგუმენტებს ვერსად გაექცევი. და მაინც ადამიანების ფაქტორს შეუძლია გადაულახავის გადალახვა, შედარებით სასიკეთო გამოსავლის მონახვა, მოვლენების ჰუმანური ინტერპრეტაცია ისევ და ისევ ობიექტურობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებიდან გამომდინარე.

მერაბ ჩუბინიძე გახლდათ ის კაცი, რომელიც ყოველთვის, ნებისმიერ თანამდებობაზე (პროკურორი, სასამართლოს თავმჯდომარე, პროკურორის მოადგილე, თუ თანაშემწე, გამომძიებელი თუ მრჩეველი...) ცდილობდა და აღწევდა კიდევ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც აკმაყოფილებდა ყველა მხარეს და რათქმაუნდა კანონსაც. ამის გაკეთების უნარი და სურვილი ბევრ იურისტს, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი გააჩნია?!

იყო ყველას წინაშე მართალი და არც კანონს გადაუხვიო – ძნელი საქმეა, მითუმეტეს ისეთ პატარა ქალაქში (რაიონში, დაბაში) როგორიცაა გორი, ცხინვალი, საგარეჯო, ქარელი, სადაც ყველა ერთმნეთს იცნობს და ყველა ერთმანეთის ნათესავია (თითქმის).

სწორედ, რომ სტრიქონებს შორის კითხულობდა ბევრ რამეს მერაბ ჩუბინიძე და არამარტო კითხულობდა, არამედ დასკვნებიც გამოჰქონდა შექმნილი ვითარების აღგებატურად.

ცნობილ მიზეზთა გამო, საზოგადოებას მაინცდამაინც „გულზე არ ეხატებოდით“ მოსამართლეები თუ პროკურორები, მაგრამ მერაბ ჩუბინიძე ხალხს უყვარდა, მის სახელს ყოველთვის პატივისცემით წარმოსთქვამდნენ. ასეთ აღიარებას დამსახურება უნდა და მერაბმა ეს შესძლო, დიას შესძლო თავისი ცოდნით, გამოცდილებით, კაცთმოყვარეობით, ობიექტურობით, სიმტკიცით და მიზანსწრაფულობით.

მერაბ ნიკოლოზის ძე ჩუბინიძე დაიბადა ქ. გორში 1945 წლის 14 დეკემბერს. გორის მე-6 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ვორონეჟის ტექნოლოგიურ

ინსტიტუტში, მერე აქვე უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე, ხოლო ბოლოს იურიდიულ ფაკულტეტზე (მიაგნო თავის მოწოდებას და გახდა იურისტი). სწავლის პერიოდში იგი იყო ხან მუშა, ხან ელექტრიკოსი, ხან ბინათმართველობის რიგითი მუშა და ხანაც ინსტრუქტორი კვალიფიკაციის ამადლების ინსტიტუტში (ქ. გორონეჟი).

1972 წლიდან დაიწყო შრომითი მოღვაწეობა თავისი ძირითადი პროფესიით და თითქმის ოცდაათი წელი კეთილსინდისიერად ემსახურა კანონიერებისა და სამართლიანობის დაცვას.

ამ ხნის განმავლობაში იგი მუშაობდა სტაჟიორ-გამომძიებლად (თბილისის პროკურატურა), გამომძიებლად (საგარეჯოს პროკურატურა), გამომძიებლად (ხელვაჩაურის პროკურატურა), პროკურორის თანაშემწედ (გორის რაიონი), პროკურორად (გორის რაიონი), პროკურორის თანაშემწედ (სამხრეთ ოსეთის ოლქი), პროკურორის თანაშემწედ (დ. ქარელი), სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ (გორის რეგიონი) და ა. შ.

მერაბი დაიბადა პედაგოგის ოჯახში და აკი მთელ მის შრომით მოღვაწეობასაც სწორედ რომ ემჩნეოდა პედაგოგისათვის დამახასიათებელი აღმზრდელობითი მეთოდებით სარგებლობის მცდელობა, მითუმეტეს, როცა საქმე ეხებოდა ახალგაზრდა სამართალდამრღვევებს.

სისტემატური მოუცლელობის მიუხედავად, მერაბი მაინც ახერხებდა გამოენახა დრო და თავის ახლობელ-მეგობრებისათვის მიენიჭებინა ერთადყოფნით გამოწვეული სიხარული და სიამოვნება. მის საზოგადოებაში მყოფნი თავს გრძნობდნენ თავისუფლად, მხიარულად და რაც მთავარია – იმედიანად. კარგი მოლხენა იცოდა მერაბ ჩუბინიძემ და იუმორითაც იწონებდა თავს. იგი არასდროს გაურბოდა „უბრალო“ ადამიანებს და მათ წრეში ყოფნას სიამოვნებით ელტვოდა.

როგორც ნიჭიერმა და დაუზარელმა კაცმა, მან მალე მიაღწია იურისპრუდენციის მაღალ თანამდებობებს,

კერძოდ 1994 წლის 23 ივნისს სახელმწიფოს მეთაურის №208 ბრძანებით მერაბ ჩუბინიძეს მიენიჭა „იუსტიციის პოლკოვნიკის“ მაღალი წოდება.

მერაბ ჩუბინიძეს მიღებული ჰქონდა არაერთი ჯილდო, მადლობა, თუ საპატიო სიგელი, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ჯილდო იყო ხალხის სიყვარული, ხალხისა, რომელსაც იგი უანგაროდ ემსახურა თითქმის 30 წლის განმავლობაში. 2001 წლის 5 სექტემბერს მერაბიმ, მოულოდნელად, დატოვა ამქვეყნიერება და სანუგეშოდ დაგვიტოვა მშვენიერი ოჯახი: მეუღლე ქალბატონი ვიოლეტა (ექიმი), შვილი – მორისი (იურისტი, ეკონომისტი), შვილი ქეთევანი (იურისტი, ლექტორი).

ქ. გორის საზოგადოება არასოდეს დაივიწყებს სიკეთით გამორჩეულ პიროვნებას და მაღალი დონის პროფესიონალიზმით მოღვაწე ადამიანს.

წკრიალაუშვილი იოსები (სოსო)

ცნობილი პოეტი მ. ლვოვი წერდა:

„რომ მამაკაცად თავი იგრძნო და კაცი გერქვას – მამრად გაჩენა საკმარისი სულაც არ არის, სიმტკიცით უნდა გაუტოლდე მუხას და ძელქვას და თავგანწირვაც არ უკვირდეს შენი არავის! ერთხელ, უთუოდ, ისარგებლებ ამ იარაღით, და სწორედ მაშინ, როცა ამას საჭიროდ ჩათვლი – მამაკაცი კი, თუ თავს სწირავს მზერით ამაყით, საუკუნეებს შემორჩება უკვდავი მადლით“. (თარგ. ვ. ჭანკოტაძემ)




და შეაბიჯა უკვდავებაში გორის რაიონის სოფელ შავშვების გაზრდილმა ვაჟკაცმა იოსებ (სოსო, აკაკი) წკრიალაშვილმა. ეს მოხდა 1993 წლის 22 სექტემბერს აფხაზეთის სოფელ გვარდასთან. მანამდე კი იყო მეუღლის სახელზე ნაჩქარევად დაწერილი რამდენიმე სტრიქონი.

იოსებ (სოსო, აკაკი) წკრიალაშვილის ცხოვრება, ერთი შეხედვით, თითქოს არაფრით განსხვავდებოდა მისი ათასობით თანატოლის ცხოვრებისაგან, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. როგორც მოვლენები გვიჩვენებს, იოსების პიროვნებაში, ბავშვობის ასაკიდანვე თოვლის გუნდასავით გორდებოდა და იზრდებოდა ვაჟკაცური მუხტის მატარებელი და რაინდული სულისკვეთებით გაჟღენთილი კაცური მეობა.

გროვდებოდა თანდათან, ყოველწუთიერად და ყოველდღიურად და თითქმის მართლაც და შეუმჩნეველად – მაგრამ ყველაფერი გაცხადდა და გამხეურდა სწორედ მაშინ, როცა სამშობლოს კეთილდღეობისათვის იყო ყველაზე მეტად საჭირო.

იოსები (სოსო) დაიბადა 1955 წლის 27 მარტს გორის რაიონის სოფელ შავშვებში, მშრომელ ოჯახში. და ა ა მ თ ა გ რ ა ამავე სოფლის საშუალო სკო-



ლა, შემდეგ ქ. წულუკიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი. ოცი წლის ასაკში მუშაობა დაიწყო გორის მეღობრობისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოში ტექნიკოს-ნორმადარად. შემდეგ კი თავისი სპეციალობით თითქმის თორმეტი წლის განმავლობაში იმუშავა „მტკვარწყალმშენის“ მექანიზაციის სამმართველოში.



გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ცა მოიქუფრა ავისმომასწავებელი შავი ღრუბლებით. წარმოუდგენელი აღვირახსნილობით გათავსდნენ ოსი და აფხაზი სეპარატისტები – ისინი გრძნობდნენ რუსეთის რეაქციული წრეების აშკარა მხარდაჭერას და მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას – საქართველოსაგან გამოყოფას.

დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის. ათასობით ახალგაზრდამ აიღო ხელში იარაღი და გაეშურა საბრძოლველად ჯერ სამაჩაბლოში, ხოლო შემდეგ აფხაზეთში.

ყველა სამხედრო პროფესია რთულია და საპასუხისმგებლო, ყველაფერს სჭირდება ცოდნა და გამოცდილება და რაც მთავარია, სიმამაცე, ცივი გონება და თავგანწირვის უნარი.

იოსებ წკრიალაშვილმა აირჩია ერთ-ერთი რთული პროფესია – ტანკისტობა და უშუალო ბრძოლებში ჩაბმამდე მომზადება გაიარა გორის სასწავლო სატანკო ნაწილში. უკვდავებამდე სულ რაღაც ხუთიოდე თვე რჩებებოდა. და აი უკვე 1993 წლის 18 და 20 სექტემბერს წკრიალაშვილების ოჯახმა მიიღო სანგრებისა და ტყვია-წამლის სუნით გაუღენთილი (როგორც არმოჩნდა უკანასკნელი) წკრიალაშვილები იოსების ხელით დაწერილი.

ქვეყნის უმაღლესი რანგის სამხედრო ჯილდოებს

უბრალოდ და შემთხვევით არ იძლევიან და მაინც, როგორ მარტივად და ლაკონურად უღერს ე.წ. საბრძოლო მოკვლევაში (ხელს აწერს სასწავლო ცენტრის უფროსი გ. იუკურიძე) სიტყვები: „...საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისთვის და დამოუკიდებლობისთვის ერთ-ერთი საომარი ოპერაციის შესრულების დროს დაიღუპა გმირულად“

რამდენი რამ იკითხება სტრიქონებს შორის – მამაცობა, თავგანწირვა, ზურგსუკანმდგომი სამშობლოსა და ოჯახის სიყვარული, უკეთესი მომავლისკენ მზერა, თანამებრძოლთა დაცვა, კაცობრიობისა და ფიცის ერთგულება...

იოსები (სოსო) დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ), ხოლო მის აღმზრდელ შავშვების საშუალო სკოლას, ქ. გორის რაიონის გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მიენიჭა იოსებ დიმიტრის ძე წკრიალაშვილის სახელი...

იოსების მეუღლეს, ქალბატონ სოფო ტერაშვილ-წკრიალაშვილს მარტოდ მოუწევს უმამოდ დარჩენილი დიმიტრისა და ნათიას დაფრთიანება და საქართველოს სრული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე დაყენება, გზაზე, რომლის გაკვალვასაც გმირულად შეეწირა მათი მამა.

იოსებ (სოსო) დიმიტრის ძე წკრიალაშვილს სამუდამო სასუფეველი მადლიერმა საზოგადოებამ მშობლიურ სოფელში დაუმკვიდრა.

2002 წლის 23 ნოემბერს ზურაბ ვაშალომიძე წერდა: „... შავშვები მადლიანი სოფელია. მადლიანი ხალხი ცხოვრობს. ისიც იციან, რა კაცი დაკარგა სოფელმა და რა უნდა გააკეთონ... ცხოვრების აპურები უჭერენ უმამო ბავშვებს, მაგრამ მზე ისევ გამოანათებს და ბავშვები გავლენ დიდ გზაზე, რომელსაც ახალი საქართველო ჰქვია. მანამდე კი დგას და იდგება იოსებ წკრიალაშვილის სახელობის საშუალო სკოლა! ამ სკოლაში პირველი გაკვეთილი სამშობლოს სიყვარულით იწყება!“

ხოჯევანიშვილი სიმონი (სიკო)



სიმონ იაკობის ძე ხოჯევანიშვილი დაიბადა 1915 წლის 19 დეკემბერს. დაწყებითი განათლება მიიღო ახალციხის პირველ საშუალო სკოლაში. შემდეგში, ხოჯევანიშვილების ოჯახი საცხოვრებლად მკვიდრდება ქ. ქუთაისში, სადაც სიკო ხოჯევანიშვილმა წარმატებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ბიოლოგიის სპეციალობით და იქვე აგრძელებს მუშაობას კათედრაზე.

1938 წლიდან ს. ხოჯევანიშვილი სწავლას აგრძელებს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურაში უხერხემლოთა ზოოლოგიის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე იცავს დისერტაციას და ღებულობს ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს.

1941 წლიდან მუშაობას იწყებს ქ. გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1942 წლიდან იგი იკავებს დოცენტის თანამდებობას და იწყება ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა.

გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ს. ხოჯევანიშვილი, სხვადასხვა დროს იყო ფაკულტეტის დეკანი, კათედრის გამგე და პრორექტორი სამეცნიერო დარგში. მისი მეცნიერული მოღვაწეობა, ძირითადად ეძღვნება საქართველოს

მოდუსკების შესწავლას. იგი თანაავტორია მთელი რიგი წიგნებისა, როგორცაა: „უხერხემლოთა ზოოლოგიის პრაქტიკუმი“, „ზოოლოგია. მოკლე კურსი“ და სხვა.

ს. ხოჯევანიშვილი სამეცნიერო და პედაგოგიურ სამუშაოს კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც – სხვადასხვა დროს ირჩევენ პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად, აღმასკომის წევრად და ა. შ.

სიმონ (სიკო) ხოჯევანიშვილს მინიჭებული ჰქონდა ქ. გორის საპატიო მოქალაქის მაღალი წოდება. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და მრავალი სხვა სახელმწიფო ჯილდოთი თუ საპატიო სიგელით, არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ს. ხოჯევანიშვილის მრავალრიცხოვან შთამომავლობას (სამი შვილი, ექვსი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი) სრული საფუძველი აქვს იამაყოს მამის, პაპის და დიდი პაპის მიერ განვლილი ცხოვრებით.

1998 წელს უბედურება დაატყდა თავს ბატონ სიკოს – გარდაეცვალა მეუღლე, ქალბატონი ნადია სადალაშვილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სიმონის ქალიშვილი ელისო, რძალი დოდო და სიძე ფელიქსი არიან მეცნიერ-მუშაკები და მუშაობენ დოცენტებად, კითხულობენ ლექციებს და ისევე, როგორც სიკო, ემსახურებიან ახალგაზრდობის აღზრდის და განათლების საქმეს.

2000 წლის დეკემბერში, დაბადებიდან 85 წლის თავზე, ბატონმა სიკო ხოჯევანიშვილმა ბევრი მილოცვა მიიღო. მადლიერმა გორის საზოგადოებამ არ დაიშურა ტკბილი სიტყვები, აღფრთოვანების მისალმებები და სიყვარული ადამიანისადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა მეცნიერების განვითარებას და განათლებული ახალგაზრდობის აღზრდას.

„...უხდება გორს ბატონი სიკო. იგი მრავალი ჯილდოსა და მედლის კავალერია, მაგრამ ყველაფერი კარგავს ფასს იმ დიდი სიყვარულის ფონზე, რასაც ის ადამიანებისაგან

იღებს. მის ძარღვებში მამულის სიყვარულში დამშვრალი კაცის სისხლი სჩქევს...“ (ნ. კახნიაშვილი).

„...არასდროს დაგვაფიწყდება ბატონი სიკოს უდიდესი მზრუნველობა და ამაგი. იგი გვიყვარდა, ვაღიარებდით და შესაფერის პატივს მივაგებდით...“ (ა. კობერიძე).

„...მიაბიჯებს მხნედ და წელგამართულად ყოველდღიურად უნივერსიტეტისკენ ბატონი სიკო. კაცი ამშვენებს ქალაქს...“ (გ. ხაჩიძე).


„ოთხმოცდახუთი ვინა თქვა,
ქორონიკონში ვცდებოლ...
ასეთი რამე გინახავთ?

ვერას აკლებენ წლებიო! (დალი დადიანი. სიკო ხოჯევანიშვილის ყოფილი სტუდენტი).

ვაი, რომ წლებმა თავისი მაინც გაიტანა. ვეღარ ვხედავთ გორის ქუჩებში წელგამართულად მოსიარულე დიმილიან კაცს. სამარადისო ხსოვნა სიკო ხოჯევანიშვილის სახელს!

ხუციშვილი ედიკა

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცხოვრობენ ხუციშვილები. გორშიც ბევრია ამ გვარის მატარებელი (ღმერთმა ამრავლოს!). გვარის წარმომავლობაზე



საუბარი შორს წაგვიყვანდა, მაგრამ არ იქნებოდა ურიგო, თუ ედიკ (ედვარდ, ელდარ) ხუციშვილის უახლოეს წინაპრებს გავაცნობთ მკითხველს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის შუა პერიოდში ქ. გორის ე.წ. ციხის უბანში ცხოვრობდა გიორგი ხუციშვილისა (ხელობით დურგალი) და პელაგია ტლაშაძის მრავალშვილიანი (იოსებ, ელიოზი, ნიკო, სოლომონი, ლევანი, მარეხი) ოჯახი. შიდა ქართლში (და არა მარტო) ხუციშვილებს იცნობდნენ, როგორც მოწინავე ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს – განსწავლულებს, მაღალი შინაგანი კულტურისა და უაღრესად დახვეწილი გემოვნებით, ასევე პატიოსნებით, ზრდილობითა და პატრიოტიზმით გამორჩეულ ადამიანებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ხუციშვილი უზომოდ იყო შეყვარებული თავის მშობლიურ მიწაწყალზე და ფეხით ჰქონდათ შემოვლილი მისი ყველა კუთხე-კუნჭული. გიორგი ხუციშვილის შვილთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ნიკოლოზი (ედიკას მამა), რომელიც მოგზაურობდა ველოსიპედით – სად არ უნახავთ იგი გორელებს: კახეთში, აჭარაში, რაჭაში, იმერეთში და ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი.

ედიკა ხუციშვილი დაიბადა 1926 წლის 29 ივნისს. ედიკას დედა გახლდათ მარიამ გელდიაშვილი ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ხოდაშენიდან.

ქალბატონ მარიამს (იგივე მალუცა – ასე ეძახდა მეუღლეს ბატონი ნიკოლოზი ხშირად) დაუმთავრებია დაწყებითი სკოლა და ხელსაქმის სასწავლებელი (საუკეთესოდ ქარგავდა, ქსოვდა და კერავდა). ედიკას მამა – ნიკოლოზი ყოფილა მაღალი კვალიფიკაციის ბუღალტერი და რუსული ენის ზედმიწევნით კარგი მცოდნე. ამავედროულად ნიკოლოზი კარგი მომღვინე და მომღერალიც ყოფილა, განსაკუთრებით უყვარდა სუფრული სიმღერები.

აი, ასეთი მშობლები ჰყავდა ედიკ ხუციშვილს, რომელსაც ჰყავს ძმა მირიანი (82 წლის, მუშაობს საქა-

რთველოს, სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში; პროფესიით ისტორიკოსი). და უმცროსი და სესილი ხუციშვილი-გვერდ-წითელისა (70 წლის. ცხოვრობს გორში).

ელიკ ხუციშვილმა გორის ვაჟთა პირველი სკოლის შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და შეუდგა მუშაობას. სად არ გადაისროლა იგი ცხოვრებამ: გაზეთ „სტალინელის“ რედაქცია, პარტიის საქალაქო კომიტეტი (განყოფილების გამგე), გორის საკონსერვო ქარხანა, უსინათლოთა საზოგადოება (თავმჯდომარე), „გორვაჭრობა“ (დირექტორი), სასტუმრო „ინტურისტისტი“ (დირექტორი), გორის წისქვილკომბინატი და ა. შ. რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი იყო მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება.

ამასობაში ელიკა ხუციშვილმა შექმნა ლამაზი ქართული ოჯახი თავისი ცხოვრების სატრფიალო ქალიშვილთან, მაყვალა კლიმიაშვილთან ერთად. ოჯახს შეეძინა ორი უმშვენიერესი გოგონა მარიკა და ნინო.

მარიკაც და ნინოც ამჟამად ბედნიერი ოჯახების ბედნიერი დედები არიან და ზრდიან ოთხ ქალიშვილს (სოფო, ანა, ქეთი, მარიკა) მეუღლეებთან მერაბ ელბაქიძესა და ალ. თურაზაშვილთან ერთად. ქეთის თავისმხრივ ჰყავს ორი ვაჟიშვილი, ისე რომ ელიკა ხუციშვილს ჰყავს უკვე ორი შვილთაშვილი. სამწუხაროა, რომ დიდი პაპა ვერ ტკბება მათი ბავშობით.

მრავალ სხვა გატაცებათა შორის ელიკა ხუციშვილისთვის პოეზიაც ძალიან საყვარელი ყოფილა და მრავალი კარგი ლექსიც დაუწერია თურმე. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის, როდესაც მისმა მეგობრებმა გამოსცეს ელიკას ლექსების კრებული (1997 წ. „გახსოვდეს“).

ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა სატრფიალო ხასიათისაა და როგორც ახლო ნათესავები ამბობენ, მიძღვნილია ელიკას ერთადერთი სიყვარულის, ქალბა-

ტონ მაყვალა კლიმიაშვილისადმი:

„...თოვლის სვლასავით წყნარო,
ფიფქივით სიფრიფანავ,
სიკვდილ-სიცოცხლის წყაროვ –
ამ გულმა შეგიყვარა...“

და კიდევ:

„...ვერ შემაჩერებს შენკენ მომავალს
თოვლის ფანტელის კორიანტელი...
ვერ შემაჩერებს, რადგან ონავარს
ტუჩებით მომაქვს კოცნა ამდენი...“

ელიკა ხუციშვილის ერთი ლამაზი შტრიხი: იგი ქუჩაში შემხვედრს ესალმებოდა განსაკუთრებული მოწიწებით, წამიერად შეჩერდებოდა, ოდნავ გაიღიმებდა, მოიხდიდა განუყრელ შლაპას და თავსაც ოდნავ დახრიდა... აი, ჭკმ-მარიტი დარბაისელი კაცის მისაბაძი მისალმების ნიმუში.

შვილები იგონებენ, თუ მამა როგორი გატაცებითა და დიდი სიამოვნებით უკითხავდა ხოლმე მათ ვალაკტიონ ტაბიძის, ტიცციან ტაბიძის, მუხრან მაჭავარიანის და სხვათა ლექსებს. როგორც თითქმის ყველა ხუციშვილი – ელიკაც შეყვარებული იყო ბუნებაზე, მთებზე, ველ-მინდვრებზე, ტყეზე:

„...აბა შენ რა კაცი ხარ
მთა-ველს თუ არ აღმერთებ,
ანდა ვერ გამოარჩევ
ბარდა-ეკლებს იაში!?
მთა თუ გიყვარს-ნაღდი ხარ,
(მისი აღმართ-დაღმართი),
ტყეში უნდა შეხვიდე,
როგორც ეკლესიაში.“

საქართველო ფეხით ჰქონდა შემოვლილი. ტყესთან მისი ყოველი შეხება მთავრდებოდა სასიკეთო საქმით: მოაწყობდა წყაროს, შეაკეთებდა ეკლესიას, გამართავდა სკამს ან მაგიდას ხის ძირში და ა. შ. ვერ ეგუებოდა ადამიანებს, რომლებიც აბინძურებდნენ ტყეს – თვითონ ქალაქის ნაგლეჯსაც კი არ დატოვებდა მწვანე მოლ-

ზე მიმოხედავს.

ედიკა ხუციშვილი დიდი სიკეთით, სათნოებით და კაცთმოყვარეობით იყო ცნობილი – პირადს არად ჩათვლიდა, ოღონდ სხვისთვის მიეცა შეება.

ერთხელ, ცივ და ქარიან ზამთრის ღამით, გზაზე შეამჩნია დავარდნილი კაცი, რომელიც სისხლისგან იცლებოდა. ჩასვა მანქანაში, შეტრიალდა უკან, თბილისისკენ და საავადმყოფოში იმდენ ხანს დარჩა და უპატრონა უცნობს, სანამ ექიმებმა სიცოცხლე არ დაუბრუნეს ავტომანქანის დარტყმით დაჩეხილ მამაკაცს.

ედიკა ხუციშვილი ხშირად გამოსულა თავისი მანქანით წვიმიან თუ თოვლ-ქარიან ამინდში ერთ-ერთ შვილთან ერთად, რათა შემოეველო ქალაქი და სახლებში წაეყვანა მოხუცები, თუ პატარა ბავშვებიანი ქალბატონები. აი, ნამდვილი კაცთმოყვარეობისა და რაინდობის თვალსაჩინო მაგალითები.

დღეს იშვიათადღა შეხვდები ისეთ კეთილშობილურ კაცს, როგორც იყო ედიკა ხუციშვილი. ედიკას ნათესავებში არსებობს ეჭვი, რომ ექიმების გარკვეული უყურადღებობის გამო, 1983 წლის 9 ივნისს გარდაიცვალა ავტოავარიაში მოხვედრილი, სიკეთით აღსავსე კაცური კაცი. მსუბუქი იყოს მისთვის მკერდზე დაყრილი მიწა.

ჯაფარიძე ჯუმბერი (ჯუბო)

ბევრ ოჯახს დაამჩნია თავისი მსახვრალი ხელი მეორე მსოფლიო ომმა. ასეთ ოჯახთა რიცხვს განეკუთვნება ჯუბო ჯაფარიძის ოჯახი. მისი მამის, გიორგის უკანასკნელი წერილი ქერჩიდან იყო გამოგზავნილი. მაშინ ჯუბო 6 წლის იყო, ხოლო მისი უმცროსი ძმა, რობერტი – სულ შვიდი თვის.

ჯუბო ჯაფარიძე დაიბადა 1934 წელს ქ. გორში. მისი მამა გიორგი ორ ძმასთან და დასთან ერთად სვანეთიდან ჩამოსახლებულან გორის რაიონის სოფელ მერეთში. გიორგის 16 წლის ასაკში დაუწვია მუშაობა გორში

და მალე პატიოსანი და გამრჯე კაცის ავტორიტეტიც დაუმსახურებია; ამავე დროს იგი (გიორგი) იუმორის დიდი ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. ჯუბოს დედა კი, ქალბატონი მარგალიტა ორჯონიკიძეების გვარისა იყო და საკმაოდ კარგად უკრავდა და მღეროდა გიტარაზე თავის სამ დასთან ერთად. მათ, თურმე დებ იშხნელებსაც ადარებდნენ.



მეულესონ

მეუღლის უგზოუკვლოდ დაკარგვის შემდეგ, ქალბატონ მარგალიტას სასიმღეროდ აღარ ეცალა, მას ორი, დაობლებული მცირეწლოვანი შვილი უნდა აღეზარდა და გზაზე დაეყენებინა, რაც არცთუ ადვილი იყო



საყვარელ პატარებთან

ომის წლებში. თუმცა, ახლა, შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონმა მარგალიტამ ბრწყინვალედ გაართვა თავი სულიერ და მატერიალურ სიძნელეებს და ორი შესანიშნავი ვაჟი აღუზარდა ქვეყანას.

ჯუბო ჯაფარიძემ დაამთავრა გორის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ მოეწყო ყაზანის სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ მიატოვა

სწავლა და დაბრუნდა გორში, რომ ოჯახს ამოსდგო-
მოდა მხარში.

მუშაობდა ქ. რუსთავში (არქიტექტურის განყოფილე-
ბაში), შემდეგ ქ. გორში (სტომატოლოგიურ კლინიკაში,
რაიკავშირის ავტოგასამართ სადგურში. წისქვილკომ-
ბინატში). სხვაგანაც მოსინჯა ბედი ჯუბო ჯაფარიძემ,
შრომობდა თავაუღებლად, რომ ოჯახს არ გასჭირვე-
ბოდა და ძმასაც დახმარებოდა განათლების მიღებაში.

ჯუბოს გარჯამ შედეგი გამოიღო – მისმა ძმამ დაამ-
თავრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-
მათემატიკის ფაკულტეტი, შემდეგ კი ლენინგრადის
(ახლა სანკტ-პეტერბურგის) მსუბუქი მრეწველობის ინ-
სტიტუტი. ამჟამად რობერტი ოჯახთან (მეუღლე, ორი
შვილი) ერთად ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. თბილის-
ში.

ჯუბო ჯაფარიძე იყო ერთ-ერთი საყვარელი პიროვნე-
ბა გორის საზოგადოებაში. დიპლომები არ ჰქონია, მა-
გრამ იყო მეტად ნაკითხი. დიდ დროს უთმობდა წიგნებს,
ჟურნალ-გაზეთებს და მხატვრობას. კარგი მხატვარი
იყო ჯუბო. თუ მამისგან დაყოლილ იუმორის ნიჭს და
დედისგან შეთვისებულ მუსიკალურობასაც გავითვალ-
ისწინებთ (ჯუბო სასიამოვნოდ მღეროდა), მაშინ აღ-
ვილი წარმოსადგენია, თუ როგორი პიროვნება იყო იგი
და რა მიმზიდველი და სასარგებლო უნდა ყოფილიყო
მის გვერდში ყოფნა.

კიდევ ერთი ნიშან-თვისება შეიძლება მოვიშველიოთ,
რათა უფრო სრულად წარმოვანინოთ ჯუბოს პიროვნე-
ბა – საკმაოდ ლოგიკური (არგუმენტირებული) საუბარი
იცოდა, იმავდროულად იყო წარმოუდგენელი ოპტიმის-
ტი. მეგობრებისათვის დახმარება და მხარში დგომა,
ხომ მისი ცხოვრების კრედი იყო (ხშირად უთქვამს
უარი პირად ინტერესებზე, ოღონდ მეგობარს განეცადა
შვება და სიხარული).

შრომა-გარჯაში შეუმჩნევლად ჩაიქროლა ოცდაშვიდ-
მა წელმა და საოჯახო იდილიის ჟამსაც უწია ჯუბო

ჯაფარიძეს.

ბრწყინვალე ქალიშვილი, თბილისელი ნორა ბიჩინაე-
ვა შეარჩია ცხოვრების თანამგზავრად და არც შემცდარ-
ა. ჯუბოსა და ნორას ოჯახში ყოველთვის იგრძნობ-
დით სითბოს, სიყვარულს და ერთგულებას. ჯუბო
ამაყობდა თავისი ოჯახით, თავისი ორი ქალიშვილით
(მაია, გორის №9 სკოლის სამუსიკო სტუდიაში მუშაო-
ბს; ქეთევანმა დაამთავრა ესტონეთის უნივერსიტეტის
სამედიცინო-სამკურნალო ფაკულტეტი, მუშაობს დაბა
ქარელში) და მეზობელ-მეგობრებით.

ზემოდ აღვნიშნეთ, რომ ჯუბო ჯაფარიძეს იუმორ-
ის კარგი გრძნობა ჰქონია და გამართულადაც მჭერმ-
ეტყველებდა. ახლობლები იხსენებენ ერთ ამბავს.

ჯუბო ჯაფარიძე თავის მეგობართან ერთად
რესტორანში სადილობს. გვერდით მაგიდასთან მჯდომ-
ნი საკმაოდ არიან შემთვრალეები და მოსაბეზრებლად
ყაყანებენ; ერთი მათგანი კი ხშირხშირად, ხაზგასმული
სიამაყით ამბობს „მე ანჯაფარიძე ვარ“, „მე ანჯაფარიძე
ვარ“, და ასე გაუთავებლად. ჯუბოს ამოუვიდა ყელში
კუდაბზიკა ახალგაზრდის ტრახხი და თვითშექება; მი-
ვიდა იმათ მაგიდასთან და მოზომილი დაბალი ხმით
უთხრა: „იცო, რას გეტყვი?! შენ ან ხარ ჯაფარიძე და
ან არა; მე კი ნამდვილად ჯაფარიძე ვარ“.

ჯუბო ჯაფარიძე ახალგაზრდობაში ტანვარჯიშით
იყო გატაცებული და საკმაოდ წარმატებებიც ჰქონდა.
უკვე ასაკში შესული კი თითქმის ყოველ დილაადრიან
აირბენდა კვერნაქის მთაზე, გაიხურებდა კუნთებს და
სუფთაჰაერნახუნთქი კმაყოფილი სახით ბრუნდებოდა
სახლში.

ერთ დღეს იგი კვერნაქიდან აღარ დაბრუნებულა. ეს
იყო 2000 წლის 16 თებერვალი.

იძინე მშვიდად, ყველასათვის სანატრელო ჯუმბერ!

ჩამონათვალი იმ პირთა, რომლებიც, მათი ახლობლების სურვილით, შესაძლოა შეტანილ იყვნენ წიგნის მეორე და მესამე ნაწილებში

- | | |
|-----------------------------|---------------------------------------|
| 1. აბაიაძე ვანო | 28. გვარაძე მელორი |
| 2. აბრამიშვილი გიორგი | 29. გობეჯიშვილი იური |
| 3. აბულაძე ლეონიდე | 30. გოგინაშვილი ენგური |
| 4. აივაზაშვილი ვანო | 31. გოცირიძე ბაგრატ |
| 5. ალავერდაშვილი თედო | 32. გიგაური გივი |
| 6. ალავერდაშვილი კოლია | 33. გიგაია კოლია |
| 7. ანანიაშვილი ამირანი | 34. გიგაური ვალიკო |
| 8. არაქელაძე ერვანდი | 35. გოზალიშვილი ალექსან-
დრე (ალე) |
| 9. არსენიძე შოთა | 36. გოლოშვილი სიმონი
(უფროსი) |
| 10. ასაშვილი ვალტერი | 37. გრიჭუროვი სტეფანე |
| 11. ასლანიშვილი სოსო | 38. დადიანიძე ვაჟა |
| 12. ახალკაცი იური | 39. დავარაშვილი ისაკი |
| 13. ბაიაძე დიმა | 40. დალაქიშვილი ოთარი |
| 14. ბეგაშვილი ავთანდილი | 41. დემეტრაშვილი ემზარი |
| 15. ბზიშვილი რეზო | 42. დვალი ნოდარი |
| 16. ბერუაშვილი დურმიშხანი | 43. დიდბერუაშვილი უშანგი |
| 17. ბიჩინაშვილი ზაური | 44. ელბაქიძე ლეო |
| 18. ბუთხუზი კოლია | 45. ეფრემიძე მირიანი |
| 19. ბუხნიკაშვილი რეზო | 46. ვარდოსანიძე პეტრე |
| 20. გაბეშია კობა | 47. ვარდოსანიძე დათო |
| 21. გაბუნია გურამი | 48. ვართანოვი გარი |
| 22. გაბუნია შოთა | 49. ზაქარიაძე გენადი |
| 23. გალუსტაშვილი
სოკრატე | 50. ზაზაშვილი სიმონი |
| 24. გამდლიშვილი ნოდარი | 51. ზენაძე ჭიჭიკო |
| 25. გეორქოვი პავლე | 52. ზურაბიშვილი შოთა |
| 26. გელდიაშვილი გიორგი | 53. თავაქალაძე კარლო |
| 27. გერგაული სოსო | |

- | | |
|-------------------------|-------------------------------|
| 54. თავზარაშვილი დავითი | 86. ლოცულაშვილი ტრის-
ტანი |
| 55. თათარაშვილი თენგიზი | 87. ლუკაშვილი თემო |
| 56. თოთლაძე შალვა | 88. მაზმიშვილი კაკო |
| 57. თოხაძე არჩილი | 89. მაისურაძე როსტომი |
| 58. იასამანოვი არმენი | 90. მაცაბერიძე სერგო |
| 59. იასამანოვი ლევანი | 91. მაღალაშვილი ილია |
| 60. ივანიძე სულიკო | 92. მაღალაშვილი სიმონი |
| 61. ინაური ლეო | 93. მაღლაკელიძე მიხეილი |
| 62. ინაური ზურა | 94. მახარაშვილი გიორგი |
| 63. იოსებაშვილი მიხეილი | 95. მახარობლიძე შოთა |
| 64. იუფეროვი იონა | 96. მაყიშვილი ყაზბეგი |
| 65. კაკლაშვილი გივი | 97. მემანიშვილი ზაალი |
| 66. კაკლაშვილი ზაქარია | 98. მექერიშვილი ვასიკო |
| 67. კასრაძე ბორისი | 99. მეცხვარიშვილი შამილი |
| 68. კარაპეტინი ჟორა | 100. მეყანწიშვილი გიორგი |
| 69. კახნიაშვილი ვასილი | 101. ნადირაშვილი სერგო |
| 70. კველიშვილი დიმიტრი | 102. ნამიჩეიშვილი გერონტი |
| 71. კვიციანიძე რობერტი | 103. ნასყიდაშვილი სიმონი |
| 72. კიკნაძე შალვა | 104. ნინიაშვილი გურამი |
| 73. კიკაბიძე ამირანი | 105. ოდიშარია შალვა |
| 74. კობიაშვილი მალხაზი | 106. ონიაშვილი ჯემალი |
| 75. კობერიძე თენგიზი | 107. ოქროაშვილი ვლადიმერი |
| 76. კოვზიაშვილი უშანგი | 108. პრივალოვი ლევანი (ლოვა) |
| 77. კოპინაშვილი ჟორა | 109. რაზმაძე მურადი |
| 78. კორინთელი ოთარი | 110. როსტომაშვილი სულიკო |
| 79. კოშკაძე ედუარდი | 111. სააკაშვილი გრიგოლი |
| 80. კრიხელი იოსები | 112. საბანაძე კამო |
| 81. ლაფაჩი სოსო | 113. საბაშვილი გრიგოლი |
| 82. ლაფაჩი პაპუნა | 114. სალამატინი შალვა |
| 83. ლაცაბიძე ნოდარი | 115. სამადალაშვილი ამური |
| 84. ლობჯანიძე სევერიანი | 116. სომხიშვილი აპოლონი |
| 85. ლოლაძე შალვა | |

- | | |
|----------------------------|------------------------------------|
| 117. სომხიშვილი ანზორი | 149. ჩრდილელი თემო |
| 118. სრესელი გურამი | 150. ჩუბინიძე ომარი |
| 119. სრესელი იოსები | 151. ჩუხრუკიძე ჯემალი |
| 120. სულთანაშვილი შალვა | 152. ჩხეიძე ავთანდილი |
| 121. ტაბატაძე ალექსანდრე | 153. ცერაძე გივი |
| 122. ტატიშვილი თენგიზი | 154. ცომაია გოგლა |
| 123. ტიტოვი ლოვა | 155. წერეთელი გიორგი (ჟორა) |
| 124. ტორონჯაძე გურამი | 156. წიქარიძე ნოდარი |
| 125. ფალგენიშვილი ნუგზარი | 157. ჭელიძე ოთარი (გუჩურა) |
| 126. ფანოზიშვილი გაიოზი | 158. ჭელიძე ვაჟა |
| 127. ფილიევი მიხეილი | 159. ჭიღლაძე დიმიტრი |
| 128. ქარუმიძე გენო | 160. ჭიღლაძე ომარი |
| 129. ქარუხნიშვილი არჩილი | 161. ჭოჭელი თენგიზი |
| 130. ქაშაკაშვილი იური | 162. ხარატიშვილი ლევანი |
| 131. ქილიტაური გია | 163. ხაჩიძე ირაკლი |
| 132. ქინქლაძე ნოდარი | 164. ხეთაგური პაატა |
| 133. ქურდოვანიძე თეიმურაზი | 165. ხირსელი ვიქტორი (ვიკა) |
| 134. ქოჩლაძე ბიძინა | 166. ხმალაძე კამო |
| 135. ლოლიჯაშვილი არსენა | 167. ხუციშვილი იოსები |
| 136. ლონლაძე ბახვა | 168. ხუბულური ირაკლი |
| 137. ყაზაროვი ვალიკო | 169. ჯავახიშვილი შოთა |
| 138. ყველაშვილი ილია | 170. ჯამბრიშვილი ამირანი
(გივი) |
| 139. ყორანაშვილი მერაბი | 171. ჯანაშვილი ფირუზი |
| 140. შათაშვილი შალვა | 172. ჯოღბორდი შოთა |
| 141. შარიქაძე აივენგო | |
| 142. შენგელია გივი | |
| 143. შენგელია ბეგლარი | |
| 144. შერმადინი ანზორი | |
| 145. შიუკაშვილი მორისი | |
| 146. ჩარუევი ნოდარი | |
| 147. ჩიხლაძე ლევანი | |
| 148. ჩოჩია ალექო | |

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
აბულაძე ალექსი	13
აკოფაშვილი ვახტანგი	16
ამბროლაძე ვახტანგი	19
ბაზანდარაშვილი ავთანდილი	21
ბარამიძე ბადრი	24
ბასიშვილი გიორგი	27
ბექაური გენო	31
ბიძინაშვილი ალექსანდრე	35
ბურჯანაძე თენგიზი	40
გაგნიძე ბეჟანი	44
გამგებელი ზურაბი	47
გოგოლაძე გივი	51
გვერდწითელი თეიმურაზი	54
გუდაძე დავითი	58
დაბრუნდაშვილი გურამი	61
დადიანი დავითი	64
დადიანი ვალიკო	66
ზაზუნაშვილი ვანო	68
ზარნაძე ჰამლეტი	70
თურაზაშვილი კობა	72
კერესელიძე რობერტი	76
კობერიძე აფენდი	78
კობერიძე გურგენი	81
კოშუაშვილი მირიანი	83
კუთხაშვილი გიორგი	86

ლალეზაშვილი გიორგი	89
ლაცაბიძე მიხეილი	91
მაისურაძე გივი	95
მერაბიშვილი გურამი (გულკა)	99
მესროფოვი სეირანი	101
მირუაშვილი გრიგოლი (გრიშა)	105
მუქნიაშვილი გიორგი	108
ნადირაშვილი გიორგი	110
ნადირაძე ლანგო	114
ნუცუბიძე გურამი	117
ოქროპირიძე ოთარი	121
რობაქიძე ჯემალი	124
სამადალაშვილი ავთანდილი	127
სოსანიძე ვანო	130
ფაჩოშვილი ვანო	134
ქილიტაური თენგიზი	136
ღონღაძე თემური	140
ყეინოშვილი ოთარი	143
შაფთოშვილი მიხეილი	145
შერმადინი გივი	149
ჩალაური ყარამანი	152
ჩიტაია გიორგი	154
ჩუბინიძე მერაბი	159
წკრიალაშვილი იოსები	162
ხოჯევანიშვილი სიკო	166
ხუციშვილი ედუარდი	168
ჯაფარიძე ჯუმბერი	172